

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

„გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“

თინათინ ტყეშელაშვილი

**ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების
აკულტურაციის ორიენტაციები: დეტერმინანტები და შედეგები**

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ანასტასია ქიტიაშვილი

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედეა დესპოტაშვილი

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2022

*ნაშრომი ეძღვნება პროფესორ ნანა სუმბაძეს, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის
საკვლევის საკითხის ფორმულირებასა და კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომის
ჩამოყალიბებაში.*

კვლევის ფინანსური უზრუნველყოფა მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტური სამეცნიერო პროექტების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2017-2018
წლებში, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს სადისერტაციო კვლევა.

სარჩევი

აბსტრაქტი.....	viii
Abstract.....	xi
შესავალი.....	1
თავი 1. აკულტურაციის თეორიული მიმოხილვა.....	5
1.1 აკულტურაციის ფენომენის დეფინიცია და კონცეპტუალიზაციის პროცესი	5
1.2. აკულტურაციის ხასიათი, დონე, მიმართულება, დომენი და განზომილება	14
1.3. აკულტურაციის მოდელები და კვლევის მიდგომები	17
1.4. აკულტურაციის კვლევის შეზღუდვები.....	29
თავი 2. საქართველოს კონტექსტი	32
2.1. არსებული სიტუაციის და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის აღწერა	32
2.2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღების საშეღავათო პოლიტიკა და პრაქტიკა	34
თავი 3. კვლევის ჰიპოთეზები და მიზნები.....	41
თავი 4. კვლევის მეთოდოლოგია.....	46
4.1 აკულტურაციის ორიენტაციების, დეტერმინანტების და შედეგების განსაზღვრა - თეორიული ჩარჩო.....	46
4.2. კვლევის ინსტრუმენტები.....	48
4.3. კვლევის პროცედურა და მონაწილეები	53
4.4. ეთიკური საკითხი.....	55
4.5. კვლევის შეზღუდვები	55
თავი 5. შედეგების აღწერა.....	57
5.1. აკულტურაციის ორიენტაციების საზომის კროს კულტურული ადაპტაცია	57
5.2. კვლევის შედეგების აღწერა	59
5.2.1. აკულტურაციის ორიენტაციები და მათი შედარება ეთნიკურ ჯგუფში	61
5.2.2. „სხვასთან“ სიახლოვის აღქმა	65
5.2.3. ოჯახის ხელშეწყობის აღქმა უმაღლესი განათლების მიღებაში.....	72
5.2.4. უმცირესობის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების აღქმა.....	77

5.2.5. ნდობა ადამიანების უმრავლესობის მიმართ	80
5.2.6. სტრესის აღქმა	83
5.2.7 უნივერსიტეტში სწავლით და ცხოვრებით კმაყოფილება.....	85
5.2.8. უახლოესი სოციალური წრის ეთნიკური შემადგენლობა	91
5.2.9. საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობა	92
5.2.10 გავლენა	96
5.2.11. ინტეგრაციის ორიენტაციის დეტერმინანტები და შედეგები	100
თავი 6. შედეგების ანალიზი.....	104
6.1. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მიგნებების შეჯამება	104
6.1.1. აკულტურაციის ორიენტაციები და მათ შორის განსხვავება ორი მოდელის მიხედვით	105
6.1.2. განსხვავება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით.....	109
6.1.3. განსხვავება სქესის მიხედვით	112
6.2. სიახლოვის აღქმის ანალიზი	114
6.3. შედეგების ანალიზი კვლევის ჰიპოთეზების მიხედვით	117
6.4. კვლევის ძირითადი მიგნებები	121
თავი 7. ძირითადი დასკვნები	131
7.1. ნაშრომის სამეცნიერო და გამოყენებითი ღირებულება.....	131
7.2. ძირითადი რეკომენდაციები	134
ბიბლიოგრაფია.....	137
დანართები	147
დანართი 1. კვლევაში მონაწილე სტუდენტების განაწილება უნივერსიტეტების მიხედვით (N, %)	147
დანართი 2. კვლევაში მონაწილე სტუდენტების განაწილება ეთნიკური ჯგუფების და უნივერსიტეტების მიხედვით (N, %)	148
დანართი 3. მშობლების ეროვნება და განათლების საფეხური ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%)	149
დანართი 4. სკოლის დასრულების ადგილი ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%)....	151

ცხრილები

ცხრილი 1. 1+4 პროგრამაზე რეგისტრირებულთა და ჩარიცხულთა რიცხვი (ტაბატაძე, გორგაძე, გაბუნია 2020).....	34
ცხრილი 2. აკულტურაციის მეთოდოლოგიური ჩარჩო.....	47
ცხრილი 3. აკულტურაციის საზომის კონცეპტუალური ჩარჩო (SNAUWAERT B., SOENNENS B., VANBESELAERE N., 2003).....	48
ცხრილი 4. კვლევის მონაწილეები - ასაკი	54
ცხრილი 5. კორელაციის კოეფიციენტები და კრონბახის ალფა	58
ცხრილი 6. კვლევის შედეგების აღწერის სტრუქტურა	60
ცხრილი 7. აკულტურაციის ორიენტაციების განაწილება ორივე ეთნიკური უმცირესობის ჯგუფში.....	62
ცხრილი 8. ორივე მოდელის აკულტურაციის ორიენტაციების განაწილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით.....	63
ცხრილი 9. აკულტურაციის ორი მოდელის ორიენტაციები სქესის მიხედვით	64
ცხრილი 10. სიახლოვის აღქმა - მონაცემები ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტის მიხედვით).....	65
ცხრილი 11. სიახლოვის აღქმის სტატისტიკური მნიშვნელობა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტი; შვიდქულიანი შეფასება)	66
ცხრილი 12. სიახლოვის აღქმა ეთნიკური ჯგუფების პრიორიტეტების მიხედვით (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტის; შვიდქულიანი შეფასება).....	68
ცხრილი 13. სიახლოვის აღქმა საქართველოს მოქალაქესა და ქართველთან საქართველოში (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტი; შვიდქულიანი შეფასება)	69
ცხრილი 14. სხვასთან სიახლოვის აღქმა აღმსარებლობის მიხედვით (სხვისი საკუთარ თავში ჩართულობის ინსტრუმენტი, M, SD).....	72
ცხრილი 15. საქართველოში უმადლესი განათლების მიღებაში ოჯახის ხელშეწყობის აღქმა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით.....	74
ცხრილი 16. საქართველოში განათლების მიღებაში ოჯახის ხელშეწყობის აღქმა სქესის მიხედვით (სამივე ეთნიკურ ჯგუფში ჯამურად).....	74
ცხრილი 17. განათლების მიღებაში ოჯახის ხელშეწყობა აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (N, M, SD).....	75
ცხრილი 18. საკუთარი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ საქართველოს მოსახლეობის აღქმა აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (აკულტურაციის ორი მოდელი; ეთნიკური უმცირესობების ორივე ჯგუფი).....	78

ცხრილი 19. ნდობა ადამიანების უმრავლესობის მიმართ - ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (M, SD).....	81
ცხრილი 20. ადამიანების მიმართ ნდობა აკულტურაციის ორიენტაციების (კულტურის მოდელის) მიხედვით (N, M, SD)	81
ცხრილი 21. სტრესის აღქმა - ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (N, M, SD)	83
ცხრილი 22. სტრესის აღქმის შედარება აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (სტატისტიკური მნიშვნელობა).....	84
ცხრილი 23. უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (N, M, SD)	86
ცხრილი 24. უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (ორი მოდელი, N, M, SD)	86
ცხრილი 25. ცხოვრებით კმაყოფილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (M, SD)	89
ცხრილი 26. ცხოვრებით კმაყოფილება აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (M,SD).....	90
ცხრილი 27. მეგობრების ეთნიკური კუთვნილება (%).....	91
ცხრილი 28. მოქალაქეობის მნიშვნელოვნების შეფასება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%).....	93
ცხრილი 29. მოქალაქეობის მნიშვნელობის შეფასება აკულტურაციის სტრატეგიების მიხედვით (ორი მოდელი)	94
ცხრილი 30. ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე გავლენა ეთნიკურ ჭრილში (M, SD).....	97
ცხრილი 31. ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე გავლენის შეფასება აკულტურაციის სტრატეგიების მიხედვით (ორი მოდელი)	98
ცხრილი 32. ინტეგრაციის ორიენტაციის დეტერმინანტები კულტურის მიღების მოდელში	100
ცხრილი 33. ინტეგრაციის ორიენტაციის დეტერმინანტები კონტაქტის მოდელში.....	101
ცხრილი 34. ინტეგრაციის ორიენტაციის შედეგები აკულტურაციის ორ მოდელში	101
ცხრილი 35. ინტეგრაციის ორიენტაციის გამოვლენილი დეტერმინანტები და შედეგები	103
ცხრილი 36. კვლევის ჰიპოთეზები და მათი სტატუსი	120

ილუსტრაციები

ილუსტრაცია 1. ბერის აკულტურაციის სქემა (BERRY, 2003, 2006)	11
ილუსტრაცია 2. ბერის აკულტურაციის კონცეპტუალიზაციისა და შესწავლის ჩარჩო (BERRY, 2005; SAM, 2006)	13
ილუსტრაცია 3. აკულტურაციის ორი მოდელი (SNAUWAERT ET.AL, 2003).....	21

ილუსტრაცია 4. აკულტურაციის მრავალგანზომილებიანობა - შვარცის და კოლეგების ექვს-კომპონენტური მოდელი (SCHWARTZ ET AL., 2010)	27
ილუსტრაცია 5. აკულტურაციის ცვლადების ჩარჩო (ARENDS-TOTH, VAN DE VIJVER, 2006).....	28
ილუსტრაცია 6. სხვისი (OTHER) საკუთარ მე-ში (SELF) ჩართულობის სკალა (ARON ET AL., 1992)	50

დიაგრამები

დიაგრამა 1. საქართველოს მოქალაქესთან და ქართველთან საქართველოში სიახლოვის აღქმა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტი; შვიდქულიანი შეფასება)	70
დიაგრამა 2. საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვის აღქმა სქესის მიხედვით (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტი; შვიდქულიანი შეფასება).....	71
დიაგრამა 3. განათლების მიღებაში ოჯახის ხელშეწყობა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით.....	73
დიაგრამა 4. ოჯახის ხელშეწყობა საქართველოში განათლების მიღებაში ორივე მოდელი აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (%)	76
დიაგრამა 5. საკუთარი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ უმრავლესობის დამოკიდებულების აღქმა (%).....	77
დიაგრამა 6. საკუთარი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ საქართველოს მოსახლეობის აღქმა (M) აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (აკულტურაციის ორი მოდელი; ეთნიკური უმცირესობების ორივე ჯგუფი)	79
დიაგრამა 7. ადამიანების მიმართ ნდობა სამი ეთნიკური ჯგუფის მიხედვით (%).....	80
დიაგრამა 8. ადამიანების მიმართ ნდობა (M) აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (აკულტურაციის ორი მოდელი; ეთნიკური უმცირესობების ორივე ჯგუფი)	82
დიაგრამა 9. უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%).....	85
დიაგრამა 10. უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება (M) აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (აკულტურაციის ორი მოდელი; ეთნიკური უმცირესობების ორივე ჯგუფი).....	87
დიაგრამა 11. უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (M)	88
დიაგრამა 12. ამჟამინდელი ცხოვრებით კმაყოფილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%)	89
დიაგრამა 13. ცხოვრებით კმაყოფილება აკულტურაციის ორი მოდელის მიხედვით (M).....	90
დიაგრამა 14. საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (ძალიან მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანი, %)	92
დიაგრამა 15. საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობა აკულტურაციის ორი მოდელში (M)	95
დიაგრამა 16. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%).....	96

დიაგრამა 17. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის მოხდენის შეფასება აკულტურაციის ორ მოდელში (M).....	99
დიაგრამა 18. აკულტურაციის ორიენტაციების (კულტურის მიღების მოდელის) საშუალო მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება სხვადასხვა ცვლადის მიხედვით	106
დიაგრამა 19. აკულტურაციის ორიენტაციების (კონტაქტის მოდელის) საშუალო მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება სხვადასხვა ცვლადის მიხედვით.....	108
დიაგრამა 20. სხვადასხვა ცვლადის საშუალო მაჩვენებელი ეთნიკური ჯგუფების მიხედვით ...	112
დიაგრამა 21. კვლევის შედეგები სქესის მიხედვით (M)	113
დიაგრამა 22. სიახლოვის აღქმა (M) ეთნიკური ჯგუფების მიხედვით	115
დიაგრამა 23. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდების აკულტურაციის მოდელი	123

აბსტრაქტი

სადისერტაციო კვლევაში შესწავლილია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების აკულტურაციის პროცესი უმაღლესი განათლების კონტექსტში. კერძოდ, შესწავლილია მათი აკულტურაციის ორიენტაციები - ინტეგრაცია, სეპარაცია, ასიმილაცია და მარგინალიზაცია - ორი თეორიული პერსპექტივის (*დომინანტური კულტურის მიღების და უმრავლესობასთან კონტაქტის* კონცეპტუალური მოდელები) მიხედვით, ასევე ორიენტაციების დეტერმინანტები და შედეგები.

აკულტურაციის ორიენტაციები შესწავლილი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებში, რომლებიც იყვნენ საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში უმაღლესი განათლების სისტემაში ამოქმედებული პროგრამის “1+4” მონაწილეები. კვლევაში ასევე მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სტუდენტებმა. საერთო ჯამში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 714 (233 აზერბაიჯანელმა, 279 ქართველმა და 202 სომეხმა) სტუდენტმა.

კვლევის ოთხი ჰიპოთეზა დაეფუძნა აკულტურაციის განხილულ კონცეფციებს. აკულტურაციის ორივე კონცეპტუალური მოდელის მიხედვით კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობის ორივე ჯგუფში დომინანტური *ინტეგრაციის* ორიენტაცია აღმოჩნდა, რაც პირველი ჰიპოთეზის დაშვებას წარმოადგენდა.

კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები უფრო ღია არიან უმრავლესობასთან ურთიერთობისთვის, ვიდრე დომინანტური კულტურის ელემენტების მიღებისთვის. ორივე მოდელის მიხედვით აკულტურაციის ორიენტაციების განაწილებამ აჩვენა, რომ ინტეგრაციის მზაობა უფრო მაღალია *კონტაქტის*, ვიდრე *უმრავლესობის კულტურის მიღების* შემთხვევაში, რითიც დადასტურდა *მეორე ჰიპოთეზა*.

სამეცნიერო თვალსაზრისით კვლევის არსებით მიგნებას წარმოადგენს აკულტურაციის ორი ძირითადი დეტერმინანტის გამოვლენა. ოჯახის მხარდაჭერის

აღქმა და უმრავლესობის ჯგუფთან (კერძოდ საქართველოს მოქალაქესთან და ქართველთან) სიახლოვე და იდენტიფიკაცია აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების აკულტურაციის პროცესში ინტეგრაციის ორიენტაციის არჩევის განმსაზღვრელი ფაქტორებია პროგნოზირების მაღალი ხარისხით. ამით ნაწილობრივ დადასტურდა მესამე ჰიპოთეზაში დეტერმინანტებზე გაკეთებული დაშვება.

აკულტურაციის შედეგებზე კვლევის მეოთხე ჰიპოთეზა ნაწილობრივ დადასტურდა. აკულტურაციის ორივე მოდელში დამტკიცდა ინტეგრაციის ორიენტაციის კორელაცია უნივერსიტეტში სწავლით და ცხოვრებით კმაყოფილებაზე, მიმდინარე მოვლენებზე გავლენის აღქმასა და მოქალაქეობის მნიშვნელობის შეფასებაზე, რომელიც ამ ორიენტაციის მქონეთა ჯგუფში არის მაღალი. არ დადასტურდა კავშირი ინტეგრაციას და აღქმულ სტრესს შორის, როგორც ნავარაუდები იყო მეოთხე ჰიპოთეზაში.

კვლევის დაგეგმვისას გამოყენებული იყო არენდს-ტოთისა და ვან დე ვივერის ფსიქოლოგიური აკულტურაციის შეფასების მოდელი (Arends-Toth, van de Vijver, 2006), რომელშიც ცვლადები სამ ჯგუფად არის დაყოფილი: აკულტურაციის (წინა)პირობები, ორიენტაციები და შედეგები. შერჩეული თორმეტი ცვლადისა და აკულტურაციის ორიენტაციების გაზომვა მოხდა ათი საზომი ინსტრუმენტის გამოყენებით.

კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს აკულტურაციის ორიენტაციების ოთხ დებულებიანი საზომის (Snauwaert et al., 2003) ადაპტაცია. ორი თეორიული მიდგომის მიხედვით (*კულტურის მიღების* და *კონტაქტის* კონცეპტუალიზაცია) მოხდა აკულტურაციის ოთხი ორიენტაციის - ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეპარაცია და მარგინალიზაცია - პარალელურად დადგენა. აკულტურაციის მოცემული ოთხდებულებიანი სკალის ქართული ვერსიას მაღალი შიდა ვალიდობა აქვს ($\alpha=.78$) და მისი კრონბახის ალფა კოეფიციენტი ორიგინალური სკალის მაჩვენებელს ($\alpha=.71$) აღემატება. შესაბამისად, ადაპტირებული ინსტრუმენტი რეკომენდებულია სამომავლო კვლევებისთვის.

კვლევის შეზღუდვებში აღსანიშნავია ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების ქართული ენის კომპეტენცია, თუმცა ინსტრუმენტში გამოყენებული ენის ცოდნის თვითშეფასების მიხედვით აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების უმრავლესობამ საშუალო და საშუალოზე მაღალი ცოდნა დაადასტურა. ასევე აღსანიშნავია *კვლევის ჩატარების დრო* (2017 წლის დეკემბერი). თუმცა სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიგნებებიდან გამომდინარე, მონაცემების სამეცნიერო ღირებულება შენარჩუნებულია.

კვლევის სიახლე მდგომარეობს საქართველოს კონტექსტში აკულტურაციის დეტერმინანტებთან დაკავშირებულ ძირითად მიგნებაში. კერძოდ, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საგანმანათლებლო სივრცეში აკულტურაციის ორი ძირითადი დეტერმინანტის - უმრავლესობასთან სიახლოვის/იდენტიფიკაციის და ოჯახის მხარდაჭერის - გამოვლენა. შესაძლებელია ვარაუდი, რომ ეს ორი ფაქტორი ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფში აკულტურაციის უნივერსალური პრედიქტორი იყოს. ამასთანავე, სადისერტაციო კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია მაღალი სანდოობის მქონე აკულტურაციის ახალი ადაპტირებული ინსტრუმენტი, რომელიც ორი განსხვავებული კონცეპტუალური მიდგომით ზომავს აკულტურაციის ორიენტაციებს.

საუნივერსიტეტო სივრცეში ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების ადაპტაციის აკულტურაციის კონცეპტუალური პერსპექტივიდან შესწავლის გამოყენებითი მნიშვნელობა დაკავშირებულია როგორც ეროვნულ დონეზე სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის დაგეგმვასთან, ასევე უშუალოდ უნივერსიტეტებში ადაპტაციის ხელშემწყობი პროგრამების, მიდგომების და ღონისძიებების დაგეგმვაში წვლილის შეტანასთან.

საკვანძო სიტყვები: აკულტურაციის ორიენტაციების საზომი, საზომის კროს კულტურული ადაპტაცია, აკულტურაცია, ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეპარაცია, მარგინალიზაცია, აკულტურაციის დეტერმინანტები, აკულტურაციის შედეგები

Abstract

In this paper the process of acculturation of Azerbaijani and Armenian students representing ethnic minorities is studied in the context of higher education. Acculturation orientations - integration, separation, assimilation and marginalization - are studied according to two theoretical perspectives (conceptual models of *adoption of the dominant culture* and *contact with the mainstream society*), and orientation determinants and results assessed.

Acculturation orientations were studied among Azerbaijani and Armenian students, who were enrolled in the "1 + 4" program in the higher education system. The study also covered Georgian students. A total of 714 students (233 Azerbaijanis, 279 Georgians and 202 Armenians) participated in the study.

The four research hypotheses were based on reviewed concepts. According to both conceptual models of acculturation applied in the study, *integration* was found as dominant orientation in both ethnic minority groups, which proved an assumption of the first hypothesis.

Research results have proven that ethnic minority students are more open to interact with the majority than accepting elements of the dominant culture, thereby confirming the second hypothesis of the research.

The scientific value of the study is its key finding, defining the two main determinants of acculturation for ethnic minority students. Perception of family support and closeness with the majority group are determining factors for the choice of *integration* orientation in the process of acculturation of Azerbaijani and Armenian students with a high degree of prediction. This partially confirmed the assumption made in the third hypothesis.

The fourth hypothesis of the study on the results of acculturation was partially confirmed. According to both conceptual models of acculturation applied in the study, the correlation of *integration* orientation with university and life satisfaction, perception of influence on current events and evaluation of the importance of citizenship was confirmed, which is high in the group with this orientation. The correlation between integration and perceived stress, as assumed under the fourth hypothesis, was not confirmed.

In the research, the psychological acculturation assessment model of Arends-Toth and van de Vijver (Arends-Toth, van de Vijver, 2006) was applied, in which the variables are presented in three groups: (pre)conditions, orientations and results of acculturation. Twelve selected variables and acculturation orientations were measured using ten measurement instruments.

An integral part of the research is adaptation of the four-item measure of acculturation orientation, which was based on two different concepts of the two-dimensional model of acculturation - *acceptance of the dominant culture* and *contact with mainstream society* (Snauwaert et al., 2003). Four orientations of acculturation - *integration, assimilation, separation* and *marginalization* - were determined in parallel. The Georgian version of this four-item acculturation scale has high internal consistency ($\alpha=.78$) and its Cronbach's alpha coefficient is higher than that of the original scale ($\alpha=.71$). Therefore, an adapted instrument may be recommended for future research.

Among the limitations of the study, the Georgian language competence of ethnic minority students shall be mentioned, as the study was conducted in Georgian. However, according to the self-assessment of language knowledge used in the instrument, the vast majority of Azerbaijani and Armenian students confirmed average and above average knowledge. Another issue is time of the research and data gathering (December 2017). However, according to the findings of the thesis, the scientific value of the data is preserved.

The novelty of the research lies in the conceptual understanding of the determinants of acculturation in the context of Georgia. In particular, the defining of two main determinants of acculturation in the high educational setting of young ethnic minorities living in Georgia – perception of closeness/identification with the majority and family support. In future studies, it can be assumed that these two factors are universal predictors of acculturation in this age group. In addition, an important result of the dissertation research is a new adapted instrument of acculturation with sufficient reliability, which measures acculturation orientations with two different conceptual approaches.

Keywords: Acculturation orientation measurement, measurement cross cultural adaptation, acculturation, integration, assimilation, separation, marginalization, acculturation determinants, acculturation results.

შესავალი

აკულტურაცია არის მუდმივი პროცესი და არა იზოლირებული მოვლენა (Thurnwald 1932; Teske & Nelson, 1974), რომელიც ერთჯერადად მიმდინარეობს და ერთი შესაძლო შედეგით სრულდება (Bhatia, 2012). ეს პროცესი შესაძლოა არათანმიმდევრული და წყვეტილი ხასიათის იყოს, პერიოდულად დადებითი ან უარყოფითი შედეგებით (Khawaja, 2016). კონტექსტიდან გამომდინარე, მკვლევარები მასზე მოქმედ და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფაქტორს გამოყოფენ. მათ შორისაა: სოციალური სტატუსი, საკუთარი ეთნიკური ჯგუფის და ოჯახის დამოკიდებულება უმრავლესობის და მასთან ურთიერთობის მიმართ, უმრავლესობის დამოკიდებულების აღქმა და აღქმული დისკრიმინაცია (Jasinskaja-Lahti, Liebkind, Horenczyk & Schmitz, 2003, Schwartz, 2010, Khawaja, 2016), სოციალური დისტანციის (Van de Vijver, Te Lindert, Fontaine, 2014) და კულტურული მსგავსების აღქმა (Schwartz, 2010), უმრავლესობასთან ურთიერთობის პირადი გამოცდილება და აკულტურაციის პროცესთან დაკავშირებული უსიამოვნებები (Safdar et al., 2003, 2021), ადაპტაციის ინდივიდუალური უნარები, ფსიქოლოგიური ადაპტაცია და სიძლიერე (Safdar et al., 2003, 2021), გარემო და მიგრანტის/უმცირესობის წარმომადგენლის მიერ მასპინძელი საზოგადოების შერჩევის შესაძლებლობა (Berry, 2006) და ა.შ.

აკულტურაცია მრავალგანზომილებიანი პროცესია (Safdar et al., 2003, 2021; Chirkov, 2009; Khawaja, 2016, Ju Kim, Gorman, 2021), რომელიც ყალიბდება წარმოშობის და მიმღები კულტურების პრაქტიკების, ღირებულებების და იდენტიფიკაციების შერწყმის შედეგად (Schwartz S. J., Unger J. B., Byron L. Zamboanga, and Szapocznik J., 2010/2013). შესაბამისად, მისი კვლევაც კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. კვლევის დიზაინი და გამოყენებული მეთოდოლოგია ხშირად მორგებულია კონკრეტულ ჯგუფზე, რაც ძირითადი მიგნებების გენერალიზებას ზღუდავს (Shekriladze, 2017). ამავე დროს, კვლევის შედეგების კროს-კულტურულ შედარების შესაძლებლობასთან ერთად გასათვალისწინებელია შესაბამისი

კონტექსტის და საკვლევი ჯგუფის სპეციფიკა, რადგან პრინციპი „ერთი ზომა ყველას ერგება“ არ მიესადაგება აკულტურაციის ფენომენს და მის კვლევას (Schwartz et al., 2010).

აკულტურაციის კვლევის მთავარი ღირებულება მასში მონაწილე ინდივიდების/ჯგუფების ადაპტაციის, ასევე უმცირესობის და უმრავლესობის კროს კულტურული ურთიერთობის ხელშეწყობაში სამეცნიერო ცოდნის გამოყენებაა. კვლევის მიგნებებმა შესაძლებელი უნდა გახადოს ინდივიდის დონეზე ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მიღწევა და ჯგუფის დონეზე განსხვავებული ეთნო-კულტურული ჯგუფების ჰარმონიული თანაცხოვრება ერთ საზოგადოებაში. არსებობს საკმარისი ემპირიული მტკიცებულება პრობლემურად მიმდინარე აკულტურაციის ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკური ჯანმრთელობაზე და/ან ჯგუფთა შორის ურთიერთობაზე საზიანო ზეგავლენის შესახებ (Berry, 2006; Shekrladze, 2017; Choy et al., 2021). სადისერტაციო ნაშრომი საქართველოში აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების აკულტურაციის საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარეობაზე დამატებითი სამეცნიერო ცოდნის გენერირებას ახდენს. ეს ხელს შეუწყობს სპეციფიკურ ჯგუფზე მორგებული ადაპტაციის მიდგომების შემუშავებას და ადაპტაციისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. კვლევაში ნაცადია აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების მიერ არჩეული აკულტურაციის ორიენტაციების დადგენა ორი კონცეპტუალური მოდელის მიხედვით, ასევე განმაპირობებელი ფაქტორების და შედეგების განსაზღვრა. შესაბამისად, კვლევა პასუხობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საუნივერსიტეტო გარემოში ადაპტაციასთან დაკავშირებულ კითხვებს/გამოწვევებს და აკულტურაციის თეორიული პერსპექტივიდან აფასებს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესს.

არსებული კონტექსტის და საკვლევის ჯგუფების გათვალისწინებით, სადისერტაციო კვლევა რამდენიმე ეტაპად წარიმართა. პირველ რიგში ყურადღება დაეთმო აკულტურაციის ორიენტაციების განსაზღვრას, შემდეგომ აკულტურაციის პროცესის განმაპირობებელი ფაქტორების და შედეგების გაანალიზებას.

აკულტურაციის ორიენტაციების (ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეპარაცია, მარგინალიზაცია) დასადგენად სადისერტაციო კვლევაში გამოყენებული იყო

აკულტურაციის საზომი (Snauwaert B., Soennens B., Vanbeselaere N., 2003)¹. კვლევის პირველი ეტაპი სწორედ ინსტრუმენტის კროს კულტურულ ადაპტაციას დაეთმო. კვლევის მიდგომა დაეფუძნა აკულტურაციის ორგანოზომილებიან მოდელის ორ განსხვავებულ კონცეფციას (ილუსტრაცია 1). პირველი მოდელი აკულტურაციის შედეგს ორი განზომილების კომბინირებით აღწერს: პირველი განზომილება საკუთარი კულტურის შენარჩუნებაზეა ფოკუსირებული, მეორე განზომილება უმრავლესობასთან კონტაქტსა და საზოგადოებაში მონაწილეობაზე (Berry, კონტაქტის კონცეფცია). მეორე მოდელი კი საკუთარი კულტურის შენარჩუნების (პირველი განზომილება) პარალელურად „მიმღები“ კულტურის ელემენტების მიღებაზეა ფოკუსირებული (Bourhis, 1997).

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების საუნივერსიტეტო გარემოში ყოფნა შესაძლებელს ხდის აკულტურაციის პროცესის შესწავლას. კლასიკური განმარტებით, აკულტურაცია განსხვავებული კულტურის მქონე ინდივიდების უშუალო და უწყვეტი კონტაქტის შედეგია (Redfield, Linton, Herskovitz, 1936). ამ ფენომენის კვლევა რთული იქნებოდა მონოეთნიკურ დასახლებებში, სადაც არ საუბრობენ სახელმწიფო ენაზე, არ აქვთ (ან ძალიან ლიმიტირებულად) ურთიერთობა საქართველოს ქართულენოვან მოსახლეობასთან და არც ქართულენოვან მედია სივრცესთან არიან დაკავშირებული. აკულტურაციის საკვლევად შერჩეული იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კონკრეტული ჯგუფი, კერძოდ საშელავათო პოლიტიკის ფარგლებში შექმნილი პროგრამის 1+4 აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები². კვლევაში ასევე მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სტუდენტებმა. შესაბამისად კვლევაში ჩართული იყო სამი ეთნიკური ჯგუფი, რომელებიც ამავე დროს განსხვავებული აღმსარებლობის არიან.

აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების აკულტურაციის პროცესი საინტერესო ფენომენია, რადგან საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ეს ორი ჯგუფი

¹ ანასტასია ქიტიაშვილი, თინათინ ტყემელაშვილი (2022). აკულტურაციის ორიენტაციების საზომის კროს კულტურული ადაპტაცია

² 1+4 პროგრამაში იგულისხმება ინტენსიური ქართული ენის კურსი პირველ წლის განმავლობაში, რომელსაც კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში მოყვება შერჩეულ ფაკულტეტზე საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში

განსხვავებული კულტურული და ყოფითი კონტექსტიდან ხვდება ერთიანი დამაკვირვებელი სასწავლო გარემოში. ეს აკულტურაციის პროცესზე, მის განმსაზღვრელ ფაქტორებზე და შედეგებზე დაკვირვების შესაძლებლობას გვაძლევს ორი ეთნიკური ჯგუფის განსხვავებული ჯგუფის პერსპექტივიდან.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შვიდი თავისგან. **პირველ თავში** მოცემულია აკულტურაციის თეორიული მიმოხილვა, მისი მახასიათებლები, კონცეპტუალიზაციის პროცესში არსებული სირთულეები, ერთ- და ორგანზომილებიანი მოდელების თეორიული საფუძვლები.

მეორე თავში მიმოხილულია საქართველოს კონტექსტი, ტოლერანტობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა, ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული საშეღავათო პოლიტიკა და მისი დამოუკიდებელი შეფასება, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობით ჩატარებული ზოგიერთი კვლევის შედეგები.

მესამე თავი ეთმობა კვლევის ჰიპოთეზების და მიზნების განმარტებას, რასაც პირველ თავში მოცემული თეორიული მიმოხილვა უდევს საფუძვლად.

მეოთხე თავში კი აღწერილია კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია, ასევე აღნიშნულია კვლევის ეტაპები.

მეხუთე თავში აღწერილია აკულტურაციის საზომის კროსკულტურული ადაპტაცია და კვლევის შედეგები. ხოლო **მეექვსე თავში** შეჯამებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მიგნებები, მოცემულია შედეგების ანალიზი კვლევის ჰიპოთეზების მიხედვით და შეჯამება.

ბოლო, **მეშვიდე თავში** წარმოდგენილია ნაშრომის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები შემდგომი კვლევებისთვის, ასევე ახსნილია კვლევის სამეცნიერო და გამოყენებითი ღირებულება.

მონაცემების ვიზუალიზაციისთვის, სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია დანართები, ცხრილები, ილუსტრაციები და დიაგრამები.

თავი 1. აკულტურაციის თეორიული მიმოხილვა

1.1 აკულტურაციის ფენომენის დეფინიცია და კონცეპტუალიზაციის პროცესი

აკულტურაცია წარმოადგენს უძველეს და ერთ-ერთ უნივერსალურ ადამიანურ გამოცდილებას (Rudmin, 2003). ისტორიკოსების, ეთნოლოგების და ანთროპოლოგების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო განსხვავებული ერების, ხალხების და ტომების ყოფის, კულტურის, ტრადიციების და მახასიათებლების შესწავლა და აღწერა (Sam, Berry 2006). კულტურათა შორის დიალოგს ან დაპირისპირებას საუკუნეების მანძილზე ჰქონდა ადგილი. სამშვიდობო მისიების, სავაჭრო-დიპლომატიური ურთიერთობების თუ დამპყრობლური ომების შედეგად განსხვავებული წარმოშობის ტომები და ხალხები მუდმივად ურთიერთობდნენ და გავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე.

იმიგრაციული პროცესების გააქტიურების კვალდაკვალ, მე-20 საუკუნის დასაწყისში გაიზარდა ფსიქოლოგების სამეცნიერო ინტერესი განსხვავებულ კულტურაში ინდივიდის და/ან ჯგუფების ადაპტაციის პროცესის და „მასპინძელ“ საზოგადოებასთან ურთიერთობის გავლენის მიმართ (Castro, Rudmin, 2020).

აკულტურაციის კონცეპტუალიზაციას და ოპერაციონალიზაციას მნიშვნელოვნად ართულებს რამდენიმე ფაქტორი. მათ შორისაა მისი კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი ბუნება, არსებითი მახასიათებლების კომპლექსურობა (მიმართულება, დონე, განზომილება, ცხოვრების სფერო), მისი გადაკვეთა ისეთ მნიშვნელოვან ფენომენებთან, როგორცაა ეთნიკური იდენტობა და კულტურა, რომელთა შესწავლა და შეთანხმებული დეფინიციების ჩამოყალიბება ცალკე გამოწვევას წარმოადგენს. შესაბამისად, არსებობს მოსაზრება, რომ კონცეპტუალიზაცია-ოპერაციონალიზაციის არსებული მცდელობები ამომწურავად ვერ ხსნის აკულტურაციის მოქმედების მექანიზმს (Rudmin, 2003; Bhatia, 2012; Gamsakhurdia, 2018).

აკულტურაციის ტერმინის და კონცეფციის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა რამდენიმე დისციპლინის ფარგლებში -

ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის. იყო სწორი ტერმინის შერჩევის ხანგრძლივი პროცესი. ფლოიდ რუდმინი (Rudmin, 2003, 2016, 2020) მიიჩნევს, რომ ამ ფენომენის უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია აკულტურაციის ისტორიის ზედმიწევნით შესწავლა და გაანალიზება.

სტატიაში „აკულტურაციის კვლევის კრიტიკა და კვლევის ალტერნატიული დიზაინი“ ავტორებმა (Rudmin., Castro., & Wang, 2016) თავი მოუყარეს რამდენიმე განმარტებას სხვადასხვა წყაროდან და ლექსიკონიდან, რომლის მიხედვით აკულტურაცია არის:

- უცხო კულტურის მიღება და ათვისება (*The Oxford English Dictionary*)
- სხვა ცივილიზაციისგან თვისებების (არტეფაქტების, წეს-ჩვეულებების ან რწმენის) მიღების პროცესი ან შედეგი (*The Chambers Twentieth Century Dictionary*)
- სხვა ჯგუფის კულტურული თვისებების ან სოციალური მოდელების მიღების პროცესი (*The Random House Dictionary*)
- პიროვნების, ჯგუფის ან ხალხის კულტურული მოდიფიკაცია, სხვა კულტურასთან ადაპტაციის ან თვისებების გადმოღების/ *სესხების* გზით (*Merriam-Webster's Collegiate Dictionary*)

ავტორები ასკვნიან, რომ აკულტურაცია გულისხმობს მეორე/მეორადი კულტურის შექმნას მთლიანად ან ნაწილობრივ, განზრახ ან უნებლიედ, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. აკულტურაციის პროცესში მყოფი ინდივიდი გარკვეული ხარისხით აუცილებლად გახდება ბიკულტურული (Rudmin, Wang, Castro, 2015). საკუთარი და უცხო კულტურის მიღება-უარყოფის კონტექსტში გამსახურდია ეჭვის ქვეშ აყენებს თანამედროვე გლობალურ სამყაროში ურთიერთიზოლირებული ჰომოგენური კულტურების არსებობას და შესაბამისად, მეორე კულტურის მიღების შესაძლებლობას, რადგან კულტურები ურთიერთგადამფარავია და რთულია პირველი და მეორე კულტურების ერთმანეთისგან გამიჯვნა (Gamsakhurdia, 2018).

ტერმინი აკულტურაცია პირველად გამოყენებული იყო 1880-83 წლებში (Rudmin, 2003, 2016; Sam, 2006). ჯონ უესლი პაუელმა (Powell, 1883), ამერიკელმა გეოლოგმა, ეთნოლოგმა, ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორმა აკულტურაცია განმარტა როგორც ფსიქოლოგიური ცვლილება, რომელსაც იწვევს კროს-კულტურული იმიტაცია (Sam, 2006). თავის ნაშრომებში პაუელი (Powell 1880, 1883; Rudmin, 2016) საუბრობს ცვლილებაზე, რასაც „პრიმიტიული“ ხალხი განიცდის მეტად განვითარებული ერების/საზოგადოების გავლენის ქვეშ. ცვლილების პროცესის აღწერისას, პაუელი საუბრობს რელიგიის, ხელოვნების, ენების *განახლებას ან მათ ჩანაცვლებაზე*. 1883 წლის ნაშრომში „ადამიანის ევოლუცია“ პაუელი აკულტურაციას ახსენებს როგორც ადამიანის ფსიქოლოგიური ევოლუციის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს. ის განმარტავს, რომ ადამიანები „განვითარებული გონის“ მიერ უკვე გამოგონილს და შექმნილს ხელახლა აღმოაჩენენ ფსიქიკური პროცესების დახმარებით. მისი აზრით, აკულტურაციის პროცესშიც იგივე მეორდება - ხდება განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომის მაღალზე მდგომთან *სუბიექტური მორგება*. შესაბამისად, ანთროპოლოგების პერსპექტივიდან აკულტურაცია წარმოადგენს პროგრესირების პროცესს უფრო ცივილიზებულ ეთნო-კულტურულ ჯგუფთან ურთიერთობისას (Powell, 1883; McGee, 1898; Sam, 2006). თუმცა კულტურათა ინტერაქციისას მონაწილე მხარეები ყოველთვის არ დგანან განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რის გამოც მათში უპირატესის გამოყოფა აზრს მოკლებულია (Rudmin, Castro, Wang, 2016).

რუდმინი (Rudmin, 2003) სტენლი ჰოლს (G. Stanelly Hall) მიიჩნევს პირველ ფსიქოლოგად, რომელმაც აკულტურაციაზე დაიწყო მუშაობა. თუმცა აკულტურაციის პირველი ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური თეორიის შემქმნელებად ასახელებს სოციალურ ფსიქოლოგებს თომას და ზნანეცკის (Thomas & Znaniecki), რის გამოც მეცნიერები მის მიერ შედგენილ აკულტურაციის ტაქსონომიების ტიპოლოგიის ქრონოლოგიურ ჩამონათვალში სამოცდარვიდან პირველ ადგილზე არიან (Rudmin, 2003). ტაქსონომიაში მოდელები ერთმანეთისგან განსხვავდება აკულტურაციის ტიპების რაოდენობის (სამი ან ოთხი), მათი სახელების და მათ საფუძვლად მდებარე

კონცეფციის/განზომილების მიხედვით. ეს შესაძლოა იყოს შიში და ინტერესი (Thomas & Znaniecki), დამოკიდებულება უმრავლესობის მიმართ, ფსიქოლოგიური სარგებლიანობა ან აკულტურაციის გამოცდილების სტრესული და უარყოფითი ხასიათი (Rudmin, 2003).

რედფილდმა კოლეგებთან ერთად (Redfield, Linton, Herskovits, 1936) შეიმუშავა აკულტურაციის კვლევის ჩარჩო და ჩამოაყალიბა განმარტება, რომელიც კლასიკურად ითვლება და ფართოდ არის გამოყენებული აკულტურაციაზე ხელმისაწვდომ სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ განსაზღვრების მიხედვით, აკულტურაცია მოიცავს ყველა იმ მოვლენას, რომელიც ჩნდება მაშინ როცა განსხვავებული კულტურის წარმომადგენელი ინდივიდთა ჯგუფები უწყვეტ, უშუალო კონტაქტს ამყარებენ; ამ პროცესს შედეგად მოჰყვება შესაბამისი ცვლილებები ერთი ან ორივე ჯგუფის კულტურულ მოდელებში (Redfield R., Linton R., Herskovits M., American Anthropologist, 1936).

რედფილდის და კოლეგების (Redfield et al., 1936) დეფინიციამ აკულტურაციის ფენომენის მკაფიო განმარტებამ ხელი შეუწყო მის შემდგომ ოპერაციონალიზებას. რედფილდის დეფინიციის საფუძველზე სემი (David L. Sam, 2006) აკულტურაციის სამ მნიშვნელოვან კომპონენტს გამოყოფს: (1) კონტაქტი, რაც აუცილებელი პირობაა იმისთვის რომ აკულტურაცია შედგეს, (2) ურთიერთგავლენა, რომელსაც კონტაქტში მყოფი განსხვავებული კულტურის წარმომადგენელი ჯგუფები ერთმანეთზე ახდენენ და (3) ცვლილება, რაც ხდება ორივე მხარის კულტურაში და წარმოადგენს ურთიერთგავლენის შედეგს.

ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებულმა ბუნდოვანებამ გარკვეულწილად შეაფერხა აკულტურაციის კონცეპტუალური ჩარჩოს შემდგომი ჩამოყალიბება. სხვადასხვა ეტაპზე ხდებოდა აკულტურაციის და ასიმილაციის ერთმანეთში აღრევა, რის გამოც მკვლევარები უღრმავდებოდნენ ტერმინთა არსს (Teske & Nelson, 1974; Sam, 2006) და ცდილობდნენ ტერმინების არასწორი გამოყენებისგან გამოწვეული დაბნეულობაში სიცხადე შეეტანათ. კერძოდ, ანთროპოლოგები აკულტურაციას იყენებდნენ კულტურული კონტაქტის შედეგად *პრიმიტიული* ხალხის უფრო *ცივილიზებულად* გარდაქმნის აღსაწერად (Powell, 1880-1883). ხოლო სოციოლოგები ტერმინებით

„ასიმილაცია“ და „აკულტურაცია“ ახასიათებდნენ იმიგრანტების მიერ *მასპინძელი* საზოგადოების ცხოვრების წესის ეტაპობრივ მიღებას (Sam, 2006). ასიმილაციის და აკულტურაციის ურთიერთმიმართების დასადგენად ტესკემ და ნელსონმა (Teske & Nelson, 1974) არსებული თეორიების საფუძველზე გააანალიზეს მათი მახასიათებლები და მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე: (1) ეს ორი ფენომენი ერთმანეთისგან განსხვავებული პროცესია, (2) აკულტურაციას ასიმილაციისგან დამოუკიდებლად შეიძლება ჰქონდეს ადგილი, (3) აკულტურაცია ასიმილაციის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი წინაპირობაა და (4) გაურკვეველია რა დონის აკულტურაციას უნდა ჰქონდეს ადგილი, სანამ ასიმილაცია იწყება.

რუდმინის (Rudmin, 2003) ტაქსონომიების ქრონოლოგიურ ჩამონათვალში მოხვედრილი 68 ტიპოლოგია კარგად აღწერს აკულტურაციის ფენომენის გარშემო სამეცნიერო საზოგადოებაში არსებულ ბუნდოვანებას. თავად ავტორი ამბობს, რომ ეს სია არ არის ამომწურავი. ჩამონათვალში ბოლო ადგილზეა ბერი (John W. Berry), რომელმაც ამ ეტაპისთვის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი და ოპერაციონალიზებული კონცეპტუალური ჩარჩო შექმნა. მის შემდეგაც იყო შემოთავაზებული განსხვავებული ტიპოლოგიები და მოდელები, რომლებიც ემპირიული მონაცემების შეგროვების პარალელურად კონცეფტუალიზაციის ფაზაშია (Rudmin, 2003) და აკულტურაციის ფენომენის გააზრების განსხვავებულ მიდგომებს გვთავაზობს (Schwartz et al., 2010; Bhatia, 2012; Gamsakhurdia, 2018).

ბერიმ (Berry 2003, 2006) გარკვეული სიცხადე შემოიტანა აკულტურაციის არსებული ტიპოლოგიების სიუხვეში, რითიც შესაძლებელი გახდა შედარებით სისტემურად იმის კვლევა, თუ რა ხდება ერთი განსხვავებული კულტურული რეალობიდან ახალში მოხვედრის შემდეგ.

ბერის მიხედვით, აკულტურაციის პროცესში **ოთხ შესაძლო სტრატეგიას³** აქვს ადგილი - *ასიმილაციას, სეპარაციას, ინტეგრაციას და მარგინალიზაციას* (Berry 1980,

³ ლიტერატურაში აკულტურაციის სტრატეგიების განსხვავებული სინონიმები გვხვდება, მათ შორისაა, აკულტურაციის ორიენტაციები, სტილები და შედეგები. სადისერტაციო კვლევაში და ნაშრომში გამოყენებულია ტერმინი აკულტურაციის ორიენტაციები

2003, 2006), იმისდა მიხედვით თუ როგორი დამოკიდებულება აქვს უმცირესობის წარმომადგენელ ინდივიდს (M) საკუთარი კულტურის შენარჩუნების და დომინანტური კულტურაში (D) მონაწილეობის/უმრავლესობასთან ურთიერთობის მიმართ.

არადომინანტური ჯგუფის პერსპექტივიდან, როცა ინდივიდებს არ აქვთ საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნების სურვილი და ცდილობენ ყოველდღიური ინტერაქცია ჰქონდეთ დომინანტურ ჯგუფთან, ასიმილაციის (M-D+) ორიენტაციასთან გვაქვს საქმე.

თუ უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელისთვის ღირებულია საკუთარი კულტურის შენარჩუნება და ცდილობს ამავე დროს აიცილოს განსხვავებულ ჯგუფებთან კონტაქტი, ის სეპარაციის (M+D-) სტრატეგია ირჩევს.


როცა ინდივიდს ინტერესი აქვს როგორც საკუთარი კულტურის შენარჩუნების, ისე ყოველდღიური ურთიერთობის განსხვავებულ/დომინანტურ კულტურულ ჯგუფთან, ინტეგრაციის (M+D+) სტრატეგიასთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში საკუთარი იდენტობისადმი ერთგულება ნარჩუნდება, ამავე დროს ინდივიდი ცდილობს აქტიურად გახდეს უფრო დიდი სოციალური ქსელის შემადგენელი ნაწილი.

იმ შემთხვევაში, როცა მცირე შესაძლებლობა ან ინტერესია საკუთარი კულტურის შენარჩუნების (რიგ შემთხვევაში ძალადობრივად), და მცირეა ინტერესი სხვა ჯგუფებთან ურთიერთობის (ხშირად გარიყულობის ან დისკრიმინაციის გამო), მარგინალიზაციას (M-D-) აქვს ადგილი (Berry, 2006).

საკუთარი და მიმღები/მასპინძელი კულტურების შენარჩუნება-მიღება, და ჩართულობა ორივე ჯგუფში სასურველ სტრატეგიად არის მიჩნეული, რადგან დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნის უკეთეს შედეგთან დანარჩენ სტრატეგიებთან შედარებით, რაც სხვადასხვა ემპირიული კვლევით მტკიცდება (Bourhis et al. 1997; Berry 2006, Shekriladze, 2018; Safdar et al., 2021; Choy et al., 2021). თუმცა არსებობს კრიტიკული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით სადაოა ინტეგრაციის ორიენტაციის სასურველობა (Rudmin, 2003; Bhatia, 2013).

ბერის მიხედვით, ეს სტრატეგიები ეფუძნება დაშვებას, რომ არადომინანტურ ჯგუფებს და მათ ინდივიდუალურ წევრებს აქვთ უმრავლესობასთან ურთიერთობის ფორმების არჩევის თავისუფლება. თუ დომინანტური ჯგუფთან ინტერაქცია თავსმოხვეული და იძულებითია, სხვა ტერმინები უნდა იყოს გამოყენებული ამ სიტუაციის აღსაწერად (Berry, 2006).

ილუსტრაცია 1. ბერის აკულტურაციის სქემა (Berry, 2003, 2006)



ბერის მიერ შემოთავაზებულ სქემაში ინტერკულტურული ურთიერთობა განხილულია ორივე მხარის - როგორ უმცირესობის, ისე უმრავლესობის - პერსპექტივიდან. აკულტურაციის აღნიშნული ოთხი ორიენტაციის პრინციპის მიხედვით განისაზღვრება ფართო საზოგადოების სტრატეგიებიც. მულტიკულტურალიზმთან გვაქვს საქმე, თუ სახელმწიფო/საზოგადოება ინკლუზიურია, კულტურული მრავალფეროვნებას აღიარებს და ინტეგრაციის ხელშემწყობ გარემოს ქმნის. შერწყმას აქვს ადგილი, როცა უმცირესობის ჯგუფი იძულებულია დათმოს


საკუთარი კულტურული იდენტობა და შეუერთდეს უმრავლესობას. *სეგრეგაცია* ხდება უმრავლესობის მიერ უმცირესობის არ მიღების დროს. *გარიყვა/გარიცხვა* მაშინ, როცა არც ერთი ჯგუფი არ იღებს ინდივიდს (Berry, 2003, 2006).

2014 წლის ვიდეო ინტერვიუში⁴ ბერი საუბრობს სახელმწიფოს მიერ სწორი პოლიტიკის შემუშავებაში კროს კულტურული ფსიქოლოგიის გამოყენებით მნიშვნელობასა და როლზე. კერძოდ, როგორ შეუძლია კვლევას შეიტანოს წვლილი პოლიტიკებისა და პროგრამების განვითარებაში. ბერი ასევე ეხმიანება მულტიკულტურალიზმის კრიტიკას და ამბობს, რომ ეს ფენომენი უფრო მეტია ვიდრე კულტურული მრავალფეროვნების აღიარება, ვინაიდან წარმოადგენს ბარიერების მოხსნას, ღიაობას, ადამიანების წახალისებას მონაწილეობა მიიღონ დიდი საზოგადოების ცხოვრებაში. შესაბამისად მცდარია აზრი, რომ მულტიკულტურალიზმის კონცეფციამ არ იმუშავა და ვერ გაამართლა, რადგან სინამდვილეში არავის უცდია მისი ჯეროვნად განხორციელება (Berry, 2014).

აკულტურაციის პროცესი გულისხმობს შეხებაში მყოფი ორივე კულტურის ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე მიმდინარე აფექტურ, ქცევით და კოგნიტურ ცვლილებებს (Sam, 2006). ბერის (Berry, 2005; Sam, 2006) აკულტურაციის კონცეპტუალიზაციისა და შესწავლის ჩარჩოში მოცულია ინდივიდუალური და ჯგუფური დონეები. ბერი შეეცადა წარმოედგინა აკულტურაციის მოქმედების ხედვა და კულტურული კონტექსტის ხუთი ძირითადი ასპექტი: A და B კულტურა, ეთნოკულტურული ჯგუფები, რომლებიც განიცდიან ცვლილებას; და მათ შორის კონტაქტის და ურთიერთობის ბუნება (Berry, 2005).

⁴ https://www.youtube.com/watch?v=XAm0iqkZCKI&ab_channel=CACRVUW

ილუსტრაცია 2. ბერის აკულტურაციის კონცეპტუალიზაციისა და შესწავლის ჩარჩო (Berry, 2005; Sam, 2006)



თანამედროვე სამყაროს დინამიკა, გადაადგილების თავისუფლება და საზღვრების „მოშლა“, ახალი საკომუნიკაციო არხების გაჩენა, აკულტურაციის ფენომენის გადააზრების საჭიროებას და მისი კვლევის გამოყენებით დატვირთვას ზრდის (Sam, 2006; Bhatia, 2012). აკულტურაციის ფენომენის უნივერსალური კატეგორიებით შესწავლა ყურადღების მიღმა ტოვებს „კულტურათა შორის ცხოვრების“ მნიშვნელოვან ასპექტებს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აკულტურაციის პროცესში მყოფი ყველა ჯგუფის მიერ „ფსიქოლოგიური აზროვნების ერთიდაიმავე“ მოდელების გამოყენებას (Schwartz et al., 2010; Bhatia, 2012). არსებულ კონცეპტუალიზებას აკლია სოციოკულტურული ცვლილების მექანიზმის და პიროვნებას და კულტურას შორის მიმართების სათანადო ახსნა (Gamsakhurdia, 2018). აკულტურაციის როგორც დიალოგური და დინამიური პროცესის განხილვა შემოთავაზებული იყო არსებული კონცეპტუალური ნაკლოვანებაზე საპასუხოდ (Bhatia, 2012; Gamsakhurdia, 2018). გამსახურდია პროკულტურაციის ახალ ტერმინს ამკვიდრებს და განიხილავს მას როგორც დაუსრულებელ, დიალოგური განვითარების პროცესს, რომელიც ჩნდება ცხოვრების მანძილზე ნებისმიერ ახალ კულტურულ ელემენტთან შეხვედრისას (Gamsakhurdia, 2018). პროკულტურაცია

ვითარდება სუბიექტური ინტერპრეტაციისა და მნიშვნელობის შექმნის პროცესში. გამსახურდია მიიჩნევს, რომ პიროვნება და კულტურა იცვლება ახალ კულტურებთან შეხვედრისას და ცვლილება ორივე მხარეს ეხება. ცვლილების ბუნება კი დამოკიდებულია ინდივიდების მიერ ინტერაქციის პროცესში ახალი კულტურული ელემენტებისთვის მინიჭებულ მნიშვნელობაზე (Gamsakhurdia, 2018).

1.2. აკულტურაციის ხასიათი, დონე, მიმართულება, დომენი და განზომილება

აკულტურაციის პროცესში ნებაყოფლობითობა-იძულების ხასიათის, ინდივიდუალური და ჯგუფური დონეების, გავლენის მიმართულების (ცალმხრივობის თუ ორმხრივობის), განსხვავებული სტრატეგიათა არსებობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (დომენზე) და ფენომენის განზომილებების საკითხები ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს (Teske&Nelson, 1974; Liebkind, 2003; Sam, 2006; Berry, 2006).

ტესკე და ნელსონი (Teske&Nelson, 1974) საინტერესოდ მიიჩნევენ ბოგარდუსის (Bogardus, 1949) მიერ შემოთავაზებული აკულტურაციის ტიპოლოგიას. *ბრმა აკულტურაციას* მაშინ აქვს ადგილი, როცა განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები ერთმანეთის სიახლოვეს ცხოვრობენ და ერთმანეთის კულტურული მოდელების მიღება შემთხვევითობის საფუძველზე ხდება. *თავს მოხვეული აკულტურაციის* დროს, ერთი ჯგუფის ადამიანები მეორეს კულტურის დათრგუნვას და საკუთარი იდეებისა და ქცევების თავზე მოხვევას ცდილობენ. მესამე ტიპს *დემოკრატიული აკულტურაცია* წარმოადგენს და გულისხმობს ადამიანების მიერ ერთმანეთის კულტურების პატივისცემას. ურთიერთ აღიარება არ ხდება იძულებით და კულტურული პლურალიზმი უზრუნველყოფს ორი კულტურის ერთად ფუნქციონირებას (Teske &Nelson, 1974, Sam, 2006).

აკულტურაციის პროცესში აღსანიშნავია მისი ორი დონე - ინდივიდუალური და ჯგუფური. რედფილდის (Redfield et al.) დეფინიციიდანაც ჩანს, რომ საწყის ეტაპზე

აკულტურაცია მიიჩნეოდა როგორც ჯგუფის დონეზე მიმდინარე პროცესი. თუმცა მოხდა მკვლევარების მიერ მისი ინდივიდუალური დონის ფენომენადაც აღიარება და ტერმინის „ფსიქოლოგიური აკულტურაცია“ შემოღება, რაც მოიცავს სხვა კულტურასთან უშუალო კონტაქტისას ან საკუთარი ეთნიკური/კულტურული ჯგუფის აკულტურაციის პროცესში მონაწილეობისას ინდივიდის მიერ განცდილ ცვლილებას (Sam, 2006). ფსიქოლოგიური აკულტურაცია გულისხმობს ქცევით, აფექტურ და კოგნიტურ ცვლილებებს, რაც აკულტურაციულ სტრესს წარმოშობს (Ward, 2006). კულტურათა შორის ურთიერთობის შედეგად ინდივიდები სხვა/უცხო კულტურის მახასიათებლების გადაღების პროცესში არიან და ეს მოვლენა განსაკუთრებით სტრესულია, როცა ამ კულტურათა თვისებები ურთიერთსაწინააღმდეგოა (Triandis, 1994). აკულტურაციის თანმხლებ გრძელვადიან ცვლილებებს სირლი და ვორდი (Searle&Ward, 1990; Ward 2001) ყოფენ ორი ტიპის ადაპტაციად: ფსიქოლოგიური (ფსიქოლოგიური/ემოციური კარგად ყოფნა და კმაყოფილება) და სოციო-კულტურულ (შესაბამის გარემოში მორგების უნარები) (Searle&Ward, 1990; Sam 2006; Ward 2006). კონტექსტიდან გამომდინარე, მკვლევარები მასზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს და გარემოებას ასახელებენ. მათ შორისაა: სოციალური სტატუსი, საკუთარი ეთნიკური ჯგუფის და ოჯახის დამოკიდებულება უმრავლესობის და მასთან ურთიერთობის მიმართ, უმრავლესობის დამოკიდებულების აღქმა და აღქმული დისკრიმინაცია (Jasinskaja-Lahti, Liebkind, Horenczyk & Schmitz, 2003; Schwartz et al., 2010; Khawaja, 2016), სოციალური დისტანციის (Van de Vijver, Te Lindert, Fontaine, 2014) და კულტურული მსგავსების (Schwartz, 2010) ან კულტურათა თვისებების განსხვავებულობის (Triandis, 1994) აღქმა, უმრავლესობასთან ურთიერთობის პირადი გამოცდილება და აკულტურაციის პროცესთან დაკავშირებული უსიამოვნებები (Safdar et al., 2003, 2021), ადაპტაციის ინდივიდუალური უნარები, ფსიქოლოგიური ადაპტაცია და სიძლიერე (Safdar et al., 2003, 2021), მიგრანტის/უმცირესობის წარმომადგენლის მხრიდან მასპინძელი საზოგადოების შერჩევის შესაძლებლობა და სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი (Berry, 2006) და ა.შ.

აკულტურაცია განიხილება როგორც მუდმივი პროცესი და არა იზოლირებული მოვლენა (Thurnwald 1932). ბერის მიხედვით, აკულტურაციის პროცესის შედეგები/სტრატეგიები ძალიან ცვალებადია და დამოკიდებულია სოციალურ და პიროვნულ ცვლადებზე (Khawaja, 2016). ეს ფაქტორები უკავშირდება კულტურულ კონტექსტს, რომელშიც ინდივიდი ცხოვრობს და ისინი უკავშირდება როგორც საკუთარ ეთნიკურ, ისე უმრავლესობის ჯგუფს (Berry, 2006). აკულტურაციის შედეგად ცვლილებები ორივე მხარეს ხდება - უმცირესობაში და უმრავლესობაში. აკულტურაციის მიმართულებაც შესაბამისად ორმხრივია (Sam, 2006).

ინდივიდის აკულტურაციის ორიენტაცია შეიძლება განსხვავებული იყოს არა მხოლოდ დროის სხვადასხვა მონაკვეთში, არამედ ერთი და იმავე პერიოდშიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (domain) მიხედვით (Sam, 2006). შესაძლებელია საჯარო/კორპორატიულ სივრცეში მიგრანტს ჰქონდეს არჩეული ასიმილაციის სტრატეგია, ხოლო პირად სივრცეში - სეპარაციის (Khawaja, 2016). აკულტურაციის პროცესი შეიძლება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (domain) არაიდენტურად მიმდინარეობდეს. ეს სფეროები შეიძლება წარმოადგენდეს კულტურულ ტრადიციებს, ღირებულებებს, სიმბოლური დატვირთვის მქონე დღეების აღნიშვნას, მედია სივრცეს, ასევე გამოიხატოს ყოველდღიურ პრაქტიკებსა და ჩვევებში, მუსიკის, საკვების, კვებისა და შოპინგის ობიექტების არჩევანში. შესაბამისად, კვლევის დიზაინიც შეიძლება მოერგოს შესაბამის ამოცანას - აკულტურაციის ზოგადი სტრატეგიის განსაზღვრა გვსურს, თუ რომელიმე სფეროში (domain) მიმდინარე ცვლილების პროცესის (Arends-Toth, Vijver 2006).

აკულტურაციის გაანალიზებისა და კვლევისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მისი განზომილება წარმოადგენს, რაც მკვლევარებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს (Sam, Berry 2006). შესაბამისად არსებობს ერთ და ორ განზომილებიანი მოდელები:

1. *ერთგანზომილებიანი* მოდელში დომინანტურ კულტურასთან დაახლოებას პირდაპირ მოჰყვება საკუთარ კულტურასთან დაშორება. გორდონის მიხედვით

(Gordon, 1964), მიმღებ საზოგადოებასთან იდენტიფიკაციის პარალელურად ინდივიდი კარგავს საკუთარი, ტრადიციული კულტურის იდენტობას (Jasiskaja-Lahti, 2000; Rudmin, 2003). ამ მოდელში ორივე კულტურის შეთავსება გააზრებულია როგორც აკულტურაციის პროცესის შუალედური ეტაპი, რომელიც სეგრეგაციიდან იწყება და სრული ასიმილაციით სრულდება (Jasiskaja-Lahti, 2000).

2. *ორგანზომილებიანი* მოდელის მიხედვით, ახალ კულტურასთან იდენტიფიცირება და მისი ელემენტების მიღება შესაძლებელია პირვანდელი კულტურის შენარჩუნების პარალელურად (Bourhis et al., 1997, Hutnik 1986; Berry 2003, 2006), შესაბამისად ეს ორი განზომილება ურთიერთდამოუკიდებლად უნდა იყოს განხილული.

ამ პრინციპულად განსხვავებული ხედვების მიუხედავად აღსანიშნავია, რომ ერთ და ორ-განზომილებიანი მოდელების საერთო მახასიათებელია საკუთარი და უცხო კულტურის/ჯგუფის აღიარება აკულტურაციის ფენომენის ორ ძირითადი ღერძად, რომელსაც ეფუძნება მისი კონცეპტუალიზაცია და კვლევის მიდგომები.

1.3. აკულტურაციის მოდელები და კვლევის მიდგომები

ეთნიკური უმცირესობების საკუთარ და უმრავლესობის ჯგუფებთან იდენტიფიკაციის და იდენტობებს შორის ურთიერთმიმართების საკითხი აკულტურაციის კვლევების ყურადღების ცენტრშია (Hutnik, 1986; Phinney, 1990; Jasiskaja-Lahti, 2000; Phinney J., Horenczyk G., Liebkind K., Vedder P., 2001; Sam, 2006; Berry, 2006; Schwartz et al., 2010; Bhatia, 2007; 2013).

სტატიაში „ეთნიკური უმცირესობების იდენტიფიკაციის მოდელები და სოციალური ადაპტაციის გზები“, ჰუტნიკი (Hutnik, 1986) ორ მნიშვნელოვან დასკვნას

აკეთებს. (1) ის მიიჩნევს, რომ მრავალეთნიკურ და რასობრივ საზოგადოებებში ეთნიკური იდენტობის შესწავლისას ორპოლუსიანი მოდელის გამოყენება საქმის და საკითხის ზედმეტად გამარტივებას ნიშნავს. შესაბამისად ამ შემთხვევაში ოთხ-პოლუსიანი მოდელი უფრო რელევანტურია.

ჰუტნიკი ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის ოთხ სტრატეგიას გამოყოფს: იმის მიხედვით თუ რა ხარისხით ახდენენ ინდივიდები იდენტიფიკაციას უმცირესობის და უმრავლესობის ჯგუფებთან. შესაბამისად *აკულტურაციული (acculturative)* ინდივიდი ორივე ჯგუფის წევრად განიხილავს თავს, *ასიმილაციური (assimilative)* - კონცენტრირებას ახდენს იდენტობის უმრავლესობასთან დაკავშირებულ ასპექტზე. *დისოციაციური (dissociative)* - იდენტიფიცირებას მხოლოდ საკუთარი, უმცირესობის ჯგუფთან ახდენს, ხოლო *მარგინალური (marginal)* არც ერთთან (Hutnik, 1986). აკულტურაციის კონცეპტუალური პარადიგმის ცვლილება მოხდა იმის დაშვებით, რომ დომინანტურ ჯგუფთან ურთიერთობის პარალელურად, უმცირესობის ჯგუფს შეუძლია გააღრმავოს, შეინარჩუნოს ან უარყოს საკუთარი ეთნიკური იდენტობა. ამან შექმნა საფუძველი ორგანოზომილებიანი მოდელის გასავითარებლად. ჰუტნიკი ხედავს ბმას ეთნიკური უმცირესობების იდენტიფიკაციას და სოციალური იდენტობის თეორიას შორის (Hutnik, 1986). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მიიწრაფიან, რომ პოზიტიურ სოციალურ იდენტობას მიაღწიონ. ამ შემთხვევაში ისინი როგორც წესი ეცდებიან შედარებით პრივილეგირებულ უმრავლესობის ჯგუფს მიუახლოვდნენ და ამ პროცესში ეთნოცენტრიზმი და მისი დადებითი მხარეები, როგორცაა ჯგუფის კოჰესია, სოლიდარობისა და კუთვნილების გრძნობა შეიძლება დაიჩრდილოს. შესაბამისად ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის უფრო ღრმა კვლევისთვის, საჭიროა მისი იდენტიფიკაციის ხარისხის შესწავლა, როგორც საკუთარი, ისე დომინანტური ჯგუფის მიმართ (Hutnik, 1986).

ჰუტნიკმა (Hutnik, 1986) ეთნიკური თვით-იდენტიფიკაციის სტრატეგიები შეადარა სოციალური ადაპტაციის ოთხ მოდელს, რომელიც შესაბამისი ცვლადების კლასტერული ანალიზით გამოავლინა. მისი დაშვება იყო, რომ თვითიდენტიფიკაციის მნიშვნელობები

დაემთხვეოდა შესაბამისი ქცევის დემონსტრირებას. შედარების შედეგად მათ შორის ვერ დაადგინა ბმა. შესაბამისად მისი (2) მეორე საგულისხმო დასკვნა ეხება შეცდომას იმის დაშვებაში, რომ პიროვნების ეთნიკური იდენტობა პირდაპირ კავშირშია ორ კულტურაში მცხოვრები პირის მიერ გამოვლენილ ქცევასთან. ის ასკვნის, რომ ეთნიკური იდენტობა ინდივიდს სოციალური ადაპტაციის მოდელისგან დამოუკიდებლად, ნაწილობრივად ავტონომიურად უნდა იყოს განხილული.

ჰუტნიკის მსგავსად, ფინიმ და კოლეგებმა (Phinney, Horenczyk, Liebkind, Vedder, 2001) შემოგვთავაზეს ეთნიკური კატეგორიზაციის მოდელი, რომელიც ორგანომილებიან მიდგომას ეფუძნება. მათ მოდელში, ეთნიკური და მიმღებ საზოგადოებასთან დაკავშირებული („ეროვნული“) იდენტობები წარმოადგენს ორ, ურთიერთ დამოუკიდებელ განზომილებას. ინდივიდს, რომელიც ინარჩუნებს საკუთარ ეთნიკურ იდენტობას და ასევე ახდენს იდენტიფიცირებას ახალ საზოგადოებასთან, მიჩნეულია რომ აქვს *ინტეგრაციული (ბიკულტურული) იდენტობა*. *სეპარაციული იდენტობა* აქვს პირს, რომელიც ინარჩუნებს საკუთარ ეთნიკურ იდენტობას, მაგრამ არ იღებს ახალ კულტურას; ხოლო როცა საპირისპიროს აქვს ადგილი - იდენტობა ასიმილაციურია. მარგინალური იდენტობის შემთხვევაშია, უარყოფილია ორივე - საკუთარი და მიმღები საზოგადოების იდენტობები (Phinney, Horenczyk, Liebkind, Vedder, 2001).

ორი განზომილება შემდგენაირად არის წარმოდგენილი ბერის იმიგრანტების აკულტურაციის სკალაზე⁵ (Bourhis R. Y., Moise L. C., Perreault S., Senecal S., 1997), არის თუ არა ღირებული:

- (1) კულტურული იდენტობის და მახასიათებლების შენარჩუნება, და
- (2) ურთიერთობა სხვა ჯგუფებთან (Berry, 2003, 2006, 2012).

80-90-იან წლებში ამ ინსტრუმენტით ჩატარებული კვლევების მთავარი მიგნებები იყო შემდეგი: ინტეგრაცია არის აკულტურაციის ყველაზე ხშირად არჩეული მოდელი, შემდეგი არჩევანი არის ასიმილაცია და სეპარაცია, ყველაზე ნაკლებად მარგინალიზაცია.

⁵ Immigrant Acculturation Scale, IAS


ბერიმ ეს ფენომენი ახსნა პლურალისტური იდეოლოგიის გავლენით და განიხილა იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყნებში არსებული ინტეგრაციული პოლიტიკის/პრაქტიკის შინაარსის მიხედვით შეიძლება აკულტურაციის ორიენტაციების განსხვავებული განაწილება მივიღოთ. აკულტურაციის სტრესს ნაკლებად განიცდიან ის ინდივიდები, ვინც ინტეგრაციას ირჩევს (Safdar et al., 2021). ყველაზე მაღალი სტრესი არის მარგინალიზაციის, და შემდეგ სეპარაციის სტრატეგიის შემთხვევაში. ხოლო ასიმილაციის შემთხვევაში სტრესის მაჩვენებელი საშუალოა (Bourhis, Moise, Perreault, Senecal, 1997).

ბური და კოლეგები (Bourhis R. Y., Moise L. C., Perreault S., Senecal S., 1997) აღნიშნავენ, რომ ბერის ორი განზომილების ფორმულირება არათანმიმდევრულია. თუ პირველი საკუთარი კულტურის შენარჩუნებას ეხება, მეორე უნდა ეხებოდეს მასპინძელი საზოგადოების კულტურის ელემენტების მიღებას (adoption), რაც კონცეპტუალურად უფრო დაახლოებდა ამ ორ განზომილებას. შესაბამისად მათ მოახდინეს იმიგრანტების აკულტურაციის სკალის მოდერნიზაცია (IASm) და განახლებული ინსტრუმენტის ტესტირება.

ამ კონცეპტუალური დისკუსიის ფონზე, საინტერესოა საკვლევი საკითხის ფორმულირება სნოვერტის და კოლეგების კვლევაში (Snauwaert et.al, 2003). კერძოდ, ნამდვილად ნიშნავს თუ არა ინტეგრაცია ინტეგრაციას, თუკი მას სხვადასხვაგვარი თეორიული პერსპექტივიდან გავზომავთ. მათ კვლევაში, აკულტურაციის სტრატეგიების დადგენა მოხდა ორი (ორგანზომილებიანი) მოდელის მიხედვით, რომლებიც მეორე განზომილებას კულტურის *მიღების* (adoption) და *კონტაქტის* (contact) კონცეპტუალიზაციაზე აფუძნებენ. პირველის შემთხვევაში, დომინანტური კულტურის ელემენტების მიღების, ხოლო მეორის - დომინანტურ ჯგუფთან კონტაქტის მნიშვნელოვნება იზომება. ერთიდაიმავე ჯგუფში ჩატარებულ კვლევაში შედეგები განსხვავებულად გადანაწილდა. თურქი მიგრანტების მონაწილეობით ჩატარებულ კვლევაში, ბელგიური კულტურის მიღების მზაობაზე მეტად მათთან ურთიერთობის მზაობა გამოვლინდა. შესაბამისად ავტორები ასკვნიათ, რომ კვლევისას საკვანძო

მნიშვნელობა აქვს დომინანტურ ჯგუფთან მიმართებას რომელი კონცეფციის მიხედვით გავზომავთ, რადგან ამაზეა დამოკიდებული უმცირესობის მიერ სტრატეგიის შერჩევა და მისი დადგენა. შესაძლებელია უმცირესობა მზად იყო უფრო უმრავლესობასთან კონტაქტისთვის, ვიდრე დომინანტური კულტურის ელემენტების მიღებისთვის (Snauwaert et.al, 2003; ქიტაშვილი, ტყეშელაშვილი, 2022). შესაბამისად აკულტურაციის სტრატეგიების ინტერპრეტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორი სურათის მისაღებად.

ილუსტრაცია 3. აკულტურაციის ორი მოდელი (Snauwaert et.al, 2003)⁶



ამ კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო ჰუტნიკის მიხედვით შემუშავებული ორგანოზომილებიანი ინდენტიფიკაციის მოდელი. კვლევის მეორე მთავარ მიგნებას წარმოადგენს იმის დადასტურება, რომ ეთნიკური იდენტიფიკაცია/თვითკატეგორიზაცია არაა დაკავშირებული აკულტურაციის სტრატეგიების

⁶ მოდელის ილუსტრაცია პირველად გამოქვეყნდა სტატიაში ქიტაშვილი, ტყეშელაშვილი, 2022

შერჩევასთან. ეთნიკური იდენტიფიკაციის და აკულტურაციის პატერნები სუსტად არის დაკავშირებული. ეთნიკური უმცირესობის წევრად თვითკატეგორიზაცია ცვლილებისადმი რეზისტენტულია, მაშინაც კი როცა ინდივიდს მიმღები საზოგადოების კულტურული მახასიათებლების წარმატებით აქვს მიღებული (Snauwaert et al., 2003). შესაბამისად იძლევა იმის დაშვების საშუალებას, რომ ეთნიკური იდენტიფიკაცია არასწორხაზოვნად აისახება აკულტურაციის სტრატეგიის შერჩევაზე.

ეთნიკური და ეროვნული იდენტობის/იდენტიფიკაციის გასაზომად ინსტრუმენტების ფართო სპექტრი გამოიყენება (Hutnik, 1986; Phinney, 1990; Isakinskaja-Lahti, 2000; Snauwaert et al., 2003). ტროპმა და რაითმა (Tropp, Wright, 2001) ჯგუფთან იდენტიფიკაციის კონცეფცია დაუკავშირეს ჯგუფის მე-ში ჩართულობას. ეს მოსაზრება ავტორებმა დააფუძნეს სოციალური იდენტობის თეორიას, რომლის მიხედვით სოციალური იდენტობა არის ინდივიდის სოციალური ჯგუფის წევრობით განპირობებული მე-კონცეფციის ნაწილი. ტროპის და რაითის აზრით, როცა ინდივიდი თვით-კატეგორიზაციას ახდეს რომელი ჯგუფის წევრად, ეს ჯგუფი ხდება მისი მე-ს ნაწილი, ამ დროს ინდივიდი საკუთარ ნაწილად აღიარებს ამ ჯგუფის მახასიათებლები. ავტორებმა ეს მოსაზრება დაასაბუთეს ოთხი კვლევიდან მიღებული ემპირიული მონაცემებით, რომელშიც არონის (Aron et al., 1992) და კოლეგების სხვის საკუთარ მე-ში ჩართულობის (Inclusion of Other in Self) ინსტრუმენტი გამოიყენეს და იდენტიფიკაციის სხვა ინსტრუმენტებთან მისი ძლიერი კორელაცია დაადასტურეს (Tropp, Wright, 2001).

აკულტურაციის შესწავლის კონტექსტში, კულტურული ცვლილების დადგენის მიზნიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „კულტურის“ განსაზღვრას (Sam, 2006; Schwartz et al., 2010; Gamsakhurdia, 2018). ტრიანდისი (Triandis, 1994) სხვადასხვა დეფინიციის საფუძველზე განმარტავს, რომ კულტურა არის ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტური და სუბიექტური ელემენტების ერთობლიობა, რომელსაც წარსულში გადარჩენის ეფექტი ჰქონდა, რამაც გამოიწვია მონაწილეების კმაყოფილება და ერთიდაიმავე დროსა და სივრცეში მცხოვრები და ერთი საკომუნიკაციო ენის მქონე ინდივიდებში მისი გაზიარება (Triandis, 1994). საერთო კულტურა ნიშნავს ჯგუფის

შიგნით გაზიარებულ მნიშვნელობებს და გაგებებს (Scwartz et al., 2010). განსხვავებული კულტურის მატარებელი ინდივიდების და ჯგუფების ურთიერთობისას აღქმულ მსგავსებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უმცირესობის და მიმღები საზოგადოების კულტურებს შორის მსგავსება განაპირობებს აკულტურაციის მიმდინარეობას და იმას, რამდენად დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო ახალ კულტურასთან ადაპტაციისთვის (Rudmin, 2003; Berry, 2006). ტრიანდისი მიიჩნევს, რომ კულტურათა განსხვავებულობის დროს თავს იჩენს კულტურული შოკის ფენომენი, როცა ინდივიდებს უჭირთ სხვათა ქცევის გაგება, რაც შესაძლებელია ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სიმპტომატიკაშიც გამოიხატოს. რაც უფრო დიდია კულტურული დისტანცია, მით უფრო მცირეა მსგავსების აღქმა. ამავე დროს რაც უფრო დიდია უცხო კულტურის ცოდნა, მით უფრო მაღალია მსგავსების აღქმა (Triandis, 1994). *კულტურული დისტანციის* ფენომენი წარმოადგენს წარმოშობის და „კონტაქტის“ კულტურებს შორის მსგავსება-განსხვავების აღქმას. კროს კულტურული გარდაქმნა ნაკლებად მტკივნეულია, თუ ეს კულტურები ერთმანეთს ჰგავს (Triandis, 1994; Masgoret & Ward 2006; Berry, 2006; Schwartz et al., 2010). კვლევებით დასტურდება, რომ ის იმიგრანტები, რომლებიც უფრო მეტ სიახლოვეს აღიქვამენ მასპინძელ საზოგადოებასთან, სოციოკულტურული ადაპტაციის უფრო მაღალ ხარისხს განიცდიან (Searle & Ward 1990; Ward, Bochner, Furnham, 2001). შესაბამისად, თუ დისტანცია დიდია, ადამიანებს უჭირთ სპეციფიკური კულტურული უნარების შესწავლა.

შემოთავაზებული კონცეპტუალური პერსპექტივების და მიდგომების სიმრავლეში, მნიშვნელოვანია მათი დამაკავშირებელი ძირითადი პრინციპების დადგენა. საფდარის და კოლეგების მიერ შემოთავაზებული (Safdar, Lay, and Struthers, 2003) მრავალგანზომილებიანი ინდივიდუალური განსხვავების აკულტურაციის (MIDA) მოდელი რამდენიმე ფსიქოლოგიური კონცეფციის და მიდგომის გაერთიანების მცდელობაა. მათ შორისაა სოციალური იდენტობის თეორია (Tajfel & Turner, 1979), აკულტურაციის ატიტუდები და დამოკიდებულებები (Berry, 1980), დადებითი ფსიქოლოგიური ფუნქციონირება (Ryff & Singer, 1996), ეთნიკური იდენტობა (Phinney, 1990), ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული ადაპტაცია (Searle & Ward, 1990) და

უსიამოვნებები და ფსიქოლოგიური დისტრესი (DeLongis, Coyne, Dakof, Folkman, & Lazarus, 1982).

საფდარი და კოლეგები (Safdar et al., 2003) მულტიკულტურულ საზოგადოებებში ემიგრანტების სამ ძირითადი მიზანს აღნიშნავენ - საკუთარი კულტურის შენარჩუნება, მასპინძელ საზოგადოებაში მონაწილეობა და ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობის შენარჩუნება. მოდელში მოცემულია სამი კომპოზიტიური პროგნოზირებადი ცვლადი იყო:

- ფსიქო-სოციალური ადაპტაცია (იგულისხმება ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა, ბიკულტურული კომპეტენცია და გარე ჯგუფის სოციალური მხარდაჭერა);
- კავშირი ოჯახთან და საკუთარ კულტურასთან (ოჯახური ალოცენტრიზმი, ეთნიკური იდენტობა და შიდა ჯგუფის აღქმული მხარდაჭერა); და
- აკულტურაციის სპეციფიკური და არასპეციფიკური ყოველდღიური უსიამოვნებების/სირთულეების გამოცდილება.

2003 წლის კვლევაში, რომელშიც MIDA-ს მოდელის შემოთავაზება მოხდა, ავტორებმა გამოიყენეს ტერმინი მედეგობა (resilience), რომელიც შემდგომ კვლევაში (Safdar S., Ray-Yol E., Reif J. A. M., Berger R. 2021) ფსიქოლოგიური სიძლიერით ჩაანაცვლეს, რადგან თავდაპირველად არ ჰქონდათ გამოყენებული შესაბამისი საზომი. ფსიქოლოგიური სიძლიერე ავტორების მიერ გამოყენებულია როგორ დაცვის მექანიზმი, რომელიც გავლენას ახდენს "ახალი წევრის" ადაპტაციის პროცესზე. ფსიქოლოგიური სიძლიერის განსასაზღვრად გამოყენებული სკალა ექვს განზომილებას ფარავს: საკუთარი თავის მიღება, პოზიტიური ურთიერთობა სხვებთან, ავტონომია, გარემოს ფლობა, ცხოვრების მიზანი და პიროვნული ზრდა. მოდელი ასევე მოიცავს გარე/სხვა და საკუთარი ჯგუფების სოციალური მხარდაჭერის აღქმას, კულტურული კომპეტენციის აღქმას, უსიამოვნებების/სირთულეების იდენტიფიცირების და ჯანმრთელობის სიმპტომების აღქმას, აკულტურაციის სტრატეგიების განსაზღვრას, ფსიქოლოგიური დისტრესის აღქმას და დასაქმების სტატუსის დადგენას. 2021 წელს გერმანიაში


დასახლებულ სირიელ დევნილებზე ჩატარებულ კვლევაში (Safdar S., Ray-Yol E., Reif J. A. M., Berger R. 2021) გამოვლინდა ფსიქოლოგიური სიძლიერის მაღალი დონის მქონეთა დაბალი დონის ფსიქოლოგიური დისტრესი და ჯანმრთელობის პრობლემების ნაკლები სიმპტომები. ამის საფუძველზე ავტორები ასკვნიან, რომ ფსიქოლოგიური რესურსები საზოგადოების ახალი წევრების უკეთეს ადაპტაციასთან არის დაკავშირებული. გარე/უცხო ჯგუფის მხარდაჭერის აღქმა, ასევე მაღალი დონის კულტურული კომპეტენცია, უკეთეს ადაპტაციას და ნაკლებ დისტრესთან იყო დაკავშირებული. ასევე, საკუთარი ჯგუფის მხარდაჭერა დაკავშირებული იყო წარმოშობის კულტურაზე ორიენტაციასთან. აკულტურაციის პროცესში გაჩენილი სირთულეების/უსიამოვნებების აღქმა სირიელ დევნილებში დაკავშირებული იყო ფსიქოლოგიურ დისტრესთან (Safdar et al., 2021).

აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, ავტორები რამდენიმე მნიშვნელოვან პრაქტიკულ რეკომენდაციას აძლევენ შესაბამის ინსტიტუტებს/დაინტერესებულ მხარეებს სირიელი დევნილების ყოფის შესამსუბუქებლად. ისინი ასკვნიან, რომ კონსტიტუციაში დევნილების მიღების თაობაზე არსებული შესაბამისი ჩანაწერის მიუხედავად, გერმანულმა საზოგადოებამ რეალურად ვერ შეძლო სირიელებთან შეგუება და მათი მიღება. გერმანელების მხრიდან დევნილების კულტურული კომპეტენციების შეფასება კრიტიკულად და სენსიტიურად აღიქმება სირიელების მიერ, რაც სტრესულ სიტუაციაში აყენებს მათ. ამავე დროს ავტორები თვლიან, რომ კროს კულტურული კომპეტენციის დადებითი გავლენის გათვალისწინებით, კარგი და სასარგებლო პრაქტიკაა ენის და პროფესიული განათლების კურსების ამოქმედება დევნილთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის (Safdar S., Ray-Yol E., Reif J. A. M., Berger R. 2021).

გამაერთიანებელი თეორიული პერსპექტივის შემოთავაზების მცდელობაა შვარცისა და კოლეგების აკულტურაციის მრავალგანზომილებიანი მოდელი (Schwartz et al., 2010), რომელიც განსაზღვრავს სად მიმდინარეობს ცვლილებები. მოდელი ეფუძნება დაშვებას (Chirkov, 2009), რომ აკულტურაციული ცვლილება ხდება კულტურული

პრაქტიკების, ღირებულებების და იდენტიფიკაციების დონეზე, საკუთარი და მიმღები კულტურების პარალელურად. შესაბამისად, შვარცი და კოლეგები გამოყოფენ ექვს კომპონენტს, რაც გულისხმობს პრაქტიკებს, ღირებულებებს და იდენტობებს როგორც საკუთარი, ისე მასპინძელი კულტურის შემთხვევაში. ავტორები ვარაუდობენ, ექვსივე კომპონენტი (1. მემკვიდრეობის ენა, წარმოშობის კულტურის საკვები, 2. კოლექტივიზმი, ურთიერთდამოკიდებულება, ოჯახურობა (familism); 3. წარმოშობის ქვეყანასთან იდენტიფიკაცია, 4. მიმღები საზოგადოების ენა, მიმღები კულტურის საკვები; 5. ინდივიდუალიზმი, დამოუკიდებლობა; 6. მიმღებ ქვეყანასთან იდენტიფიკაცია) არის დამოუკიდებელი და თითოეულთან მიმართებაში ცვლილება შეიძლება მიმდინარეობდეს სხვებისგან განსხვავებული ტემპით და ფორმით, ან საერთოდ არ ჰქონდეს ადგილი რაიმე დინამიკას. ამასთან ავტორები აღნიშნავენ, რომ ცვლილებების გამოვლენის დოკუმენტირებისა და ანალიზისთვის დამატებითი კვლევები და მონაცემებია საჭირო. ისინი მიიჩნევენ, რომ მანამდე აკულტურაციას როგორც ფართო, უფრო „მაღალ დონეზე“ მიმდინარე პროცესს უნდა შევხედოთ, რომლის ამ მოდელში განსაზღვრული კომპონენტები შესაძლებელია ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული. შვარცი და კოლეგები მიიჩნევენ, რომ შემოთავაზებული მოდელი ბი-კულტურიზმის შესწავლასა და ანალიზს შეუწყობს ხელს, რადგან მის ფარგლებში არსებობს ორი კულტურის როგორც სინთეზის, ისე ერთმანეთისგან გამიჯვნის შესაძლებლობა. ამის მაგალითად მათ მოჰყავთ ამერიკული ეროვნული დღესასწაულის ტრადიციული კერძებით აღნიშვნა კუბელი მიგრანტების თემში (Schwartz et al., 2010).


ილუსტრაცია 4. აკულტურაციის მრავალგანზომილებიანობა - შვარცის და კოლეგების ექვს-კომპონენტური მოდელი (Schwartz et al., 2010)



ლიტერატურის მიმოხილვა მიუთითებს აკულტურაციის კონცეპტუალიზაციასთან და კვლევასთან დაკავშირებულ სირთულეებზე. ამას ახლავს აკულტურაციასთან დაკავშირებული ცვლადების მრავალფეროვნება. ცვლადების და აკულტურაციის შეფასების სისტემატიზების მიზნით არენდს-ტოთმა და ვან დე ვივერმა აკულტურაციის ცვლადების ჩარჩო შექმნეს (Arends-Toth, van de Vijver, 2006; Celenk, Van de Vijver, 2011). მასში ცვლადები სამ ჯგუფად არის სტრუქტურირებული. *აკულტურაციის (წინა)პირობებში* იგულისხმება აკულტურაციის შეფასებისთვის რელევანტური ფონური ფაქტორები, რომელიც აერთიანებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ მახასიათებლებს. მათ შორისაა მიმღები საზოგადოებასთან, საკუთარ ეთნიკური ჯგუფთან, წარმოშობის ქვეყნის საზოგადოებასთან დაკავშირებული ცვლადები და უმრავლესობასთან აღქმული ურთიერთობა. ინდივიდუალურ დონეზე წინაპირობებში იგულისხმება პიროვნული მახასიათებლები და უნარები. *აკულტურაციის ორიენტაციები* აკულტურაციის პირობების და შედეგების დამაკავშირებელია და გულისხმობს გადაწყვეტილებებს საკუთარი და უცხო კულტურის შენარჩუნება-მიღების თაობაზე. *აკულტურაციის შედეგები* გულისხმობს აკულტურაციის პროცესის წარმატებას.

შედეგებს შორისაა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა, სოციოკულტურული კომპეტენციები, კონტროლის გრძნობა (sense of mastery) ურთიერთობა უმრავლესობასთან, აკადემიური მოსწრება, წარმატება სამუშაო ადგილზე (Arends-Toth, van de Vijver, 2006; Jasinskaja-Lahti, 2000).

ილუსტრაცია 5. აკულტურაციის ცვლადების ჩარჩო (Arends-Toth, van de Vijver, 2006)



არენდს-ტოთის და ვან დე ვივერის მიდგომა და ცვლადების შემოთავაზებული დაყოფის პრინციპი ფართოდაა გამოყენებულია აკულტურაციის კვლევებში (Bourhis et al., 1997; Jasinskaja-Lahti 2000; Phinney et al., 2001; Shekriladze, 2018; Safdar et al., 2021; Choy et al., 2021). ლიტერატურის მიმოხილვაში და აკულტურაციის ნაშრომებში დეტერმინანტებად და შედეგებად განსაზღვრული რამდენიმე საინტერესო ცვლადი ვლინდება, მათ შორის ეთნიკური იდენტობა, იდენტიფიკაცია უმრავლესობის ჯგუფთან და მასთან კულტურული სიახლოვის აღქმა, იდენტიფიკაცია ისტორიულ სამშობლოსთან. უმრავლესობის დამოკიდებულების აღქმა, ოჯახის მხარდაჭერის აღქმა, კმაყოფილება, ურთიერთობა უმრავლესობასთან, სტრესი და ა.შ. წინამდებარე

სადისერტაციო კვლევაში აკულტურაციის ორიენტაციებთან მათი მიმართების დადგენა დაიგეგმა.

1.4. აკულტურაციის კვლევის შეზღუდვები

აკულტურაციის კვლევაში ყველაზე დიდ სირთულეს იმ ცვლილებების დადგენა წარმოადგენს, რომელსაც აკულტურაციის შედეგად ადგილი აქვს ორ განსხვავებულ კულტურაში და მათ წარმომადგენელ ჯგუფებში/ინდივიდებში. შესაბამისად, აკულტურაციის კვლევების ერთ-ერთი მთავარი შეზღუდვა მათი არასაკმარისი მასშტაბურობაა, რომლის უზრუნველყოფაც ძალიან რთულია. დროთა განმავლობაში ორ ან მეტ ჯგუფს შორის ინტერაქციის შედეგად გამოწვეული ცვლილებების დადგენას, ასევე მათ ატრიბუციას აკულტურაციის დეტერმინანტებთან ლონგიტუდური შესწავლა სჭირდება (Liebkind, 2003; Berry, 2006). ეს კი პრაქტიკაში რთულად განსახორციელებელია. ჯვარედინი შესწავლა ანუ კროსსექციური კვლევის დიზაინი გამოიყენება როგორც ლონგიტუდური კვლევის ალტერნატივა, თუმცა ბოლომდე ვერ ჩაანაცვლებს ცვლილების გრძელვადიანად შესწავლის აუცილებლობას (Khawaja, 2016).

კვლევაში არსებითად რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება არასაკმარისია აკულტურაციის პროცესის სიღრმისეულად შესასწავლად (Chirkov 2009). მკვლევარები რეკომენდაციას უწევენ კომბინირებულ მიდგომას, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებას (Khawaja, 2016).

კიდევ ერთი შეზღუდვა უკავშირდება კვლევის შედარებით ვიწრო გეოგრაფიულ არეალს და სხვადასხვა კონტინენტებიდან და ქვეყნებიდან აკულტურაციის კვლევების სიმცირეს. კვლევის ინსტრუმენტებისა და მიგნებების კროს კულტურული შედარების მეტი შესაძლებლობა წვლილს შეიტანდა აკულტურაციის კონცეფციის საბოლოო ჩამოყალიბებაში და „დასავლური ფსიქოლოგიის დომინირების“ დაძლევაში (Berry, 2012. Achieving a Global Psychology). აქედან გამომდინარე საქართველოში ჩატარებული კვლევები ერთი მხრივ აკულტურაციის შესახებ ადგილობრივი მონაცემების გენერირებას

უზრუნველყოფს და მეორეს მხრივ, წვლილს შეიტანს აკულტურაციის კვლევის მიდგომების ჩამოყალიბებაში. აქვე აღსანიშნავია კვლევების ცენტრში ძირითადად მიგრანტები ექცევა და ტრადიციული ეთნიკური უმცირესობები ჯეროვნად არაა შესწავლილი (Gamsakhurdia, 2018).

კვლევების სიუხვის მიუხედავად, რასაც მოწმობს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აკულტურაციის ნაშრომების რაოდენობის მნიშვნელოვნად მატება (Casto, Rudmin, 2020), ბუნდოვანება მაინც არსებობს თეორიული და კონცეპტუალური ჩარჩოს თაობაზე. რუდმინის 2011 წლის ბიბლიოგრაფიის 2020 წლის განახლებული ვერსია მოიცავს აკულტურაციაზე ლიტერატურის 8300 ნიმუშს, მათ შორის პორტუგალიურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე დაწერილ ნაშრომებს, მკვლევარებს შორის კავშირის უზრუნველყოფის და არსებული მიგნებების ფართოდ გაზიარების მიზნით (Castro and Rudmin: Multinational Bibliography on Acculturation 1818-2018; 2020).

მიუხედავად იმისა, რომ ბერის თეორია და ტერმინოლოგია კარგად დამკვიდრდა და ყველაზე ფართოდ დანერგილ თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს, სამეცნიერო წრეებში მუდმივად მიმდინარეობს მისი კრიტიკა და ნაკლოვანებების ანალიზი. 1998 წელს გამართულ სიმპოზიუმზე „ბერის მოდელის კრიტიკული შეფასება“, მოდელის სისუსტედ დასახელდა ფსიქოლოგიური და კულტურული კონტექსტის შინაარსის სიმწირე, ზედაპირულობა და მისი არაეფექტურობა, ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის განსხვავების დასადგენად (Rudmin 2003, Chirkov 2009, Gamsakhurdia 2018). შემდგომ წლებში ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნაზე პასუხი იყო გაცემული ბერის და კოლეგების მიერ აკულტურაციის სახელმძღვანელოში, რომელშიც შესაბამისი მსჯელობა და ემპირიული მონაცემებია თავმოყრილი, ასევე ხაზგასმულია არსებული თეორიული ნაკლოვანებები (Sam, Berry Et al 2006).

ოთხმხრივი პარადიგმის და კვლევების კრიტიკა ლოგიკურ მსჯელობას ეფუძნება, თუმცა შესაძლებელია დასახელებული ხარვეზების გათვალისწინება კვლევის დაგეგმვისას მიგნებების გადამოწმების და სარწმუნოების გაზრდისთვის. ამ მიზნით მნიშვნელოვანი იქნება კვლევაში მონაწილეების შერჩევა, მასში თვისებრივად

განსხვავებული ჯგუფების ჩართვა და კვლევის გეოგრაფიული არეალის გაფართოებით ადგილობრივი ემპირიული ბაზის შექმნა (Berry, 2012). გასათვალისწინებელია, რომ აკულტურაციის ორიენტაციები წარმოადგენს არა კულტურათა ინტეგრაციის საბოლოო შედეგს, არამედ პასუხს აკულტურაციის პროცესზე და პიროვნების სტრატეგიას მოცემულ მომენტში, რაც შეიძლება სხვადასხვა მოვლენის გავლენის შედეგად შეიცვალოს (Sam, Berry 2006).

თავი 2. საქართველოს კონტექსტი

2.1. არსებული სიტუაციის და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის აღწერა

აკულტურაციის პროცესის შესწავლაში მკვლევარები ხაზგასმით აღნიშნავენ კონტექსტის შეფასების მნიშვნელობას (Rudmin 2003, Sam&Berry 2006). აკულტურაციაში მონაწილე მხარეების მახასიათებლების და პოლიტიკურ-სოციალური კონტექსტის საფუძველზე ხდება კონტექსტზე მორგებული კვლევის დიზაინის შექმნა. ბერი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს სახელმწიფოს მიერ წარმოებულ მულტიკულტურულ პოლიტიკას და მიიჩნევს, რომ აკულტურაციის ინტეგრაციული ორიენტაციის დომინანტობა გარკვეულწილად ქვეყანაში გატარებული პოლიტიკისა და პოპულარული იდეოლოგიის შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ (Bourhis 1997, Berry 2006).

საქართველოს სახელმწიფოსთვის ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ საკითხს წარმოადგენს. აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობა ყველაზე დიდი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფებია. 2002 და 2014 წლების მონაცემებით⁷ აზერბაიჯანელი მოსახლეობა იყო შესაბამისად 6.5% (N=284,761) და 6.3% (N=233,000), ხოლო სომხური - 5.7% (N=248,929) და 4.5% (N=168,100). საქართველოს კონტექსტში საგულისხმო ფაქტს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მონოეთნიკურ დასახლებებში ცხოვრება. მაგალითად, ახალქალაქში და ნინოწმინდაში 94%-ზე მეტია სომხური მოსახლეობა, ხოლო უმრავლესობას წარმოადგენენ აზერბაიჯანელები მარნეულის, დმანისის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში. აღმსარებლობის მიხედვით⁸, საქართველოს მოსახლეობის 83.4% მართლმადიდებელი ქრისტიანია, 10.7% მუსლიმი, ხოლო 2.9% სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელი.

⁷ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფოს მინისტრის აპარატი <https://smr.gov.ge/ge/page/33/demografiuli-statistika>

⁸ <https://smr.gov.ge/ge/page/33/demografiuli-statistika#collapse0>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონოეთნიკურ დასახლებებში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეების ინტეგრაცია, რომლებსაც სახელმწიფო ენის არცოდნის გამო არ მიუწვდებიათ ხელი განათლების და დასაქმების შესაძლებლობებზე⁹. შესაბამისად სრულფასოვნად ვერ მონაწილეობენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და რისკების ჩამონათვალშია. ამ სახელმწიფო დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული მრავალფეროვნებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარება და ეთნიკურ უმცირესობებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხების პრიორიტეტულობის ფონზე, საქართველოს მთავრობამ 2009 წელს დაამტკიცა ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, რომლის მიზანს წარმოადგენდა ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნა საქართველოში მცხოვრებ ყველა პირს შორის, საქართველოს ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა თანაბარი შესაძლებლობით სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებებით სარგებლობისათვის; პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ეთნიკური უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა, მათთვის განათლების ყველა საფეხურის თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ზოგადი განათლების სფეროში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფა; ეროვნული უმცირესობების კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის. ამ მიზნების მისაღწევად კონცეფციის სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაზე პასუხისმგებლობა შესაბამის უწყებებს დაევალებათ.

⁹ საქართველოს მთავრობის განკარგულება შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642?publication=0>

2.2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღების საშეღავათო პოლიტიკა და პრაქტიკა

უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით შემოღებულმა კვოტირების სისტემამ და 1+4 პროგრამამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობა გააჩინა. პროგრამის ეფექტურად განხორციელების საზოგადოებრივი მნიშვნელობა და მისი გავლენა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე საკმაოდ დიდია (ტაბატაძე, გორგაძე 2013).

პროგრამის შეფასება სხვადასხვა ეტაპზე განხორციელდა დამოუკიდებელი კვლევის ფარგლებში. საინტერესო რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს გვთავაზობს 2020 წელს საშეღავათო პოლიტიკის ათწლიანი პერიოდის შეფასების კვლევა (ტაბატაძე, გორგაძე, გაბუნია, 2020). საწყის ეტაპზე დაბალი ინტერესის მიუხედავად, 2010-19 წლებში აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი აბიტურიენტების რეგისტრაციის და ჩარიცხვის მაჩვენებელი იყო მზარდი. მეთორმეტე კლასელთა გამოკითხვა აჩვენებს, რომ უმაღლესო განათლების მიღების სურვილი არის მაღალი (63%). სომხურენოვანი აბიტურიენტებიდან საქართველოში სწავლის გაგრძელებას 46%, ხოლო საზღვარგარეთ 19.6% გეგმავს. აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების 65.4% საქართველოში აპირებს განათლების მიღებას, ხოლო საზღვარგარეთ მხოლოდ 4.8% (ტაბატაძე, გორგაძე, გაბუნია, 2020). რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს 1+4 პროგრამის მონაწილეები წარმოადგენენ.

ცხრილი 1. 1+4 პროგრამაზე რეგისტრირებულთა და ჩარიცხულთა რიცხვი (ტაბატაძე, გორგაძე, გაბუნია 2020)

წელი	აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები		სომხურენოვანი სტუდენტები	
	რეგისტრაცია	ჩარიცხვა	რეგისტრაცია	ჩარიცხვა
2010	335	178	253	123
2011	377	250	277	179
2012	579	386	290	198

2013	1,189	704	270	186
2014	834	456	345	217
2015	1,181	522	427	219
2016	1,610	660	535	300
2017	1,703	673	658	373
2018	1,866	788	664	422
2019	2,081	893	643	436
სულ	11,755	5,510	4,362	2,653

უნივერსიტეტების მიხედვით 1+4 პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების განაწილების 2010-2019 წლის მონაცემებით პირველ ადგილზეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი **42%** (სომხურენოვანი სტუდენტების 52%; აზერბაიჯანულენოვანების 37.2%), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი **19.7 %** (სომხურენოვანის 6%; აზერბაიჯანულენოვანების 26.3%); ილიას უნივერსიტეტი - **17.8 %** (სომხურენოვანის 9.1%; აზერბაიჯანულენოვანების 22%). სტუდენტები უპირატესობას ჰუმანიტარულ და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტებს ანიჭებენ. ამავე კვლევის მიხედვით 2015 წლიდან, როცა კურსდამთავრებულთა პირველმა გამოშვებამ დაასრულა სწავლა, 2019 წლის ჩათვლით უმაღლესი განათლება სულ 857 სტუდენტმა მიიღო (თსუ - 46.8%, ილიას უნივერსიტეტი - 16.1%, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი-14.3%, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 11.5%).

უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა მოტივაცია დაკავშირებულია დასაქმებასთან (42%) და უფრო მაღალი ანაზღაურების მიღებასთან (21.5%). 21.7% ამბობს, რომ აზარებენ რადგან მათი აკადემიური მოსწრება საშუალო განათლების დონეზე მაღალია და უმაღლესი განათლება უნდა მიიღონ.

აღნიშნული კვლევის ავტორები ასკვნიან, რომ კვლევაში მონაწილეთა უდიდესი ნაწილი საკუთარ მომავალს საქართველოში საქმიანობას უკავშირებს. ეს მიუთითებს სამიზნე ახალგაზრდებში პროგრამის მიმართ დადებით განწყობაზე, რასაც

რეგისტრირებულთა და ჩარიცხულთა ყოველწლიურად მზარდი მაჩვენებელიც ადასტურებს (ცხრილი 1). ამის საფუძველზე შესაძლებელია ვარაუდი, რომ აკულტურაციის ორიენტაცია ინტეგრაციულია სტუდენტთა ჯგუფში.

კვლევის ავტორებმა ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის შესაძლებლობების შეფასება გააკეთეს 2016 და 2020 წლის მონაცემების მიხედვით. მათ დაასკვნეს, რომ ამ მხრივ არ არის პროგრესი. 2016 წლის კვლევაში (ტაბატაძე, გორგაძე 2016), რესპონდენტების 61.4% აღნიშნავდა, რომ ქართველებთან ურთიერთობის საშუალება არ ჰქონდათ. ხოლო 61.9%-მა აღნიშნა, რომ არ ჰქონდათ ურთიერთობა სხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთან, თვისებრივ კვლევაში, სტუდენტებმა აღნიშნეს ლექტორების მხრიდან შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების ფაქტები. ხოლო 2020 წლის კვლევაში დაფიქსირდა სტერეოტიპული დამოკიდებულებების (მაგალითად, ყველა სომეხი აფერისტია) და დაცინვის აღქმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებში. თავად ლექტორების პასუხებიდან გამოჩნდა, რომ ისინი ვერ ხედავენ ურთიერთობის პრობლემას არაქართულენოვან და ქართულენოვან სტუდენტებს შორის.

ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის პროცესის სასწავლო გარემოში შესწავლა დამატებით ინფორმაციას შესთავაზებს საგანმანათლებლო პროგრამის და პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის და ინტეგრაციისთვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად. შედეგები სასარგებლო იქნება საშეღავათო პოლიტიკის განმახორციელებელი ცალკეული უმაღლესი სასწავლებლებისთვის, რომლებიც ავტონომიურადაც მუშაობენ საუნივერსიტეტო სივრცეში ადაპტირების ხელშეწყობაზე. ამის დასტურია 2019 წლიდან ინტერკულტურული კომპეტენციების გაზრდაზე მიმართული კონკრეტული ღონისძიებების გატარება (ტაბატაძე, გორგაძე, გაბუნია 2020). კვლევა ასევე საინტერესო ინფორმაციას მიაწოდებს სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხით დაინტერესებულ დამოუკიდებელ მკვლევარებს და ორგანიზაციებს, რომლებიც მოკლე და გრძელვადიან ინიციატივებს ახორციელებენ. პანდემიის გამო დისტანციური

სწავლების რეჟიმიდან გამომდინარე 2020 წლიდან სასწავლო პროცესი და სტუდენტებს შორის ურთიერთობები შეიზღუდა. შესაბამისად ინტერკულტურული კომპეტენციების გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება ჯერ ნაადრევი იქნება.

სოციალური და კულტურული დისტანციის აღქმას ღირებულებრივი განსხვავებებიც განაპირობებს. კვლევაში „უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა: ბარიერები და მათი დაძლევის გზები“ (სუმბაძე, 2015) განათლების სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად, მოსწავლეების ღირებულებები არის შესწავლილი. კვლევა საინტერესო შედეგებს გვაძლევს საცხოვრებელი ადგილის/ეთნიკური ჯგუფების მიხედვით მსგავსება-განსხვავების კუთხით. ავტორმა ქმედით ეფექტურობა სამი ცვლადის გამოყენებით იკვლია ახალგაზრდებში და საცხოვრებელი ადგილის (თბილისი, რეგიონები, მარნეული და ახალქალაქი) მიხედვით გააანალიზა. დებულებებს - *ადამიანზეა დამოკიდებული რას მიაღწევს ცხოვრებაში* და *თავდადებულ შრომას წარმატება მოაქვს* - მარნეულები ($N=214$, 89.1%) და ახალქალაქელი ($N=186$, 89.2%) მოსწავლეების ჯგუფში მაღალი მხარდაჭერის სტატუსი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება თბილისელი და რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების მაჩვენებლისგან პირველი ($X^2=14.32$; $df=3$; $p<.005$) და მეორე ($X^2=53$; $df=6$; $p<.001$) დებულების შემთხვევაში.

გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მატერიალისტური და პოსტ მატერიალისტური ღირებულებების მიხედვით ($X^2=17.81$; $df=4$; $p<.005$). ახალქალაქის ახალგაზრდებში გამოვლინდა პოსტმატერიალისტური ღირებულებების მაღალი მაჩვენებელი, ხოლო მატერიალისტურის მიხედვით - საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ მოსწავლეებში. ტრადიციული ღირებულებების კუთხით, რომელიც ოჯახის დახმარების და ერთად ყოფნის გარშემო ხუთ კითხვას მოიცავდა, მცირედი განსხვავება იყო სხვადასხვა ადგილზე მცხოვრებ ახალგაზრდებში.

გენდერული თანასწორობა, რომელიც ხუთი დებულებისგან შედგენილი კომპოზიტით გაიზომა, ყველაზე დაბალ მაჩვენებლით მარნეულები (2.7%) და შემდეგ ახალქალაქელი (13.1%) სტუდენტების შემთხვევაში გამოვლინდა და სტატისტიკურად

სანდო განსხვავება აღმოჩნდა ($X^2=261.32$; $df=12$; $p<.001$) თბილისელებთან შედარებით (41.9%).

სასწავლო გარემოში უმცირესობების/მიგრანტების აკულტურაციის პროცესის, ეთნიკური იდენტობის და გარე ჯგუფთან ორიენტაციების კვლევას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, მათ შორის კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის აკულტურაციის მახასიათებლების და კანონზომიერების დასადგენად (Rabas, Delic-Ovcina, Hardy, Castro, Pecanha, Adu, Masson, & Grimm, 2015; Jasinskaja-Lahti, 2000; Phinney et al. 2001). ფინი მიიჩნევს, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები თავისი ბუნებით ასიმილაციურია (Phinney et al. 2001). ინტერაქციული (interactional) მოდელის შემოთავაზებით ის ცდილობს ეთნიკური და ეროვნული იდენტობების სიძლიერით ახსნას აკულტურაციის პროცესში მიღწეული ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ხარისხი. მოდელის მიხედვით, მიმდინარეობს იმიგრანტის მახასიათებლების და დამოკიდებულებების ინტერაქცია მიმღები საზოგადოების პასუხთან/რეაქციასთან. ფინიმ შეისწავლა მოსწავლეები და დაასკვნა, რომ სკოლასთან ყველაზე კარგ ადაპტაციას აქვს ადგილი მაშინ, როცა ორივე - ეთნიკური და ეროვნული - იდენტობა ძლიერია და ეს წახალისებულობს სკოლის მიერ (Phinney et al. 2001).

1+4 პროგრამაში ჩართული უნივერსიტეტების ეროვნული და ინდივიდუალური გეგმები მიანიშნებს ინტერკულტურული და ტოლერანტული გარემოს შექმნისკენ გადადგმულ პროაქტიულ ნაბიჯებზე. ინტეგრაციისთვის ხელსაყრელი „მიმღები კონტექსტის“ (Schwartz et al. 2010) შექმნისა და კროსკულტურული კომპეტენციის განვითარებისთვის (Safdar et al., 2021) ამ პროგრამულ მიდგომებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კონკრეტულ გამოწვევებზე საპასუხო ინიციატივების საჭიროება კვლევებიდან და უშუალოდ სტუდენტების უკუკავშირიდან ვლინდება. სასწავლო გარემოში ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს (ტაბატაძე, გორგაძე, გაბუნია, 2020) და მათი მოგვარებისთვის სისტემური და კონკრეტულ სასწავლო დაწესებულებაზე მორგებული მიდგომებია საჭირო. ტაბატაძის და კოლეგების (2020) კვლევაში მკაფიოდ გამოიხატა, რომ ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების სასწავლო

გარემოში მიღებული გამოცდილება საინტერესოა მათი თემის წარმომადგენელი მოზარდებისა და ოჯახებისთვის. რაც უმაღლესი განათლების საქართველოში მიღებაზე მათ გადაწყვეტილებაზე ახდენს გავლენას.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებში აკულტურაციის პროცესის სისტემურად შესწავლა დამატებითი ღირებულების მომტანი იქნება არა მხოლოდ *1+4 პროგრამის* ეფექტურობის შესახებ დამატებითი საინფორმაციო წყაროს შექმნის გამო, არამედ კონკრეტულად ამ ჯგუფების ფსიქოლოგიური აკულტურაციის პროცესის შესასწავლად. ეს ორი ჯგუფი ეთნიკურთან ერთად, განსხვავებული აღმსარებლობის არიან. ორივე ჯგუფის აკულტურაციის მიმდინარეობის ინდივიდუალურად გაანალიზება, მათზე მორგებული მიდგომების ჩამოყალიბების შესაძლებლობას შექმნის. სირთულეების შემთხვევაში ის ასევე დაადგენს, სისტემურ გამოწვევასთან გვაქვს საქმე, აკულტურაციაში მონაწილე მხარეების კულტურული კომპეტენციის ნაკლებობასთან თუ სხვა ფაქტორთან.

აკულტურაციის პროცესში განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების შესწავლა საინტერესოა რელიგიის, როგორც კულტურასთან მჭიდროდ დაკავშირებული ფენომენის გათვალისწინებით (Geertz, 1993, 2004). რელიგია შესაძლოა იყოს კულტურის ნაწილი ან მისი მთავარი შემადგენელი, მოიცვას და გარდაქმნას კულტურა, მოექცეს კულტურის გავლენის ქვეშ, შექმნას კულტურა და იყოს მასთან ურთიერთქმედებაში კოგნიციაზე, ემოციებზე და ქმედებებზე გავლენის გზით (Vassilis Saroglou¹ and Adam B. Cohen, 2011). შესაძლებელია დამატებით მონაცემების შეგროვება ეთნიკური და რელიგიური ფაქტორების აკულტურაციაზე გავლენის შესახებ. რელიგია მნიშვნელოვან ცვლადს წარმოადგენს სოციალური დისტანციის განსაზღვრისას (Triandis, H. C., & Triandis, L. M., 1962). შესაბამისად საინტერესოა, არის თუ არა სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის განსხვავება სოციალური დისტანციის აღქმაში და აისახება თუ არა ეს აკულტურაციის სტრატეგიის შერჩევაზე, აკულტურაციის ორიენტაციების ორი თეორიული მიდგომით შესწავლისას (ილუსტრაცია 3).

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების საუნივერსიტეტო გარემოში ყოფნა შესაძლებელს ხდის აკულტურაციის პროცესის შესწავლას, რადგან კლასიკური დეფინიციის მიხედვით აკულტურაცია მიმდინარეობს „უწყვეტი უშუალო“ კონტაქტის პირობებში (Redfield et al., 1936). ამ ფენომენის კვლევა რთული იქნებოდა მონოეთნიკურ დასახლებებში, სადაც როგორც აღინიშნა არ ფლობენ სახელმწიფო ენას, ლიმიტირებული ურთიერთობა აქვთ საქართველოს მოქალაქე სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან და არ ადევნებენ თვალს ქართულენოვან მედია არხებს.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შემთხვევა გამორჩეულია მათ შორის ტრადიციული ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობით ჩატარებული კვლევების შედარებით სიმცირის გამო (Gamsakhurdia, 2018). მეტნაკლებად იდენტურ სასწავლო გარემოში მყოფი ორი ტრადიციული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის აკულტურაციის გამოცდილების შესწავლა და ანალიზი ამ ფენომენის კონცეფციის ახლებურ გააზრებაში შეიტანს წვლილს. სამეცნიერო თვალსაზრისით, საინტერესოა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფთა გამოცდილების შედარება, რადგან ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული კულტურული მახასიათებლების მატარებელი არიან.

შესაბამისად, აკულტურაციის კვლევა დაიგეგმა *1+4 პროგრამაში* ჩართული აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების მონაწილეობით.

თავი 3. კვლევის ჰიპოთეზები და მიზნები

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის ოთხი ჰიპოთეზა. პირველი ორი ჰიპოთეზა უკავშირდება **აკულტურაციის ორიენტაციებს**, მესამე და მეოთხე კი მის **დეტერმინანტებს** და **შედეგებს**.

კვლევის პირველი ჰიპოთეზას წარმოადგენს დაშვება, რომ კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებს¹⁰ შორის დომინანტური იქნებოდა ინტეგრაციის ორიენტაცია, ორივე თეორიული პერსპექტივის - კონტაქტის და კულტურის მიღების მოდელების მიხედვით. აღნიშნული დაშვება ეყრდნობა კვლევაში მონაწილე ჯგუფის სპეციფიკას და კვლევის კონტექსტს. უნივერსიტეტში ჩასაბარებლად რესპონდენტებს უწევთ გრძელვადიანი პროცესის გავლა და ძალისხმევის გაწევა, რაც მოიცავს უმაღლესი განათლების საქართველოში მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, მისაღები გამოცდისთვის მზადებას და ჩაბარებას, რაც მოსალოდნელს ხდის მათი მხრიდან ინტეგრაციის ორიენტაციის არჩევას. ამას გარდა, ჰიპოთეზა ეფუძნება ემპირიულ-თეორიულ მიგნებას ინტეგრაციის ყველაზე მეტად არჩეულ სტრატეგიად დასახელების თაობაზე (Bourhis et al., 1997).

კვლევის მეორე ჰიპოთეზა დაეფუძნა სნაუვერტის კვლევის ერთ-ერთ ძირითად შედეგს, რომლის მიხედვით უმცირესობები უფრო ღია არიან უმრავლესობასთან ურთიერთობისთვის, ვიდრე დომინანტური კულტურის ელემენტების მიღებისთვის. შესაბამისად გაკეთდა დაშვება, რომ კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი უფრო მეტი სტუდენტი გამოავლენდა ინტეგრაციის სტრატეგიას *კონტაქტის* მოდელით გაზომვისას, *კულტურის მიღების* მოდელთან შედარებით.¹¹

¹⁰ 1+4 პროგრამის მონაწილეები

¹¹ პირველი ორი ჰიპოთეზის მიგნებები გამოქვეყნდა სტატიაში (ქიტიაშვილი, ტყეშელაშვილი, 2022)

კვლევის მესამე ჰიპოთეზა უკავშირდება აკულტურაციის პროცესის დეტერმინანტებს, რაც სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული ემპირიული მიგნებების საფუძველზე განისაზღვრა როგორც აკულტურაციის პროცესის განმაპირობებელი:

- a) ჯგუფებს შორის კულტურული დისტანციის აღქმა (Triandis, 1994; Berry, 2006) და იდენტიფიკაცია საკუთარ და უმრავლესობის ჯგუფებთან (Phinney et al., 2009; Tropp, Wright, 2001);
- b) უმცირესობის მიერ უმრავლესობის დამოკიდებულების აღქმა (Phinney et al., 2001; Iasinskaja-Lahti et al., 2009) და
- c) ოჯახის მხარდაჭერის აღქმა (Iasinskaja-Lahti et al., 2000).

დეტერმინანტები ძირითადად დაკავშირებულია აკულტურაციის ორ განზომილებასთან - საკუთარ და უცხო კულტურასთან/ჯგუფთან/საზოგადოებასთან (Phinney et al., 2001; Arends-Toth, Van de Vijver, 2006; Schwartz., 2010). შესაბამისად, მესამე ჰიპოთეზაში გაკეთდა დაშვება, რომ ინტეგრაციის ორიენტაციის არჩევას განაპირობებს ორივე განზომილებასთან დაკავშირებული ფაქტორები, კერძოდ სიახლოვის აღქმა /იდენტიფიკაცია საკუთარ და უმრავლესობის ჯგუფთან, ოჯახის მხარდაჭერის და უმრავლესობის დამოკიდებულების აღქმა.

კვლევის მეოთხე ჰიპოთეზა უკავშირდება აკულტურაციის პროცესის შედეგებს და ინტეგრაციის ორიენტაციის პირდაპირ კავშირს ადაპტაციის სასურველ შედეგთან, კერძოდ ნაკლებ სტრესსა, კმაყოფილების მაღალ დონესთან და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის აღქმასთან. ეს ჰიპოთეზა ეფუძნება დაშვებას, რომ ინტეგრაცია არის ყველაზე სასურველი ორიენტაცია, რადგან ის ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული ადაპტაციის უკეთეს მაჩვენებლებთან არის დაკავშირებული (Jasinskaja-Lahti, 2000; Berry, Sam, 2006; Safdari et al., 2021; Choy et al., 2021) და გამოიხატება ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნაში, კმაყოფილებაში და გავლენის/კონტროლის აღქმაში (sense of mastery/being in control; Jasinskaja-Lahti, 2000).

შემდეგნაირად განისაზღვრა სადისერტაციო კვლევის მიზნები:

ა) საქართველოში მცხოვრები ორი ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელი სტუდენტების აკულტურაციული ორიენტაციების შესწავლა (ინტეგრაცია, სეპარაცია, ასიმილაცია, მარგინალიზაცია) ორი განსხვავებული კონცეპტუალური მიდგომის გამოყენებით - *უმრავლესობის კულტურის ელემენტების მიღება* და *უმრავლესობის ჯგუფთან კონტაქტი*, პირველ და მეორე ჰიპოთეზაში გათვალისწინებულ შემდეგ კითხვებზე პასუხის გასაცემად:

- არის თუ არა კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს შორის ინტეგრაციული ორიენტაცია დომინანტური?
- არის თუ არა განსხვავება სტუდენტების მიერ აკულტურაციის ორიენტაციის არჩევაში ორი კონცეპტუალური პერსპექტივიდან გაზომვისას? არიან უმცირესობები უფრო ღია უმრავლესობასთან კონტაქტისთვის, ვიდრე დომინანტური კულტურის ელემენტების მიღებისთვის?
- არის თუ არა განსხვავება ეთნიკურ უმცირესობებს შორის აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით?

ბ) აკულტურაციული ორიენტაციების (ინტეგრაცია, სეპარაცია, ასიმილაცია, მარგინალიზაცია) ანალიზი თეორიული დეტერმინანტებთან მიმართებაში, როგორც ეს მოცემულია მესამე ჰიპოთეზაში შემდეგ კითხვებზე პასუხის გასაცემად:

- განსაზღვრავს თუ არა საკუთარი ეთნიკური ჯგუფის (სომეხი, აზერბაიჯანელი), ისტორიული სამშობლოს (სომხეთი, აზერბაიჯანი), უმრავლესობის, შესაბამისი რელიგიურ ჯგუფების (სომხური სამოციქულო ეკლესია, მართლმადიდებელი ქრისტიანი, მუსლიმი) წარმომადგენლებთან და საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვის აღქმა და იდენტიფიკაცია აკულტურაციის ორიენტაციას (ინტეგრაცია, სეპარაცია, ასიმილაცია, მარგინალიზაცია)?

- მოქმედებს თუ არა უმცირესობისადმი უმრავლესობის ჯგუფის დამოკიდებულების აღქმა აკულტურაციულ ორიენტაციაზე?
- გავლენას ახდენს თუ არა ოჯახის მხარდაჭერის აღქმა აკულტურაციის ორიენტაციაზე?
- არის თუ არა განსხვავება ეთნიკურ უმცირესობების ჯგუფებს შორის?
- არის თუ არა რაიმე განსხვავება გენდერის მიხედვით?
- არის თუ არა აკულტურაციის ორი მოდელის მიხედვით განსხვავება დეტერმინანტებს შორის? ვლინდება თუ არა განსხვავებული დეტერმინანტები ორი კონცეპტუალური მოდელის მიხედვით?

გარდა ამისა,

- განსაზღვრავს თუ არა ისეთი პიროვნული მახასიათებელი, როგორცაა ნდობა ადამიანების მიმართ, აკულტურაციის ორიენტაციას?

გ) აკულტურაციის ორიენტაციების ანალიზი (ინტეგრაცია, სეპარაცია, ასიმილაცია, მარგინალიზაცია) აკულტურაციის შედეგებთან მიმართებაში მეოთხე ჰიპოთეზის შესაბამისად, შემდეგ კითხვებზე პასუხის გასაცემად:

- არის თუ არა კორელაცია აკულტურაციის ორიენტაციებს და სტრესს შორის? უკავშირდება თუ არა ინტეგრაცია ნაკლებ სტრესს?
- კორელაციაშია თუ არა აკულტურაციის ორიენტაციები (ინტეგრაცია, სეპარაცია, ასიმილაცია, მარგინალიზაცია) კმაყოფილების დონესთან? უკავშირდება თუ არა ინტეგრაცია უნივერსიტეტში სწავლით და ცხოვრებით მაღალ კმაყოფილებას?
- არის თუ არა განსხვავება ეთნიკურ უმცირესობებს შორის?
- არის თუ არა სქესთან შორის განსხვავება კმაყოფილების, სტერის, გავლენის მიხედვით?

- არის თუ არა აკულტურაციის ორი მოდელის მიხედვით განსხვავება შედეგებს შორის? ვლინდება თუ არა განსხვავებული შედეგები ორი კონცეპტუალური მოდელის მიხედვით?

გარდა ამისა

- არის თუ არა კორელაციაში აკულტურაციული ორიენტაციები საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობის აღქმასთან? უკავშირდება ინტეგრაცია მოქალაქეობის მნიშვნელობის აღქმის მაღალ დონეს?
- როგორია კვლევაში მონაწილე სტუდენტების მეგობრების ეთნიკური კომპოზიცია და უკავშირდება თუ არა ის აკულტურაციულ ორიენტაციებს (ინტეგრაცია, სეპარაცია, ასიმილაცია, მარგინალიზაცია)?
- უკავშირდება თუ არა აკულტურაციის ორიენტაციები მიმდინარე მოვლენებზე გავლენის აღქმას?

დ) საგანმანათლებლო გარემოში სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების აკულტურაციის პროცესის სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენა აკულტურაციის მოდელის შექმნის მიზნით, რომელიც ასახავს საქართველოს კონტექსტს.

თავი 4. კვლევის მეთოდოლოგია

4.1 აკულტურაციის ორიენტაციების, დეტერმინანტების და შედეგების განსაზღვრა - თეორიული ჩარჩო

აკულტურაციის კვლევის დაგეგმვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციოკულტურულ კონტექსტს და მის ცოდნას (Sam, 2006; Berry, 2006). სადისერტაციო კვლევაში აკულტურაციის პროცესთან დაკავშირებული ფაქტორები შეირჩა ადგილობრივ კონტექსტის, მოცემულობის და საკვლევი ჯგუფის გათვალისწინებით.

მეთოდოლოგიური ჩარჩოს სტრუქტურირება მოხდა არენდს-ტოთისა და ვან დე ვივერის ფსიქოლოგიური აკულტურაციის შეფასების მოდელის მიხედვით (Arends-Toth, van de Vijver 2006; Celenk, Van de Vijver, 2011). აღნიშნულ ჩარჩოს საფუძველზე განისაზღვრა აკულტურაციის (წინა)პირობები, აკულტურაციის ორიენტაციები და აკულტურაციის შედეგები. (წინა)პირობებში მოიაზრება ყველა ფაქტორი, რაც გარემოს ქმნის და განაპირობებს აკულტურაციის პროცესის მიმდინარეობას, შესაბამისად აკულტურაციის ორიენტაციის განსაზღვრას. ცვლადები შეიძლება მოიაზრებდეს მიმღები საზოგადოების, წარმოშობის საზოგადოების და უმცირესობის ჯგუფის ობიექტურ და აღქმულ მახასიათებლებს, ასევე ჯგუფთა შორის ურთიერთობის აღქმას და პიროვნულ მახასიათებლებს. აკულტურაციის პროცესში ჩამოყალიბებული ორიენტაციები ერთმანეთთან აკავშირებს პირობებს და შედეგებს. აკულტურაციის შედეგად არენდს-ტოთისა და ვან დე ვივერის ჩარჩოში განსაზღვრულია ფსიქოლოგიური კეთილდღეობის (სტრესი, კმაყოფილება, განწყობები, აღიარების განცდა) და საკუთარ და უმრავლესობის კულტურაში სოციო-კულტურული კომპეტენცია.

კვლევის ჩარჩო (ცხრილი 2) ჩამოყალიბდა თეორიული და კონტექსტური მიმოხილვის საფუძველზე. კვლევაში აკულტურაციის შემდეგი დეტერმინანტების შესწავლა მოხდა:

- სიახლოვის აღქმა და იდენტიფიკაცია საკუთარ და განსხვავებულ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებთან, ასევე საქართველოს მოქალაქესთან

- საქართველოში სწავლის მიღებაში ოჯახის მხარდაჭერის აღქმა
- უმრავლესობის უმცირესობის მიმართ დამოკიდებულების აღქმა (სარკისებური აღქმა)
- ადამიანების მიმართ ნდობა

ასევე შესწავლილი იყო აკულტურაციის შემდეგი შედეგები:

- უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება
- ცხოვრებით კმაყოფილება
- აღქმული სტრესი
- მეგობრების (უახლოესი სოციალური) წრის ეთნიკური კომპოზიცია
- მოქალაქეობის მნიშვნელობის აღქმა
- ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის აღქმა

ცხრილი 2. აკულტურაციის მეთოდოლოგიური ჩარჩო

აკულტურაციის პირობები	აკულტურაციის ორიენტაციები	აკულტურაციის შედეგები
- სიახლოვის აღქმა საკუთარ და უცხო ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებთან	ინტეგრაცია	- სტრესი
- სიახლოვის აღქმა ისტორიული სამშობლოს წარმომადგენლებთან	სეპარაცია	- უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება
- სიახლოვის აღქმა საქართველოს მოქალაქესთან	ასიმილაცია	- ცხოვრებით კმაყოფილება
- ოჯახის მხარდაჭერის აღქმა	მარგინალიზაცია	- ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის აღქმა
- უმრავლესობის დამოკიდებულების აღქმა		- უახლოესი სოციალური წრის ეთნიკური კომპოზიცია
- ნდობა		- საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობა

4.2. კვლევის ინსტრუმენტები

აკულტურაციის კვლევებში სტრატეგიებისა და ორიენტაციების დასადგენად გამოიყენება ერთ ან რამდენიმე დებულებიანი ლაიკერტის ტიპის 5 ბალიანი სკალები (1 ყველაზე დაბალი შეფასებაა, ხოლო 5 ყველაზე მაღალი) (Sam, 2006; Berry, 2006). სადისერტაციო კვლევაში გამოყენებული იყო ანალოგიური მიდგომა.

თეორიული ჩარჩოს შესაბამისად შეირჩა შემდეგი ინსტრუმენტები¹²:

- (1) აკულტურაციის ორიენტაციების საზომი (Snauwaert B., Soennens B., Vanbeselaere N., 2003), რომლის კროს კულტურული ადაპტირება და გამოყენება მოხდა¹³. საზომის დებულებების მნიშვნელოვნება განისაზღვრება ხუთ ბალიან სკალაზე (1-დან 5-მდე მნიშვნელობის ზრდადობით)

ცხრილი 3. აკულტურაციის საზომის კონცეპტუალური ჩარჩო (Snauwaert B., Soennens B., Vanbeselaere N., 2003)

#	აკულტურაციის განზომილებები და კონცეფციები
1	M - აკულტურაციის პირველი განზომილება დამოკიდებულება საკუთარი კულტურის მიმართ - შენარჩუნება-უარყოფა
2	D - აკულტურაციის მეორე განზომილება – Adoption Conceptualization დომინანტური კულტურის ელემენტების მიღება
3	D – აკულტურაციის მეორე განზომილება - Contact Conceptualization (according to Berry) დომინანტური ჯგუფის წარმომადგენლებთან კონტაქტი: კარგი და რეგულარული ურთიერთობები
4	D – აკულტურაციის მეორე განზომილება Contact Conceptualization (according to Berry) დომინანტური საზოგადოებაში მონაწილეობა

¹² სადისერტაციო კვლევა წარმოადგენდა უფრო ფართო სტუდენტური პროექტის ნაწილს, რომლის მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები და პირველადი შედეგების ნაწილი აღწერილია კვლევის ანგარიშში (მალაკელიძე, მენადარიშვილი, ტყეშელაშვილი, ჭუმბურიძე, 2018)

¹³ ადაპტაციის პროცესი და შედეგები მოცემულია მე-5 თავში - შედეგების აღწერა; ასევე აღწერილია სტატიაში - ქიტიაშვილი, ტყეშელაშვილი, 2022

აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით ხდება ორი თეორიული კონცეფციის მიხედვით პარალელურად აკულტურაციის ოთხი (შესაბამისად რვა) ორიენტაციის განსაზღვრა:

კულტურის მიღების მოდელი	კონტაქტის მოდელი
Adoption Conceptualization	Contact Conceptualization
ინტეგრაცია	ინტეგრაცია
ასიმილაცია	ასიმილაცია
სეპარაცია	სეპარაცია
მარგინალიზაცია	მარგინალიზაცია

(2) მე-ში სხვების ჩართულობის/ინკლუზიის გრაფიკული ინსტრუმენტი (Aron et al., 1992), რომელიც გამოიყენება იმის დასადგენად რამდენად ახლოს გრძნობს ადამიანი თავს სხვასთან¹⁴. რესპონდენტებს სხვადასხვა გადაფარვის მქონე ვენური დიაგრამების მეშვეობით უნდა შეეფასებინათ სიახლოვე საკუთარ თავს და განსხვავებულ ეთნიკურ და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის. შესაბამისად მოხდა კვლევაში მონაწილე სამივე ჯგუფის ერთმანეთის მიმართ სიახლოვის დადგენა. აღნიშნული კვლევის შემთხვევაში თითოეული რესპონდენტი აფასებდა სიახლოვეს:

- a. საქართველოს მოქალაქესთან,
- b. ქართველთან საქართველოში,
- c. აზერბაიჯანელთან საქართველოში,
- d. აზერბაიჯანელთან აზერბაიჯანში,
- e. სომეხთან საქართველოში,
- f. სომეხთან სომხეთში,
- g. მართლმადიდებელთან,


¹⁴ Stanford University <http://sparqtools.org/mobility-measure/inclusion-of-other-in-the-self-ios-scale/>

h. მუსლიმთან

i. სომხეთის სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელთან

რესპონდენტები არჩევდნენ შესაბამის დიაგრამას. ინდივიდუალურ ქულას წარმოადგენს შერჩეული დიაგრამის რიგითი ნომერი.

ილუსტრაცია 6. სხვისი (other) საკუთარ მე-ში (self) ჩართულობის სკალა (Aron et al., 1992)¹⁵



(3) შელდონ კოჰენის აღქმული სტრესის 10 დებულებიანი სკალა¹⁶

აღქმული სტრესის სკალა/PSS (Cohen, Kamarck & Mermelstein, 1994) არის ყველაზე ფართოდ გამოყენებული ფსიქოლოგიური ინსტრუმენტი სტრესის აღქმის გასაზომად. ის ზომავს რამდენად სტრესულად აღიქვამს რესპონდენტი თავისი ცხოვრების ამათუიმ მოვლენას, ეს არის საზომი იმისა, თუ რამდენად ფასდება სიტუაციები ადამიანის ცხოვრებაში, როგორც სტრესული. ინსტრუმენტი შეიქმნა იმის დასადგენად, თუ რამდენად არაპროგნოზირებადი, უკონტროლო და გადატვირთული ჰგონიათ რესპონდენტებს თავიანთი ცხოვრება. სკალა ასევე მოიცავს პირდაპირ კითხვებს განცდილი სტრესის ამჟამინდელი დონის შესახებ. კითხვები ზოგადი ხასიათისაა და,

¹⁵ <https://sparqtools.org/mobility-measure/inclusion-of-other-in-the-self-ios-scale/>

¹⁶ სკალა არ არის ადაპტირებული, თუმცა მისი ქართული ვერსია უკვე გამოყენებული იყო სხვადასხვა კვლევაში; სადისერტაციო კვლევაში მოხდა აღქმული სტრესის სკალის კრონზახის აღფა კოეფიციენტის დამატებით გამოთვლა ($\alpha=.6$)

შესაბამისად, გამოყენებადია ნებისმიერი სუბპოპულაციისთვის (Cohen, Kamarck & Mermelstein, 1994).

აღნიშნული ინსტრუმენტი 10 დებულებისგან შედგება, შეფასება ხდება ლაიკერტის 5 ბალიან სკალაზე სადაც 0 ნიშნავს „არასდროს“, 1 – „თითქმის არასდროს“, 2 – „ზოგჯერ“, 3 – „საკმაოდ ხშირად“, 4 – „ძალზე ხშირად“.

კვლევის ინსტრუმენტში ასევე შევიდა შედგენილი კითხვები:

(4) შესაბამისი ეთნიკური უმცირესობის (სომეხი და აზერბაიჯანელი) ჯგუფების მიმართ უმრავლესობის აღქმულ დამოკიდებულების ერთდებულებიანი საზომი:
ჩემი აზრით, ჩემი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება არის

ძალიან უარყოფითი = 1; ძალიან დადებითი = 5

(5) საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებაში ოჯახის მხარდაჭერის აღქმა (ერთი დებულება)

რამდენად გიწყობენ ხელს ოჯახის წევრები საქართველოში განათლების მიღებაში?

სრულიად არ მიწყობენ = 1; სრულიად მიწყობენ = 5 მ

(6) კმაყოფილება უნივერსიტეტში სწავლით და ამჟამინდელი ცხოვრებით (ორი დებულება)

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად კმაყოფილი ხართ უნივერსიტეტში სწავლით?

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ამჟამინდელი ცხოვრებით?

სრულიად უკმაყოფილო ვარ = 1; სრულიად კმაყოფილი ვარ = 5

(7) გენერალიზებული ნდობის საზომი (ერთი დებულება)

როგორ ფიქრობთ, საერთო ჯამში ადამიანების უმრავლესობა ნდობას იმსახურებს, თუ სხვებთან ურთიერთობისას ადამიანებს უფრო სიფრთხილე მართებს?

უფრო სიფრთხილე მართებს = 1; ნდობას იმსახურებს = 5

- (8) საზოგადოების მნიშვნელოვან მოვლენებზე საკუთარი ზემოქმედების ეფექტურობის აღქმა (ერთი დებულება)

როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა თქვენნაირ ადამიანს გავლენა მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე?

არ შეუძლია = 1; შეუძლია = 5

- (9) უახლოესი სოციალური წრე (10 უახლოესი მეგობრის სახელის, მათი ეთნიკური წარმომავლობის დასახელება)

- *გთხოვთ ჩამოთვალოთ თქვენი ახლო მეგობრების სახელები*
- *ახლა გთხოვთ დაასახელოთ თითოეულის ეროვნება, სქესი*

- (10) საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობის შეფასება (ერთი დებულება)

შეაფასეთ რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის საქართველოს მოქალაქეობა?

ძალიან უარყოფითი = 1; ძალიან დადებითი = 5

კვლევის ინსტრუმენტში გათვალისწინებული იყო:

- დემოგრაფიული ცვლადები (ასაკი, სქესი, სკოლის დამთავრების ადგილი ქალაქი და სოფელი)
- ქართული ენის ფლობის თვითშეფასება
- მშობლების ეროვნება და განათლების საფეხური
- უნივერსიტეტის, განათლების საფეხური

4.3. კვლევის პროცედურა და მონაწილეები

სადისერტაციო კვლევა წარმოადგენდა ფართო კვლევის ნაწილს, რომელიც დაფინანსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სამეცნიერო პროექტების პროგრამის ფარგლებში 2017-2018 წლებში. აღნიშნული კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა და პირველადი შედეგების ნაწილი წარმოდგენილია კვლევის ანგარიშში „ეროვნული, რელიგიური და სამოქალაქო იდენტობა“ (მაღლაკელიძე, მენადარიშვილი, ტყემელაშვილი, ჭუმბურიძე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018).

კვლევა ჩატარდა 2017 წლის ბოლოს. მასში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანელმა, ქართველმა და სომეხმა სტუდენტებმა, საერთო ჯამში 714 სტუდენტმა (ცხრილი 4). რესპონდენტების 54.3% (N = 236) მდებარეობითი სქესის, ხოლო 45.7%. (N = 199) მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. კვლევის მონაწილეების შერჩევა მოხდა ხელმისაწვდომი შერჩევის მიხედვით ძირითადად ორ უნივერსიტეტიდან - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი¹⁷. კვლევის მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები “1+4” პროგრამაში ჩართულობის პრინციპით შეირჩნენ. გასათვალისწინებელია, რომ 2010-2017 წლებში “1+4” პროგრამაში ჩაირიცხა 3,829 აზერბაიჯანულ ენოვანი და 1,795 სომხურ ენოვანი სტუდენტი¹⁸.

მონაწილეები თავად ავსებდნენ ანკეტებს, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა კითხვების შემთხვევაში დახმარება ინტერვიუერისგან მიეღოთ. კვლევა ჩატარდა ქართულ ენაზე. ამის გამო კითხვარში გათვალისწინებული იყო ენის დონის თვითშეფასება. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი რესპონდენტების 97%-მა (N=412) ქართული ენის ცოდნა შეაფასა საშუალოდ ან უფრო უკეთესად.

¹⁷ დანართები 1 და 2

¹⁸ წყარო: საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, 2020. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

ყველა რესპონდენტი იყო საქართველოს მოქალაქე. მათი საშუალო ასაკი იყო 20 წელი ($SD=2$, მინიმუმი 17, მაქსიმუმი 28 წელი).

ცხრილი 4. კვლევის მონაწილეები - ასაკი

ეთნიკური ჯგუფები	N	საშუალო ასაკი	SD	მინიმუმი	მაქსიმუმი
აზერბაიჯანელები	234	20.41	2.123	17	28
ქართველები	278	19.9	1.9	17	26
სომხები	202	19.86	2	17	26

მშობლების ეროვნება რესპონდენტების მიერ განისაზღვრა შემდეგნაირად. აზერბაიჯანელი სტუდენტების 100%-ის ($N=234$) მიხედვით მათი მშობლები აზერბაიჯანული ეროვნების არიან. სომეხი სტუდენტების შემთხვევაში 98.5%-ის ($N=198$) დედა (მხოლოდ 1% ქართველი და .5% სხვა ეროვნების), ხოლო მამა ყველას შემთხვევაში (100%, $N=202$) ამავე ეროვნებისაა. ქართველების ჯგუფში რესპონდენტების ამავე ეროვნებისაა დედა 95.7%-ის ($N=265$), ხოლო მამა 97.8%-ის ($N=272$) შემთხვევაში.

მშობლების განათლების საფეხური. აზერბაიჯანელი სტუდენტების ჯგუფში დედების 59.3 % ($N=137$) საშუალო განათლება აქვს მიღებული, 7.8%-ს ($N=18$) პროფესიული-ტექნიკური, ხოლო 18.6% ($N=243$) უმაღლესი. ამავე ჯგუფში მამების 35.%-ს ($N=82$) აქვს უმაღლესი განათლება, საშუალო 41.1% ($N=95$) და პროფ-ტექნიკური 16%-ს ($N=37$).

სომეხი სტუდენტების მიხედვით საშუალო განათლება აქვს მიღებული დედების 47.5% ($N=296$) და მამების 34.7% ($N=70$). უმაღლესი განათლება კი დედების 38.6%-ს ($N=78$) და მამების 41.1% ($N=283$). ხოლო პროფ-ტექნიკური განათლება დედების 11.4% ($N=23$) და მამების 21.8% ($N=44$).

ქართველი სტუდენტების ჯგუფში საშუალო განათლება აქვთ დედების 10.2% ($N=28$) და მამების 12.7 % ($N=35$), უმაღლესი განათლება დედების 69.5%-ს ($N=191$) და მამების 60.5 %-ს ($N=167$).

საშუალო სკოლის დამთავრების ადგილი დასახლების ტიპის მიხედვით. კვლევაში მონაწილე ეთნიკური ჯგუფებს შორის განსხვავებაა საშუალო სკოლის დასრულების ადგილის მიხედვით. აზერბაიჯანელების 32.6 %-მა ($N=76$) სკოლა დაამთავრა ქალაქში, 59.2%-მა ($N=138$) სოფელში, ხოლო 8.2%-მა ($N=19$) დედაქალაქში. სომეხი სტუდენტების 36.8% ($N=74$) სკოლა დაასრულა ქალაქის ტიპის დასახლებაში, 52.7 %-მა ($N=106$) სოფელში, ხოლო 10.4 %-მა ($N=21$) დედაქალაქში. ქართველების ჯგუფში რესპონდენტების 47.1% ($N=131$) არის დედაქალაქიდან, 32% ($N=89$) სხვა ქალაქებიდან, ხოლო 20.3% ($N=56$) - სოფლის ტიპის დასახლებიდან.

ინფორმაცია მშობლების ეროვნების, განათლების საფეხურის და სკოლის დასრულების ადგილის შესახებ მოცემულია დანართებში 3 და 4.

4.4. ეთიკური საკითხი

კვლევის ჩატარებისას დაცული იყო ეთიკის სტანდარტები. მონაწილეები დასაწყისში ეცნობოდნენ კვლევის მიზნებს, გამოკითხვის სავარაუდო ხანგრძლივობას და ინფორმირებულ თანხმობის შემდეგ იწყებდნენ კითხვარის შევსებაზე. დაცული იყო გამოკითხულთა კონფიდენციალობა და მოხდა მიღებული შედეგების განზოგადებული ანალიზი.

4.5. კვლევის შეზღუდვები

ენის ბარიერი. კვლევა ჩატარდა ქართულ ენაზე, რაც კვლევაში მონაწილე არაქართულენოვანი სტუდენტების შემთხვევაში გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენდა.

კითხვარის შევსებაზე გატარებული დროის და ენის ცოდნის თვითშეფასების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კითხვების გაგების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემა არ ყოფილა.

კვლევის ჩატარების პერიოდი. კვლევის ფარგლებში მონაცემების შეგროვება დასრულდა 2017 წლის დეკემბერში. საკითხის და კონცეფციის თვისობრიობიდან გამომდინარე, მათი სამეცნიერო ღირებულება შენარჩუნებულია. კვლევის რამდენიმე მიზნიდან გამომდინარე, რაც მოიცავდა საქართველოს კონტექსტში ეთნიკური უმცირესობების სპეციფიკური ჯგუფების აკულტურაციის ორიენტაციების შესწავლას, აკულტურაციის ადაპტირებული საზომის შექმნას და ძირითადი მიგნებების საფუძველზე შემდგომი კვლევებისთვის რეკომენდაციების მომზადებას, მონაცემების ღირებულება და რელევანტობა შენარჩუნებულია. აღნიშნული მონაცემებს და მათ ანალიზს წვლილი შეაქვს საქართველოში აკულტურაციის სფეროში ემპირიული მონაცემების გამდიდრებაში.

თავი 5. შედეგების აღწერა

მონაცემები დამუშავდა SPSS 21-ის გამოყენებით. განსხვავებულ კულტურულ კონტექსტში/ქვეყანაში და ენაზე კვლევის ჩატარების გარემოებიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე მოხდა აკულტურაციის ინსტრუმენტის კროს კულტურული ადაპტაცია. გილემინის და მისი კოლეგების მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელოზე დაყრდნობით (Guillemen at al., 2000) კროს კულტურული ადაპტაცია ექვს ეტაპად განხორციელდა.

შემდეგ ეტაპზე მოხდა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება შემდეგი სტატისტიკური ოპერაციების გამოყენებით: აღწერითი სტატისტიკა, სიხშირეების დათვლა ორი მოდელის აკულტურაციის სტრატეგიების, ეთნიკური ჯგუფების და სქესის მიხედვით, კორელაციური ანალიზი, T-კრიტერიუმი დამოუკიდებელ ჯგუფთა შედარებისთვის, დისპერსიული ანალიზი (ANOVA), სკალის შინაგანი კონსისტენტობის საკვლევად კრონბახის ალფა კოეფიციენტი, რეგრესიული ანალიზი.

5.1. აკულტურაციის ორიენტაციების საზომის კროს კულტურული ადაპტაცია

აკულტურაციის ორიენტაციების საზომის (Snauwaert B., Soennens B., Vanbeselaere N., 2003) კროს კულტურული ადაპტაცია მოხდა გილემინის და მისი კოლეგების მიერ (Guillemen at al., 2000) შემოთავაზებული ეტაპების გავლის შედეგად. კროს-კულტურული ადაპტაციის პროცესი და შედეგები აღწერილია სტატიაში „აკულტურაციის ორიენტაციების საზომი ინსტრუმენტის კროს - კულტურული ადაპტაცია“ (ქიტიაშვილი, ტყეშელაშვილი, 2022).

ორმაგი დამოუკიდებელი თარგმანისა, უკუთარგმანის და შეჯერების პროცედურის გავლის შემდეგ შედგა ექსპერტული განხილვა. მსჯელობისას

გათვალისწინებული იყო ოთხი პრინციპი - სემანტიკური, იდიომატური, გამოცდილების და კონცეპტუალური. მიღებული იყო საბოლოო ფორმულირებები:

- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის საკუთარი კულტურის შენარჩუნება?
- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ქართული კულტურის ნაწილობრივ მაინც მიღება?
- რამდენად მნიშვნელოვანია სხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეებთან კარგი და რეგულარული ურთიერთობების ქონა?
- რამდენად მნიშვნელოვანია სრული მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში?

აკულტურაციის ადაპტირებული ინსტრუმენტის ტესტირების შედეგად არ გამოვლინდა ინსტრუმენტთან და დებულებების გაგება-შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემა, რის შედეგადაც გაგრძელდა კვლევა.

სკალის შიდა ვალიდობის კრონზახის ალფა კოეფიციენტის მაჩვენებელი ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების ერთიანი შერჩევითვის საკმაოდ მაღალია ($\alpha=.787$). უნდა აღინიშნოს, რომ სკალის შიდა ვალიდობა სნაუვერტის და კოლეგების ორიგინალურ კვლევაში მიღებულ მაჩვენებელზე მაღალია ($\alpha=.71$). ყველა დებულების კორელაცია სკალის საერთო მაჩვენებლებთან მიმართებაში დადებითია. მათგან რომელიმე დებულების ამოღების შემთხვევაში კრონზახის ალფა კოეფიციენტის მაჩვენებელი დაიწევს (ქიტიაშვილი, ტყემელაშვილი, 2022)¹⁹.

ცხრილი 5. კორელაციის კოეფიციენტები და კრონზახის ალფა

რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის	დებულებების კორელაცია სკალასთან	კრონზახის ალფა დებულების ამოღების შემთხვევაში
1. საკუთარი კულტურის შენარჩუნება	.617**	.724
2. ქართული კულტურის ნაწილობრივ მაინც მიღება	.589**	.737

¹⁹ ქიტიაშვილი, ტყემელაშვილი, 2022

3. სხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეებთან კარგი და რეგულარული ურთიერთობის ქონა	.569**	.747
4. სრული მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში	.605**	.730

** $p < .01$

ინსტრუმენტის შინაარსობრივი ვალიდობის შეფასების გარდა, კონსტრუქტული ვალიდობაც გაანალიზდა, რაც დაეფუძნა სხვადასხვა თეორიულ ვარაუდს და ცვლადებს შორის კავშირს, კერძოდ კორელაციას აკულტურაციის ორიენტაციებს და კვლევაში აკულტურაციის შედეგებად განსაზღვრულ ცვლადებს შორის (ქიტიაშვილი, ტყემელაშვილი, 2022).

5.2. კვლევის შედეგების აღწერა

შედეგების აღწერა მოხდა შემოთავაზებული კონცეპტუალური ჩარჩოს სტრუქტურის მიხედვით.

პირველ რიგში წარმოდგენილია ორი მოდელის მიხედვით პარალელურად დადგენილი აკულტურაციის ორიენტაციები ორივე ეთნიკური ჯგუფისთვის ერთობლივად და ინდივიდუალურად სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტების შემთხვევაში. ასევე წარმოდგენილია გენდერული ანალიზი.

შემდეგ კი აღწერილია *დეტერმინანტებად* განსაზღვრულ ცვლადების მიხედვით მიღებული შედეგები ეთნიკურ ჯგუფში (აზერბაიჯანელი, ქართველი, სომეხი ეთნიკური ჯგუფები) და შეფასებულია მათი გავლენა აკულტურაციის ორიენტაციებზე:

(ა) სიახლოვის აღქმა შესაბამისი სამი ეთნიკურ და სამი რელიგიური ჯგუფის, ასევე საქართველოს მოქალაქის მიმართ.

(ბ) ოჯახის მხარდაჭერა საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების მიმართ

(გ) უმრავლესობის დამოკიდებულების აღქმა და

(დ) ნდობა.

მომდევნო ნაწილში მოცემულია აკულტურაციის *შედეგის* ცვლადების ჯგუფის (სტრესის აღქმა, უნივერსიტეტში სწავლით და ცხოვრებით კმაყოფილება, უახლოესი სოციალური წრის ეთნიკური კომპოზიცია, გავლენის აღქმა, მოქალაქეობის მნიშვნელობის შეფასება) აღწერითი სტატისტიკა და აკულტურაციის ორიენტაციების (კერძოდ ინტეგრაციის) გავლენა ამ ცვლადებზე რეგრესიული ანალიზის საშუალებით.

ცხრილი 6. კვლევის შედეგების აღწერის სტრუქტურა

აკულტურაციის ორიენტაციები, ეთნიკური ჯგუფები და ცვლადები	
აკულტურაციის ორიენტაციები	5.2.1. ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეპარაცია, მარგინალიზაცია
აკულტურაციის დეტერმინანტები	5.2.2. სხვასთან სიახლოვის აღქმა <ul style="list-style-type: none"> • სიახლოვის აღქმა საკუთარ და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან (აზერბაიჯანელი, ქართველი, სომეხი) • სიახლოვის აღქმა საკუთარ და სხვა რელიგიურ ჯგუფებთან (მართლმადიდებელი, მუსლიმი, სომხური სამოციქულო ეკლესია) • სიახლოვის აღქმა საქართველოს მოქალაქესთან
	5.2.3. ოჯახის მხარდაჭერა უმაღლეს სასწავლებელში სწავლაში
	5.2.4. უმცირესობის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების აღქმა
	5.2.5. ნდობა ადამიანების უმრავლესობის მიმართ
	5.2.6. აღქმული სტრესი
აკულტურაციის შედეგები	5.2.7. უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება ცხოვრებით კმაყოფილება
	5.2.8. უახლოესი სოციალური წრის ეთნიკური კომპოზიცია
	5.2.9. მოქალაქეობის მნიშვნელობა
	5.2.10. გავლენის აღქმა

5.2.1. აკულტურაციის ორიენტაციები, მათი შედარება ეთნიკურ და გენდერულ ჭრილში²⁰

აკულტურაციის ორივე მოდელის მიხედვით ინტეგრაცია წარმოადგენს დომინანტურ ორიენტაციას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა მოცემულ ჯგუფში, რითიც კვლევის პირველი ჰიპოთეზა დადასტურდა (ქიტიაშვილი, ტყემელაშვილი, 2022). კვლევაში მონაწილე ორივე ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის ჯამური მონაცემებით, 81% ($N=346$) კონტაქტის მოდელის, ხოლო 76.1% ($N=325$) კულტურის მიღების მოდელის მიხედვით ავლენს ინტეგრაციის ორიენტაციას ($X^2=438.99$; $p<.05$). ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების ჯგუფში ინტეგრაციის ორიენტაცია უმრავლესობასთან კონტაქტის მზაობას უფრო ნიშნავს, ვიდრე კულტურის მიღება-გაზიარების ($t(424) = 2.473, p = .014$).

აკულტურაციის ორიენტაციებს შორის შემდეგ არჩევანს ორივე მოდელის შესაბამისად სეპარაცია წარმოადგენს 7.7% ($N=33$) და 12.9% ($N=55$). ამ მონაცემებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($t(435)=2.57, p=.01$). შეიძლება ითქვას, რომ როცა საქმე კულტურის ელემენტების მიღებას ეხება, ეთნიკური უმცირესობის ჯგუფები უფრო იხრებიან სეპარაციისკენ, ვიდრე ეს ვლინდება უმრავლესობასთან კონტაქტის შემთხვევაში. ეს შედეგი გარკვეულწილად ეხმიანება მოსაზრებას, რომლის მიხედვით უცხო კულტურის მიღება უფრო ღრმა პიროვნული ჩართულობას, ძალისხმევას და ცვლილებას უკავშირდება, ვიდრე მის წარმომადგენელთან კონტაქტი (Snauwaert et. al, 2003). შესაბამისად მოსალოდნელი შედეგია, რომ უმცირესობები მეტად ღია არიან ურთიერთობისთვის, ვიდრე მეინსტრიმული კულტურის ინტერნალიზაციისთვის.

²⁰ პირველ და მეორე ჰიპოთეზასთან დაკავშირებული მონაცემები ნაწილობრივ ასახულია კვლევის ანგარიშში (მაღლაკელიძე, მენადარიშვილი, ტყემელაშვილი, ჭუბურიძე, 2018) და სტატიაში (ქიტიაშვილი, ტყემელაშვილი, 2022)

ცხრილი 7. აკულტურაციის ორიენტაციების განაწილება ორივე ეთნიკური უმცირესობის ჯგუფში

აკულტურაციის ორიენტაციები	კულტურის მიღების მოდელი (Adoption)		კონტაქტის მოდელი (Contact)	
	N	%	N	%
ინტეგრაცია	325	76.1	346	81.0
სეპარაცია	55	12.9	33	7.7
ასიმილაცია	36	8.4	19	4.4
მარგინალიზაცია	11	2.6	29	6.8

ორი მოდელის შეთანხმებულობის შესამოწმებლად გამოვიყენე Kappa პროცედურა. განისაზღვრა რამდენად კონსისტენტურია ორი მოდელის მიხედვით განსაზღვრული კლასიფიკაციები/ორიენტაციები (ინტეგრაცია, სეპარაცია, ასიმილაცია, მარგინალიზაცია). $\kappa = .41$ და $\alpha = .0005$, რაც პიტის კლასიფიკაციის მიხედვით საშუალო შეთანხმებულობას ნიშნავს. ეს შედეგი მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ამ ორი მოდელის მიხედვით გაზომილი აკულტურაციის ორიენტაციები თვისებრივად განსხვავებული კონცეფციებს ეფუძნება - *კონტაქტის* და *კულტურის მიღების*. მათ მხოლოდ აკულტურაციის ორიენტაციების მდგენელი პირველი განზომილება აერთიანებთ.

აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების აკულტურაციის ორიენტაციებს შორის გარკვეული განსხვავებაა ორივე მოდელის მიხედვით (ცხრილი 8). სომეხ სტუდენტებში კონტაქტის (82.2%, $N=162$) და კულტურის მიღების (78.8%, $N=156$) მიხედვით უფრო მეტი მზაობაა. აზერბაიჯანელ ჯგუფში ინტეგრაციის ორიენტაცია უმრავლესობასთან ურთიერთობის (80%, $N=184$) შემთხვევაში უფროა მხარდაჭერილი, ვიდრე დომინანტური კულტურის მიღების (73.8%, $N=169$) მიხედვით. თუმცა ორ მოდელს შორის ორივე ეთნიკურ ჯგუფში დადგენილი ტენდენცია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის ($t(230) = 1.66$, $p = .099$). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა კულტურის მოდელის მიხედვით სეპარაციის მაჩვენებლებს შორის ($t(433.9) = 1.31$, $p = .191$), სადაც კულტურის მიღების მოდელის (14.8%, $N=34$) მიხედვით აზერბაიჯანულ ჯგუფში სეპარაციის უფრო მაღალი მაჩვენებელია ვიდრე კონტაქტის მოდელში (8.3%, $N=34$).

ცხრილი 8. ორივე მოდელის აკულტურაციის ორიენტაციების განაწილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით

აკულტურაციის ორიენტაციები	აზერბაიჯანელი სტუდენტები				სომეხი სტუდენტები			
	კულტურის მიღების მოდელი		კონტაქტის მოდელი		კულტურის მიღების მოდელი		კონტაქტის მოდელი	
	N	%	N	%	N	%	N	%
ინტეგრაცია	169	73.8	184	80	156	78.8	162	82.2
სეპარაცია	34	14.8	19	8.3	21	10.6	14	7.1
ასიმილაცია	5	2.2	10	4.3	6	3	9	4.6
მარგინალიზაცია	21	9.2	17	7.4	15	7.6	12	6.1

სტატისტიკური მნიშვნელობის არქონის მიუხედავად, ქართული კულტურის მიღებისადმი კონტაქტზე ნაკლები მზაობის ტენდენცია საინტერესო შედეგს წარმოადგენს. ეს ტენდენცია იძლევა ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ კულტურული მსგავსების ფენომენი (Schwartz, Unger, Zamboanga, and Szapocznik, 2010/2013) და სიახლოვის აღქმა შესაძლებელია სომხების და ქართველების ქრისტიანული აღმსარებლობით იყოს განპირობებული (Berry, 2006). შემდეგ ქვეთავში განხილული *სხვების საკუთარ მე-ში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტის* (Aron et al., 1992) შედეგების მიხედვით (ცხრილი 14), აზერბაიჯანელი სტუდენტები ($M=3.50$, $SD=2.1$) სომხებზე ($M=4.07$, $SD=2.24$) ნაკლებად აღიქვამენ სიახლოვეს მართლმადიდებელ ქრისტიანთან. ყველაზე მაღალია მართლმადიდებელთან სიახლოვის აღქმის მაჩვენებელი ქართველი სტუდენტების ჯგუფში ($M=5.28$, $SD=1.84$). ეთნიკურ ჯგუფებს შორის მართლმადიდებელთან სიახლოვის აღქმაში განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($F(2, 653)=45.55$, $p < .001$). რელიგიური კუთვნილების საკითხი და მისი სავარაუდო გავლენა აკულტურაციაზე უფრო ღრმად შესწავლას საჭიროებს შემდეგ ეტაპზე, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების საშუალებით.

სქესის მიხედვით ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ორიენტაციის შედარება საინტერესო შედეგს გვაძლევს. ორივე მოდელის (კონტაქტის მოდელი 46.2%,

$N=197$), კულტურის მიღების მოდელი 43.2%, $N=184$) მიხედვით ინტეგრაციის ორიენტაცია უფრო ქალებში გვხვდება, ვიდრე კაცებში (კონტაქტის მოდელი 35%, $N=149$ და კულტურის მიღების მოდელი 33.1%, $N=141$). დანარჩენ სამ ორიენტაციაში მცირედი განსხვავებით მამრობით სქესს აქვს უფრო მაღალი მაჩვენებელი (ცხრილი 9).

სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია კონტაქტის მოდელის მიხედვით ($X^2 = 9.720$; $p = .021$) და არაა კულტურის მიღების მოდელის შემთხვევაში ($X^2 = 6.802$; $p = .078$). შესაბამისად ჩანს, რომ ქალები უფრო ღია არიან უმრავლესობის საზოგადოებასთან კონტაქტისთვის, ვიდრე კაცები. ხოლო როცა უმრავლესობის კულტურის მიღებას ეხება საქმე, ორივე სქესს მსგავსი დამოკიდებულება აქვს.

ცხრილი 9. აკულტურაციის ორი მოდელის ორიენტაციები სქესის მიხედვით

აკულტურაციის ორიენტაციები	კულტურის მიღების მოდელი				კონტაქტის მოდელი			
	მამრობითი		მდედრობითი		მამრობითი		მდედრობითი	
	<i>N</i>	%	<i>N</i>	%	<i>N</i>	%	<i>N</i>	%
ინტეგრაცია	141	33.1%	184	43.2%	149	35.0%	197	46.2%
სეპარაცია	32	7.3%	24	5.6%	22	5.2%	11	2.6%
ასიმილაცია	8	1.9%	3	0.7%	12	2.8%	7	1.6%
მარგინალიზაცია	18	4.2%	17	4.0%	15	3.5%	13	3.1%

5.2.2. „სხვასთან“ სიახლოვის აღქმა

საკუთარი და განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელთან სიახლოვის აღქმის მიხედვით ეთნიკური ჯგუფების შედეგები (M , SD) მოცემულია ცხრილში 10. საინტერესოა ჯგუფებს შორის განსხვავება სიახლოვის აღქმაში. ტროპისა და რაითის (Tropp, Wright, 2001) კვლევებზე დაყრდნობით, ამ ინსტრუმენტით სიახლოვესთან ერთად ჯგუფთან იდენტიფიკაციის გაზომვაც მოხდა.

ცხრილი 10. სიახლოვის აღქმა - მონაცემები ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტის მიხედვით)²¹

	საქართველო	ქართველი	აზერბაიჯანი	აზერბაიჯანი	სომეხი	სომეხი	მართლმადიდებელი	მუსლიმი	სომხეთის
	ლოს	ლოს	ანელი	ანელი	საქართველო	სომხეთში	დიდებელი	დიდებელი	სამოციქულო
	მოქალაქე	საქართველო	საქართველო	აზერბაიჯანი	ლოში	ლოში	ლოში	ლოში	მართლმადიდებელი
		ლოში	ლოში	ანში					ელი ეკლესიის მრევლი
აზერბაიჯანელი	$M=4.99$	$M=4.79$	$M=5.67$	$M=4.98$	$M=3.21$	$M=2.73$	$M=3.50$	$M=5.72$	$M=2.74$
	$SD=1.89$	$SD=1.87$	$SD=1.67$	$SD=2.06$	$SD=1.93$	$SD=2.24$	$SD=2.25$	$SD=1.76$	$SD=2.02$
სომეხი	$M=5.61$	$M=5.04$	$M=2.90$	$M=2.24$	$M=6.06$	$M=6.07$	$M=4.07$	$M=2.40$	$M=5.68$
	$SD=1.46$	$SD=1.63$	$SD=1.82$	$SD=2.04$	$SD=1.40$	$SD=1.35$	$SD=2.24$	$SD=1.93$	$SD=1.76$
ქართველი	$M=5.45$	$M=5.64$	$M=3.47$	$M=3.44$	$M=3.51$	$M=3.42$	$M=5.28$	$M=3.48$	$M=3.28$
	$SD=1.73$	$SD=1.67$	$SD=1.77$	$SD=2.26$	$SD=1.76$	$SD=2.29$	$SD=1.84$	$SD=1.93$	$SD=1.94$

ეთნიკურ ჯგუფებს შორის მოცემული ცხრა კატეგორიის მიხედვით მიღებული საშუალოები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება (ცხრილი 11). სტატისტიკურად სანდო განსხვავება არაა მხოლოდ აზერბაიჯანელის ($M=4.79$, $SD=1.87$) და სომეხის ($M=5.04$, $SD=1.63$) მიერ საქართველოში ქართველთან სიახლოვის აღქმაში. ასევე არაა განსხვავება ქართველის ($M=3.51$, $SD=1.76$), აზერბაიჯანელის ($M=3.21$, $SD=$

²¹ აღნიშნული მონაცემები ასახულია კვლევის ანგარიშში (მაღლაკელიძე, მენაღარიშვილი, ტყეშელაშვილი, ჭუმბურიძე, 2018)

1.93) მიერ საქართველოში მცხოვრებ სომეხთან და ქართველსა და სომეხს შორის საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვის აღქმაში.

ცხრილი 11. სიახლოვის აღქმის სტატისტიკური მნიშვნელობა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტი; შვიდეულიანი შეფასება)

ცვლადი	(I) ეთნიკური ჯგუფი	(J) ეთნიკური ჯგუფი	საშუალოებს შორის სხვაობა (I-J)	სტანდარტულ ი შეცდომა	მნიშვნელო ბა (Sig.)	
საქართველოს მოქალაქეებთან სიახლოვე	აზერი	ქართველი	-.465*	.158	.009	
		სომეხი	-.621*	.167	.001	
ქართველი	აზერი	სომეხი	.465*	.158	.009	
	სომეხი	აზერი	-.156	.163	.601	
	აზერი	ქართველი	.621*	.167	.001	
	სომეხი	ქართველი	.156	.163	.601	
ქართველთან საქართველოში	აზერი	ქართველი	-.847*	.160	.000	
		სომეხი	-.253	.169	.295	
	ქართველი	აზერი	.847*	.160	.000	
		სომეხი	.595*	.165	.001	
	სომეხი	აზერი	.253	.169	.295	
		ქართველი	-.595*	.165	.001	
	აზერბაიჯანელთან საქართველოში	აზერი	ქართველი	2.201*	.163	.000
			სომეხი	2.766*	.172	.000
ქართველი		აზერი	-2.201*	.163	.000	
		სომეხი	.565*	.168	.002	
სომეხი		აზერი	-2.766*	.172	.000	
		ქართველი	-.565*	.168	.002	
აზერბაიჯანელთან აზერბაიჯანში	აზერი	ქართველი	1.535*	.198	.000	
		სომეხი	2.738*	.210	.000	
	ქართველი	აზერი	-1.535*	.198	.000	
		სომეხი	1.203*	.206	.000	
	სომეხი	აზერი	-2.738*	.210	.000	
		ქართველი	-1.203*	.206	.000	
სომეხთან საქართველოში	აზერი	ქართველი	-.302	.160	.145	
		სომეხი	-2.855*	.169	.000	
	ქართველი	აზერი	.302	.160	.145	
		სომეხი	-2.553*	.165	.000	
	სომეხი	აზერი	2.855*	.169	.000	
		ქართველი				

		ქართველი	2.553'	.165	.000
სომეხთან სომეხეთში	აზერი	ქართველი	-.697'	.189	.001
		სომეხი	-3.345'	.200	.000
	ქართველი	აზერი	.697'	.189	.001
		სომეხი	-2.648'	.195	.000
	სომეხი	აზერი	3.345'	.200	.000
		ქართველი	2.648'	.195	.000
მართლმადიდებელთან	აზერი	ქართველი	-1.786'	.192	.000
		სომეხი	-.576'	.205	.014
	ქართველი	აზერი	1.786'	.192	.000
		სომეხი	1.210'	.199	.000
	სომეხი	აზერი	.576'	.205	.014
		ქართველი	-1.210'	.199	.000
მუსლიმთან	აზერი	ქართველი	2.249'	.175	.000
		სომეხი	3.325'	.184	.000
	ქართველი	აზერი	-2.249'	.175	.000
		სომეხი	1.076'	.181	.000
	სომეხი	აზერი	-3.325'	.184	.000
		ქართველი	-1.076'	.181	.000
სომხური მართლმადიდებლური	აზერი	ქართველი	-.547'	.178	.006
სამოციქულო ეკლესიის მრევლის		სომეხი	-2.947'	.189	.000
წარმომადგენელთან	ქართველი	აზერი	.547'	.178	.006
		სომეხი	-2.400'	.185	.000
	სომეხი	აზერი	2.947'	.189	.000
		ქართველი	2.400'	.185	.000

საკუთარ და განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელთან აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი სტუდენტების სიახლოვის აღქმის შეფასება პრიორიტეტულობის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში 12. მოცემული შედეგების მიხედვით, აზერბაიჯანელ სტუდენტებს ყველაზე მაღალი სიახლოვე ეთნიკურზე მეტად, საკუთარი კონფესიის ($M = 5.72$, $SD = 1.76$) და შემდეგ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან ანუ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთან ($M = 5.67$, $SD = 1.76$) აქვთ. შემდეგ ადგილზეა საქართველოს

მოქალაქესთან ($M = 4.99, SD = 1.89$) და აზერბაიჯანში მცხოვრებ აზერბაიჯანელთან სიახლოვე ($M = 4.98, SD = 2.06$).

სომეხი სტუდენტების შემთხვევაში ყველაზე მაღალია სიახლოვე სომხეთში ($M = 6.07, SD = 1.35$) და საქართველოში ($M = 6.06, SD = 1.40$) მცხოვრები საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან. შემდეგ არის სიახლოვე სომხეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლთან ($M = 5.68, SD = 1.76$), რასაც მოყვება საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვე ($M = 5.61, SD = 1.46$), რომელიც გაცილებით უფრო მაღალია ვიდრე აზერბაიჯანელების შემთხვევაში, თუმცა აზერბაიჯანელების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე რიგით მესამეა ($M = 4.99, SD = 1.89$), ვისთანაც ეს ჯგუფი სიახლოვეს განიცდის, სომხების შემთხვევაში კი მეოთხე. ეთნიკური უმცირესობის ორივე ჯგუფის შემთხვევაში ადგილი აქვს სიახლოვის აღქმას საკუთარ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფთან და მხოლოდ შემდეგ საქართველოს მოქალაქესთან (ცხრილში 12).

საინტერესოა ქართველი სტუდენტების შედეგები, რომლის მიხედვით საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან ($M = 5.64, SD = 1.67$) სიახლოვის განცდას, საქართველოს მოქალაქესთან ($M = 5.45, SD = 1.73$) და შემდეგ მართლმადიდებელთან სიახლოვე მოსდევს ($M = 5.28, SD = 1.84$).

ცხრილი 12. სიახლოვის აღქმა ეთნიკური ჯგუფების პრიორიტეტების მიხედვით (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტის; შვიდექულიანი შეფასება)

	აზერბაიჯანელები	ქართველები	სომეხები
1.	მუსლიმთან ($M = 5.72, SD = 1.75$)	ქართველთან ($M = 5.64, SD = 1.67$)	სომეხთან სომხეთში ($M = 6.07, SD = 1.35$)
2.	საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთან ($M = 5.67, SD = 1.67$)	საქართველოს მოქალაქესთან ($M = 5.45, SD = 1.73$)	სომეხთან საქართველოში ($M = 6.06, SD = 1.40$)

3.	საქართველოს მოქალაქესთან ($M = 4.99, SD = 1.89$)	მართლმადიდებელთან ($M = 5.28, SD = 1.84$)	სომხური მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის მრევლის წარმომადგენელთან ($M = 5.68, SD = 1.76$)
4.	აზერბაიჯანში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან ($M = 4.98, SD = 2.06$)		საქართველოს მოქალაქეებთან ($M = 5.61, SD = 1.46$)

აკულტურაციის შესწავლის კონტექსტში საინტერესოა ა) საქართველოს მოქალაქესთან და ბ) ქართველთან საქართველოში სიახლოვის აღქმის ცალკე განხილვა სამივე ეთნიკური ჯგუფის შემთხვევაში. ქართველ ($M=5.45, M=5.64$) და სომეხ სტუდენტებთან ($M=5.61, M=5.04$) შედარებით, აზერბაიჯანელებს ($M=4.99, M=4.79$) ორივე კატეგორიის მიმართ დაბალი სიახლოვის განცდა აქვთ. საქართველოს მოქალაქესთან სომეხი სტუდენტების მხრიდან უფრო მაღალი სიახლოვე დაფიქსირდა ($M=5.61, SD=1.46$), ვიდრე ქართველ სტუდენტებში ($M=5.45, SD=1.73$).

ცხრილი 13. სიახლოვის აღქმა საქართველოს მოქალაქესა და ქართველთან საქართველოში (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტი; შვიდეულიანი შეფასება)


	საქართველოს მოქალაქე	ქართველი საქართველოში
აზერბაიჯანელი	$M = 4.99, SD = 1.89$	$M = 4.79, SD = 1.87$
სომეხი	$M = 5.61, SD = 1.46$	$M = 5.04, SD = 1.63$
ქართველი	$M = 5.45, SD = 1.73$	$M = 5.64, SD = 1.67$

სტატისტიკურად მნიშვნელოვანია განსხვავება ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის საქართველოს მოქალაქესთან ($t(470) = 5.15, p = .005$) და ქართველთან საქართველოში ($t(467) = 5.188, p < .001$) სიახლოვის აღქმაში.

სომხებსა და ქართველებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა მხოლოდ ქართველთან სიახლოვის აღქმაში ($t(441) = 3.765, p < .001$).

ხოლო სომხებს და აზერბაიჯანელებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია განსხვავება საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვის აღქმაში ($t(421) = 3.75, p < .001$), რაც სომხების შემთხვევაში მნიშვნელოვანად მაღალია.

დიაგრამა 1. საქართველოს მოქალაქესთან და ქართველთან საქართველოში სიახლოვის აღქმა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტი; შვიდქულიანი შეფასება)




არონის ინსტრუმენტის მიხედვით, სამივე ჯგუფის მიერ ერთმანეთის კონფესიის წარმომადგენლის მიმართ სიახლოვის შეფასება, კულტურასა და რელიგიას შორის არსებულ მჭიდრო კავშირს ნაწილობრივ ეხმიანება. სომხებს და აზერბაიჯანელებს შორის მართმადიდებელთან სიახლოვის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა ($t(407)=2.653, p=.008$).

საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვის აღქმაში განსხვავებაა სქესის მიხედვით. ქართველების (კაცი $M=5.04, SD=1.762$; ქალი $M=5.58, SD=1.702$) და სომხების (კაცი $M=5.51,$

$SD=1.569$; ქალი $M=5.67$, $SD=1.387$) ჯგუფში ქალების საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია მამაკაცებზე, ვიდრე აზერბაიჯანელებში (კაცი $M=5.08$, $SD=1.939$; ქალი $M=4.89$, $SD=1.839$). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სქესთა შორის არის მხოლოდ ქართველების ჯგუფში ($F(1, 246) = [4.359]$, $p = .038$), რომელშიც საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვე უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში.

დიაგრამა 2. საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვის აღქმა სქესის მიხედვით (არონის სხვების საკუთარი თავში ჩართულობის გრაფიკული ინსტრუმენტი; შვიდქულიანი შეფასება)



კულტურის მიღების მოდელის მიხედვით აზერბაიჯანელებთან (73.8%) შედარებით ინტეგრაციის უფრო მაღალი მაჩვენებელი სომეხ სტუდენტებში (78.8%), მიანიშნებს სომეხების უფრო მეტ მზაობაზე ნაწილობრივ მაინც მიიღონ ქართული კულტურის ელემენტები. სტატისტიკური მნიშვნელობა არ დადგინდა, მაგრამ ტენდენცია მაინც გამოხატულია. საკუთარი აღმსარებლობის ($M=5.68$) შემდეგ სომეხების სიახლოვის აღქმის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია მართლმადიდებლებთან ($M=4.07$), რაც რელიგიისა და კულტურის ურთიერთ გადაჯაჭვულობის, ორი მეზობელი ერის ისტორიულ წარსულზე მათი გავლენის გათვალისწინებით, შესაძლებელია ხსნიდეს კულტურის მიღების საფუძველზე დადგენილ ინტეგრაციის მაღალ მაჩვენებელს სომეხ სტუდენტებში (აზერბაიჯანელებთან შედარებით). ამ დაშვების გადასამოწმებლად საჭიროა მეტი ემპირიული მტკიცებულება და დამატებითი კვლევა.

ცხრილი 14. სხვასთან სიახლოვის აღქმა აღმსარებლობის მიხედვით (სხვისი საკუთარ თავში ჩართულობის ინსტრუმენტი, *M*, *SD*)

ეთნიკური ჯგუფი	სიახლოვე რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლის მიმართ			
	მუსლიმი	მართლმადიდებელი	სომხური მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის	
აზერბაიჯანელი	<i>M</i>	5.72	3.50	2.74
	<i>SD</i>	1.751	2.145	2.019
ქართველი	<i>M</i>	3.48	5.28	3.28
	<i>SD</i>	1.934	1.841	1.943
სომეხი	<i>M</i>	2.40	4.07	5.68
	<i>SD</i>	1.929	2.241	1.764


მოცემული მონაცემები მოსალოდნელი და ლოგიკურია. კვლევაში მონაწილე სამივე ჯგუფი მათივე ეთნიკური ჯგუფის დომინანტურ აღმსარებლობის წარმომადგენელთან აღიქვამს სიახლოვეს სხვა რელიგიურ ჯგუფთან შედარებით (ცხრილი 14). ფინის და კოლეგების მასშტაბურ კვლევაში (Phinney et al., 2001), რომელშიც მონაწილეობა ოთხი ქვეყნის ახალგაზრდობამ მიიღო, მსგავსი შედეგი იყო მიღებული - უკლებლივ ყველა ქვეყანაში და უმცირესობის ყველა ჯგუფში საკუთარ ეთნიკურ ჯგუფთან იდენტიფიკაცია იყო ყველაზე მაღალი. ეს შედეგი ასევე მიანიშნებს სიახლოვის საზომი ინსტრუმენტის სანდოობაზე, რაც მიღებული მონაცემების შემდგომი ანალიზისთვის არის მნიშვნელოვანი.

5.2.3. ოჯახის ხელშეწყობის აღქმა უმაღლესი განათლების მიღებაში

მაღალია საქართველოში განათლების მიღებაში ოჯახის ხელშეწყობის აღქმა სომეხ ($M=4.43$, $SD=.889$) და აზერბაიჯანელ ($M=4.32$, $SD=1.091$) სტუდენტებში. ორივე ჯგუფის შემთხვევაში სტუდენტების უმრავლესობა (აზერბაიჯანელების 85.3%, სომეხების 90%),

ფიქრობს მათი ოჯახები უწყობენ ხელს²² უმაღლესი განათლების მიღებაში. შედეგი მოსალოდნელია სტუდენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, რადგან აბიტურიენტობისა და სტუდენტობისას ოჯახის მხარდაჭერა გადამწყვეტია. სადისერტაციო კვლევაში გამოყენებულ კითხვაში არ იყო დაკონკრეტებული ხელშეწყობის ტიპი (მატერიალური, ფსიქოლოგიური). კითხვა ზოგადად განათლების მიღებაში ოჯახის ხელშეწყობის აღქმის შესწავლას ისახავდა მიზნად.

დიაგრამა 3. განათლების მიღებაში ოჯახის ხელშეწყობა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით



თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის ხელშეწყობის აღქმა შედარებით მაღალია ქართველი სტუდენტების ჯგუფში ($M=4.86$, $SD=.405$). აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტების მიერ ქართველების მონაცემებთან შედარების ოჯახის ნაკლები მხარდაჭერის აღქმა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ($F(2, 707) = [79.903]$, $p = .000$).

²² დათვლილია შემდეგი პასუხები - სრულიად მიწყობენ და უფრო მიწყობენ ხელს.

ოჯახის ხელშეწყობის აღქმაში სტატისტიკურად სანდო განსხვავებაა ქართველებს და აზერბაიჯანელებს შორის ($p=.000$, 95% C.I. = [.36, .71]), ასევე ქართველებს და სომხებს შორის ($p=.000$, 95% C.I. = [.25, .60]). არაა განსხვავება ხელშეწყობის აღქმაში სომეხი და აზერბაიჯანელ სტუდენტებს შორის.

ცხრილი 15. საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებაში ოჯახის ხელშეწყობის აღქმა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით

	(J) ეთნიკური ჯგუფი	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
აზერბაიჯანელი	ქართველი	-.536*	.073	.000
	სომეხი	-.112	.079	.337
ქართველი	აზერბაიჯანელი	.536*	.073	.000
	სომეხი	.425*	.076	.000
სომეხი	აზერბაიჯანელი	.112	.079	.337
	ქართველი	-.425*	.076	.000

სამივე ეთნიკურ ჯგუფის გათვალისწინებით, ქალების ($M=4.64$, $SD=.800$) მიერ ოჯახის ხელშეწყობის აღქმა უფრო მაღალია კაცებთან ($M=4.44$, $SD=.932$) შედარებით და ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ($F(1, 707)=8.66$, $p=.003$). სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება დასტურდება მხოლოდ სომხების ჯგუფში ($F(1, 198) = [5.593]$, $p=.019$), ხელშეწყობის აღქმა უფრო მაღალია ქალებში ($M=4.55$, $SD=.785$), ვიდრე კაცებში ($M=4.25$, $SD=1.006$).

ცხრილი 16. საქართველოში განათლების მიღებაში ოჯახის ხელშეწყობის აღქმა სქესის მიხედვით (სამივე ეთნიკურ ჯგუფში ჯამურად)

	N	Mean	Std. Deviation	Std. Error
კაცი	262	4.44	.932	.058
ქალი	447	4.64	.800	.038

ოჯახის ხელშეწყობის აღქმაში განსხვავებაა აკულტურაციის ორიენტაციების და არა მოდელების მიხედვით.

ცხრილი 17. განათლების მიღებაში ოჯახის ხელშეწყობა აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (N, M, SD)


	N	Mean	SD	Std. Error	95% ნდობის ინტერვალი			
					ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	მინიმუმი	მაქსიმუმი
აკულტურის მიღების მოდელი								
ინტეგრაცია	324	4.47	0.898	0.050	4.37	4.57	1	5
სეპარაცია	52	4.00	1.221	0.169	3.66	4.34	1	5
ასიმილაცია	11	3.82	1.834	0.553	2.59	5.05	1	5
მარგინალიზაცია	36	4.25	0.906	0.151	3.94	4.56	1	5
კონტაქტის მოდელი								
ინტეგრაცია	342	4.50	0.859	0.046	4.41	4.59	1	5
სეპარაცია	33	3.45	1.394	0.243	2.96	3.95	1	5
ასიმილაცია	19	4.16	1.302	0.299	3.53	4.79	1	5
მარგინალიზაცია	29	4.17	1.104	0.205	3.75	4.59	1	5

ოჯახის ხელშეწყობის აღქმაში განსხვავებაა აკულტურაციის ორიენტაციებს შორის *აკულტურის მიღების* მოდელის მიხედვით ($F(3, 419)=5.019, p=.002$). ოთხივე ორიენტაციის სეპარაციის ორიენტაციების მქონეთა შორის მხარდაჭერის აღქმის დადებითი ტენდენციაა, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არის ინტეგრაციისა და სეპარაციის ორიენტაციების შორის ($p=.007, C.I. = [.10, .85]$). ინტეგრაციის ორიენტაციის მქონე სტუდენტები უფრო მეტად აღიქვამენ ოჯახის მხარდაჭერას, ვიდრე სეპარაციის სტრატეგიის მქონე.

კონტაქტის მოდელის მიხედვით, ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა ($F(3, 419)=13.059, p=.000$). კერძოდ, *ინტეგრაციის* ორიენტაციის მქონეთა შორის მხარდაჭერის აღქმის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, ხოლო სეპარაციის ორიენტაციის - ყველაზე დაბალი. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი

განსხვავებაა ინტეგრაციას და სეპარაციას ($p=.000$, C.I. = [.60, 1.49]), სეპარაციას და მარგინალიზაციას ($p=.017$, C.I. = [-1.34, -.09]) შორის.

დიაგრამა 4. ოჯახის ხელშეწყობა საქართველოში განათლების მიღებაში ორივე მოდელი აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (%)




შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკულტურაციის ორივე მოდელის მიხედვით ინტეგრაციის და ასიმილაციის ორიენტაციის მქონენი უფრო მეტად აღიქვამენ

ოჯახის მხარდაჭერას, ვიდრე სეპარაციის და მარგინალიზაციის ორიენტაციის სტუდენტები.

5.2.4. უმცირესობის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების აღქმა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები უმეტესად დადებითად აფასებენ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას მათი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ და ეს აღქმა არ განსხვავდება ერთმანეთისგან ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიხედვით, აზერბაიჯანელ ($M=3.71$, $SD=.784$) და სომეხ ($M=3.73$, $SD=.777$) სტუდენტებს შორის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან დადებითად უფრო ნაკლებად აფასებენ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5. საკუთარი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ უმრავლესობის დამოკიდებულების აღქმა (%)



აკულტურაციის ორიენტაციების (კულტურის მიღების მოდელი) და საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შეფასების ანალიზის მიხედვით ვხედავთ საინტერესო ტენდენციას. ყველაზე მაღალია ასიმილაციის ($M=3.91$, $SD=.70$) და ინტეგრაციის ($M=3.78$, $SD=.78$) ორიენტაციის პირების დომინანტური ჯგუფის მათი ეროვნების მიმართ დამოკიდებულების დადებითი შეფასება, სეპარაციის ($M=3.55$, $SD=.66$) და მარგინალიზაციის ($M=3.42$, $SD=.87$) ორიენტაციის მქონეებთან შედარებით. ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ($F(3, 418) = 3.579$, $p=.014$) არის და ვლინდება ინტეგრაციას და მარგინალიზაციას შორის ($p=.039$, C.I. = .01, .71).


კონტაქტის მოდელის მიხედვით ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ($F(3, 418) = 4.134$, $p=.007$) დადგინდა ინტეგრაციას და სეპარაციას შორის ($p=.017$, C.I. = .05, .78). ოთხივე ორიენტაციას შორის ინტეგრაციის სტრატეგიის მქონენი ყველაზე დადებითად აფასებენ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას.

ცხრილი 18. საკუთარი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ საქართველოს მოსახლეობის აღქმა აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (აკულტურაციის ორი მოდელი; ეთნიკური უმცირესობების ორივე ჯგუფი)

	N	Mean	SD	Std. Error	95% ნდობის ინტერვალი			
					ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	მინიმუმი	მაქსიმუმი
კულტურის მიღების მოდელი								
ინტეგრაცია	322	3.78	.780	.043	3.69	3.87	1	5
სეპარაცია	53	3.55	.667	.092	3.36	3.73	2	5
ასიმილაცია	11	3.91	.701	.211	3.44	4.38	3	5
მარგინალიზაცია	36	3.42	.874	.146	3.12	3.71	1	5
კონტაქტის მოდელი								
ინტეგრაცია	341	3.78	.752	.041	3.70	3.86	1	5
სეპარაცია	33	3.36	.859	.150	3.06	3.67	2	5
ასიმილაცია	19	3.42	.838	.192	3.02	3.82	1	4
მარგინალიზაცია	29	3.62	.862	.160	3.29	3.95	2	5

ორივე მოდელის აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით ეთნიკური უმცირესობების მიერ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების სარკისებურ აღქმას შორის განსხვავება თვალსაჩინოდ ჩანს დიაგრამაში 6. ორივე მოდელში ემთხვევა ინტეგრაციის ორიენტაციის მქონეთა შეფასება. კულტურის მოდელის მიხედვით, ყველაზე დადებითად საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ასიმილაციის წარმომადგენლები განიხილავენ.

დიაგრამა 6. საკუთარი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ საქართველოს მოსახლეობის აღქმა (M) აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (აკულტურაციის ორი მოდელი; ეთნიკური უმცირესობების ორივე ჯგუფი)



კულტურის მოდელის საფუძველზე გამოვლენილი აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით, საკუთარი ეროვნების მიმართ საქართველოს მოსახლეობის


დამოკიდებულების ანალიზით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დგინდება ეთნიკური სომხების ჯგუფში ($p=.04$, 95% C.I. = .02, 1.09). კერძოდ, ინტეგრაციის და მარგინალიზაციის ორიენტაციების მქონე ჯგუფებს შორის. სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ ფიქსირდება აკულტურაციის ორიენტაციებს შორის აზერბაიჯანელების ჯგუფში.

სქესის მიხედვით არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ეთნიკური უმცირესობების ჯგუფში კაცებს ($M=3.68$, $SD=.850$) და ქალებს ($M=3.68$, $SD=.714$) შორის. განსხვავება არც აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების ჯგუფების შიგნით დადგინა სქესის მიხედვით.

5.2.5. ნდობა ადამიანების უმრავლესობის მიმართ

ადამიანების უმრავლესობის მიმართ ნდობის მიხედვით განსხვავებაა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ნდობის საშუალო შეფასების ტენდენცია აღინიშნება სამივე ჯგუფში.

დიაგრამა 7. ადამიანების მიმართ ნდობა სამი ეთნიკური ჯგუფის მიხედვით (%)



ადამიანების უმრავლესობის მიმართ ქართველ სტუდენტებს ($M=2.73$, $SD=1.16$) აზერბაიჯანელებთან ($M=3.41$, $SD=1.05$) და სომხებთან შედარებით ($M=3.23$, $SD=0.99$) ყველაზე დაბალი ნდობა აქვთ. ქართველების შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება დანარჩენებისგან. განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ქართველ და აზერბაიჯანელ ($p < .001$, 95% C.I. = $[-.90, -.45]$) და ქართველ და სომეხ სტუდენტებს ($p < .001$, 95% C.I. = $[-.74, -.27]$) შორის.

ცხრილი 19. ნდობა ადამიანების უმრავლესობის მიმართ - ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (M , SD)

როგორ ფიქრობთ, საერთო ჯამში ადამიანების უმრავლესობა ნდობას იმსახურებს, თუ სხვებთან ურთიერთობისას ადამიანს უფრო სიფრთხილე მართებს?		
ეროვნება	M	SD
აზერბაიჯანელი	3.41	1.05
ქართველი	2.73	1.16
სომეხი	3.23	0.99

კულტურის მიღების მოდელში აკულტურაციის ორიენტაციებს და ნდობის მაჩვენებელს შორის გარკვეული განსხვავებაა. ასიმილაციის ($M=3.64$, $SD=1.36$) და ინტეგრაციის ($M=3.36$, $SD=1.02$) ორიენტაციის მქონეებს უფრო მაღალი ნდობა აქვთ ადამიანების მიმართ, ვიდრე მარგინალიზაციის ($M=3.29$, $SD=.86$) და სეპარაციის ($M=3.07$, $SD=1.08$) ორიენტაციის მქონეთ.


ცხრილი 20. ადამიანების მიმართ ნდობა აკულტურაციის ორიენტაციების (კულტურის მოდელის) მიხედვით (N , M , SD)

	N	Mean	SD	Std. Error	95% ნდობის ინტერვალი			
					ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	მინიმუმი	მაქსიმუმი
კულტურის მიღების მოდელი								
ინტეგრაცია	321	3.36	1.022	.057	3.25	3.48	1	5
სეპარაცია	55	3.07	1.086	.146	2.78	3.37	1	5

ასიმილაცია	11	3.64	1.362	.411	2.72	4.55	1	5
მარგინალიზაცია	35	3.29	.860	.145	2.99	3.58	1	5
კონტაქტის მოდელი								
ინტეგრაცია	342	3.35	1.033	.056	3.24	3.46	1	5
სეპარაცია	33	3.03	1.015	.177	2.67	3.39	1	5
ასიმილაცია	19	3.21	1.084	.249	2.69	3.73	1	5
მარგინალიზაცია	28	3.50	.923	.174	3.14	3.86	1	5

ადამიანების მიმართ ნდობის ხარისხში განსხვავება აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით არაა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ორივე მოდელში, აკულტურაციის ოთხივე ორიენტაციის მქონე რესპონდენტები ერთმანეთის მსგავსად აფასებენ ადამიანების მიმართ ნდობას. შესაბამისად ამ ცვლადს და აკულტურაციის ორიენტაციებს შორის არ დასტურდება კავშირი.

დიაგრამა 8. ადამიანების მიმართ ნდობა (M) აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (აკულტურაციის ორი მოდელი; ეთნიკური უმცირესობების ორივე ჯგუფი)



ნდობის შეფასებაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა სქესის მიხედვით კაცებს და ქალებს შორის ($F(1, 705) = [5.611], p = .018$). კაცებში ადამიანების მიმართ ნდობა უფრო მაღალია ($M=3.22, SD=1.04$)¹⁵¹, ვიდრე ქალებში ($M=3.02, SD=1.151$), რომლებიც უფრო სიფრთხილეს არჩევენ. ეთნიკური ჯგუფების მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არის სომეხი სტუდენტების ჯგუფში, რომელშიც კაცების ნდობის მაჩვენებელი ($M=3.41, SD=0.793$) განსხვავდება ($F(1, 275) = [.488], p = .042$) ქალების მაჩვენებლისგან ($M=3.12, SD=1.082$).

5.2.6. სტრესის აღქმა

სტრესის აღქმის შედეგების მიხედვით ქართველ ($M=22.98, SD=6.1$) და აზერბაიჯანელ ($M=22.9, SD=5.5$) სტუდენტებში სტრესის აღქმა გაცილებით მაღალია, ვიდრე სომეხ ($M=20.7, SD=5.78$) სტუდენტებში. სომეხი სტუდენტების მიერ სტრესის აღქმა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართველი ($p < .001, 95\% C.I. = [-3.5, -.99]$) და აზერბაიჯანელი ($p < .001, 95\% C.I. = [-3.5, -.86]$) სტუდენტების სტრესის დონისგან. ეთნიკურ ჯგუფებს შორის სტრესის აღქმას შორის განსხვავება საინტერესო ფენომენია და მისი მიზეზების დასადგენად დამატებითი კვლევაა საჭირო.

ცხრილი 21. სტრესის აღქმა - ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (N, M, SD)

ეთნიკური ჯგუფები	N	M	SD
აზერბაიჯანელი	228	22.9079	5.55432
ქართველი	277	22.9892	6.14586
სომეხი	201	20.7164	5.78914

სტრესის აღქმა და აკულტურაციის ორიენტაციები ერთმანეთთან სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირში არ აღმოჩნდა. არც ერთი მოდელის მიხედვით არ გამოვლინდა კორელაცია რომელიმე ორიენტაციას და სტრესის მაღალ ან დაბალ მაჩვენებელს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ორიგინალური ინსტრუმენტის მიხედვით²³ ეთნიკურ უმცირესობებში დადგენილ საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც მერყეობს $M=14-14.7$ -ს შორის, სადისერტაციო კვლევაში მონაწილე სამივე ჯგუფის სტრესის საშუალო გაცილებით მაღალია (ცხრილი 21). ამ მონაცემის ინტერპრეტაციისთვის რეკომენდებულია შემდეგ კვლევებში სტრესის განსხვავებული საზომის გამოყენებაც სტუდენტებს შორის სტრესის დონის დასადგენად.

ცხრილი 22. სტრესის აღქმის შედარება აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (სტატისტიკური მნიშვნელობა)

		Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.	95% Confidence Interval	
					Lower Bound	Upper Bound
კულტურის მიღების მოდელი						
ინტეგრაცია	სეპარაცია	-.011	.844	1.000	-2.19	2.17
	ასიმილაცია	-4.011	1.773	.109	-8.58	.56
	მარგინალიზაცია	-.725	1.043	.899	-3.42	1.97
კონტაქტის მოდელი						
ინტეგრაცია	სეპარაცია	.394	.896	.971	-1.91	2.70
	ასიმილაცია	-1.332	.987	.532	-3.87	1.21
	მარგინალიზაცია	-1.440	1.053	.520	-4.15	1.27

სამივე ეთნიკურ ჯგუფში ერთიანად სქესის მიხედვით არ დგინდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. ქალებში ($M=22.38$, $SD=5.84$) სტრესის

²³ The PSS Scale is reprinted with permission of the American Sociological Association, from Cohen, S., Kamarck, T., and Mermelstein, R. (1983). A global measure of perceived stress. *Journal of Health and Social Behavior*, 24, 386-396.


Cohen, S. and Williamson, G. Perceived Stress in a Probability Sample of the United States. Spacapan, S. and Oskamp, S. (Eds.) *The Social Psychology of Health*. Newbury Park, CA: Sage, 1988.

მაჩვენებელი ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე კაცებში ($M=22.2$, $SD=6.108$). ეთნიკური ჯგუფების შიგნით, მნიშვნელოვანი განსხვავებაა ($F(1, 275) = [6.680]$, $p = 0.01$). ქართველების ჯგუფში. ქართველ ქალებს ($M=23.51$, $SD=6.294$) აქვთ სტრესის აღქმის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი კაცებთან შედარებით ($M=21.27$, $SD=5.316$).

5.2.7 უნივერსიტეტში სწავლით და ცხოვრებით კმაყოფილება

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტში სწავლით სამივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი უფრო კმაყოფილებას აფიქსირებს, ვიდრე უკმაყოფილებას.

დიაგრამა 9. უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%)



აზერბაიჯანელი ($M=4.32$, $SD=0.786$) და სომეხი ($M=4.23$, $SD=0.923$) სტუდენტები უფრო კმაყოფილი არიან უნივერსიტეტში სწავლით, ვიდრე ქართველები ($M=3.97$, $SD=0.897$), ეთნიკურ ჯგუფთა შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია

ქართველ და აზერბაიჯანელ ($p < .001$, 95% C.I. = [-.54, -.17]) და ქართველ და სომეხ სტუდენტებს შორის ($p = .003$, 95% C.I. = [-.45, -.07]).

ცხრილი 23. უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (N, M, SD)

ეთნიკური ჯგუფი	N	M	Std. Deviation
აზერბაიჯანელი	232	4.32	0.786
ქართველი	275	3.97	0.897
სომეხი	200	4.23	0.923

ინტეგრაციის (კულტურის მოდელის მიხედვით) ორიენტაციის მქონე სტუდენტების უნივერსიტეტში სწავლით მაღალი კმაყოფილება ($M=4.38$, $SD=.768$) სტატისტიკურად მნიშვნელოვანად განსხვავდება სეპარაციის ორიენტაციის ($M=4.00$, $SD=.943$) მქონე პირების კმაყოფილების შედარებით დაბალ დონესთან ($p = .01$, 95% C.I. = [.07, .69]). ამავე მოდელის მიხედვით, სტატისტიკურად სანდო განსხვავებაა ინტეგრაციის ($M=4.38$, $SD=0.768$) და მარგინალიზაციის ($M=3.92$, $SD=1.025$) ორიენტაციების მქონე სტუდენტების უნივერსიტეტში კმაყოფილების დონეებს შორის ($p = .008$, 95% C.I. = [.09, .83]).

კონტაქტის მოდელის მიხედვით სტატისტიკურად სანდო განსხვავებაა ინტეგრაციის ($M=4.38$, $SD=.761$) და სეპარაციის ($M=3.81$, $SD=1.061$) ($p = .008$, 95% C.I. = [.08, .75]), ასევე ინტეგრაციის და ასიმილაციის ($M=4.05$, $SD=1.777$) ორიენტაციებს შორის ($p = .039$, 95% C.I. = [-.01, .74]).


ცხრილი 24. უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (ორი მოდელი, N, M, SD)

	N	Mean	Std. Deviation	Std. Error	95% Confidence Interval for Mean		Min	Max
					Lower Bound	Upper Bound		
კულტურის მიღების მოდელი								
ინტეგრაცია	323	4.38	.768	.043	4.29	4.46	1	5
სეპარაცია	55	4.00	.943	.127	3.75	4.25	1	5

ასიმილაცია	10	4.30	1.059	.335	3.54	5.06	2	5
მარგინალიზაცია	36	3.92	1.025	.171	3.57	4.26	1	5
კონტაქტის მოდელი								
ინტეგრაცია	345	4.38	.761	.041	4.30	4.46	1	5
სეპარაცია	32	3.81	1.061	.187	3.43	4.19	1	5
ასიმილაცია	19	4.05	1.177	.270	3.49	4.62	1	5
მარგინალიზაცია	28	3.93	.940	.178	3.56	4.29	2	5


აკულტურაციის ორი მოდელის მიხედვით უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილების შედარება, ასევე სხვადასხვა ორიენტაციების მქონე რესპონდენტების შეფასების შედარება კარგად ჩანს ქვევით მოცემულ დიაგრამაზე. აკულტურაციის სხვადასხვა მოდელში, *სეპარაციის* და *ასიმილაციის* ორიენტაციების ინდივიდები განსხვავებულად აფასებენ უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილებას. ორივე შემთხვევაში კმაყოფილება მაღალია *ინტეგრაციის* და *ასიმილაციის* ორიენტაციების მქონე ინდივიდებში.

დიაგრამა 10. უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება (M) აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (აკულტურაციის ორი მოდელი; ეთნიკური უმცირესობების ორივე ჯგუფი)




სქესის მიხედვით ქართველებისა და აზერბაიჯანელების ჯგუფებისგან განსხვავებით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგია ($F(1, 198) = [14.059], p < 0.001$) სომეხ სტუდენტებში, სადაც ქალები ($M=4.42, SD=.804$) გაცილებით კმაყოფილი არიან უნივერსიტეტში სწავლით, ვიდრე კაცები ($M=3.94, SD=1.017$). სამივე ეთნიკური ჯგუფის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის კაცებს ($M=4.08, SD=.896$) და ქალებს ($M=4.21, SD=.872$) შორის.

დიაგრამა 11. უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (M)



კვლევაში მონაწილე სამივე ეთნიკური ჯგუფი უფრო კმაყოფილია ცხოვრებით, ვიდრე უკმაყოფილო. საერთო დინამიკა კმაყოფილებისკენ უფრო იხრება, ვიდრე უკმაყოფილებისკენ.

დიაგრამა 12. ამჟამინდელი ცხოვრებით კმაყოფილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%)



ქართველი სტუდენტების კმაყოფილება ცხოვრებით არის უფრო დაბალი ($M=3.68$, $SD=.963$), ვიდრე სომეხი ($M=4.14$, $SD=.851$) და აზერბაიჯანელი ($M=4.06$, $SD=.923$) ახალგაზრდების. სტატისტიკურად სანდოა ქართველი-სომეხი ($p < .001$, 95% C.I. = $[-.66, -.25]$) და ქართველი-აზერბაიჯანელი ($p < .001$, 95% C.I. = $[-.58, -.19]$) რესპონდენტების კმაყოფილების საშუალოებს შორის სხვაობა.

ცხრილი 25. ცხოვრებით კმაყოფილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (M , SD)

	N	Mean	Std. Deviation	Std. Error	95% Confidence Interval for Mean		Minimum	Maximum
					Lower Bound	Upper Bound		
აზერბაიჯანელი	231	4.06	.923	.061	3.95	4.18	1	5
ქართველი	275	3.68	.963	.058	3.57	3.79	1	5
სომეხი	199	4.14	.851	.060	4.02	4.25	2	5

კულტურის მოდელის მიხედვით აკულტურაციის ორიენტაციებს შორის ცხოვრებით კმაყოფილების კუთხით არაა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. კონტაქტის მოდელის მიხედვით, ინტეგრაციის ($M=4.17$, $SD=.882$) და სეპარაციის ($M=3.53$,


$SD=.915$) ორიენტაციების მქონე ინდივიდებს შორის ცხოვრებით კმაყოფილების შეფასებაში არის მნიშვნელოვანი განსხვავება ($p < .001$, 95% C.I. = $[-.21, .93]$).

ცხრილი 26. ცხოვრებით კმაყოფილება აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით (M,SD)

	კულტურის მიღების მოდელი		კონტაქტის მოდელი	
	Mean	Std. Deviation	Mean	Std. Deviation
ინტეგრაცია	4.15	.898	4.17	.882
სეპარაცია	3.87	.883	3.53	.915
ასიმილაცია	3.90	.876	4.05	.848
მარგინალიზაცია	3.94	.838	3.85	.818

კონტაქტის მოდელის მიხედვით სეპარაციის ($M=3.53$, $SD=.915$) ორიენტაციის მქონე ინდივიდის ცხოვრებით კმაყოფილება უფრო დაბალია, ვიდრე კულტურის მიღების მოდელში ($M=3.87$, $SD=.883$). სხვა ორიენტაციების შემთხვევაში კმაყოფილების დონე ერთნაირია.

დიაგრამა 13. ცხოვრებით კმაყოფილება აკულტურაციის ორი მოდელის მიხედვით (M)



სამივე ეთნიკურ ჯგუფში ჯამურად, ცხოვრებით უფრო ქალები ($M=4.01$, $SD=.918$) არიან კმაყოფილი, ვიდრე კაცები ($M=3.80$, $SD=.966$). ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($F(1, 702) = [8.434]$, $p = .004$).

ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფში იგივე ტენდენციაა, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არის ქართველ ($F(1, 273) = [4.063]$, $p = .045$) კაცებს ($M=3.47$, $SD=.959$) და ქალებს ($M=3.74$, $SD=.957$) შორის, ასევე სომეხ ($F(1, 197) = [19.36]$, $p < .001$) კაცებს ($M=3.82$, $SD=.874$) და ქალებს ($M=4.34$, $SD=.772$) შორის. ქართველების და სომეხების ჯგუფში ქალების ცხოვრებით კმაყოფილებაა უფრო მაღალი ვიდრე კაცების.

5.2.8. უახლოესი სოციალური წრის ეთნიკური შემადგენლობა

კვლევის შედეგების მიხედვით, ამ კონკრეტულ ჯგუფში აზერბაიჯანელები (20%) უფრო ხშირად ასახელებენ ქართველებს ახლო მეგობრებს შორის, ვიდრე სომეხები (14.1%). ხოლო ქართველი (4.3 %) სტუდენტები ყველაზე ნაკლებად ასახელებს სხვა ეროვნების წარმომადგენლებს უახლოესი მეგობრებს შორის.

ცხრილი 27. მეგობრების ეთნიკური კუთვნილება (%)

რესპონდენტები	მეგობრის ეთნიკური კუთვნილება		
	აზერბაიჯანელი	სომეხი	ქართველი
აზერბაიჯანელი	73.2%	6.8%	20.0%
ქართველი	2.4%	1.9%	95.7%
სომეხი	6.0%	79.9%	14.1%


ინტეგრაციის, განსაკუთრებით კი კონტაქტის მზაობის მიუხედავად, აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების უახლოესი წრე ძირითადად მათი ჯგუფის წარმომადგენელი პირებისგან შედგება და არ არის ეთნიკურად დივერსიფიცირებული. შესაბამისად კონტაქტის მზაობა არ არის პრაქტიკაში გამოხატული. საგულისხმოა, ქართველი სტუდენტების მაჩვენებელი და ამ ჯგუფში განსხვავებული ეთნიკური კუთვნილების მეგობრების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი.

ეს შედეგები უმაღლესი განათლების დაწესებულებებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა და ეხმიანება ტაბატაძის და კოლეგების კვლევას (2020), რომელმაც ასევე გამოავლინა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონტაქტის შესაძლებლობების ნაკლებობა. კონტაქტის სიხშირე, ჩართულობა შესაძლებელს გახდის საუნივერსიტეტო სივრცეში განსხვავებული ეთნიკური ჯგუფებს შორის ურთიერთობის დამყარებას.

5.2.9. საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობა

საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელოვნების შეფასება მაღალია სამივე ეთნიკურ ჯგუფში.

დიაგრამა 14. საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (ძალიან მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანი, %)



აზერბაიჯანელი სტუდენტებთან შედარებით ($M=4.37$, $SD=1.01$) საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალი და თანაბარია ქართველ ($M=4.46$, $SD=.79$) და სომეხ ($M=4.45$, $SD=.8$) რესპონდენტებში. თუმცა განსხვავება არაა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის საქართველოს მოქალაქეობის შეფასებაში იდენტურია და სამივესთვის საკმაოდ მაღალია მისი მნიშვნელობა.

ცხრილი 28. მოქალაქეობის მნიშვნელოვნების შეფასება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%)

	N	M	SD	Min	Max
აზერბაიჯანელი	233	4.37	1.01	1	5
ქართველი	278	4.46	0.79	1	5
სომეხი	200	4.45	0.8	1	5

აკულტურაციის ორივე მოდელის მიხედვით, ინტეგრაციის ორიენტაციის მქონეთა საშუალო მაჩვენებელი მაღალია სხვა ორიენტაციების მქონეებზე. როგორც კულტურის მიღების მოდელში ($M=4.60$, $SD=0.65$) და კონტაქტის მოდელში ($M=4.59$, $SD=0.65$) ინტეგრაციის ორიენტაციის მქონეთა მიერ მოქალაქეობის მნიშვნელობის შეფასება თითქმის იდენტურია და სხვა ორიენტაციებთან შედარებით ყველაზე მაღალი. ინტეგრაციის ორიენტაციის მქონეებისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოქალაქეობას, ვიდრე აკულტურაციის სხვა ორიენტაციების შემთხვევაში. ლოგიკურია, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, რომელიც ინტეგრაციისკენ ისწრაფვის, ყველაზე მეტად ჰქონდეს გააზრებული საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობის მნიშვნელობა.

კულტურის მიღების მოდელში გამოირჩევა მარგინალური ორიენტაციის მქონეების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობის დაბალი შეფასება (ცხრილი 29). სტატისტიკურად სანდოა განსხვავება ინტეგრაციის ($p < .001$, 95% C.I. = [-2.1, -1.38]), სეპარაციის ($p < .001$, 95% C.I. = [-1.89, -1.01]) და ასიმილაციის ($p < .001$, 95% C.I. = [-2.3, -.89]) ორიენტაციების მქონეებს შორის მოქალაქეობის მნიშვნელობის შეფასების საშუალოებს შორის განსხვავება.

კონტაქტის მოდელში, ინტეგრაცია-სეპარაცია ($p < .000$, 95% C.I. = [.4, .98]), ინტეგრაცია-ასიმილაცია ($p = .002$, 95% C.I. = [.12, .76]) და ინტეგრაცია-მარგინალიზაციას ($p < .001$, 95% C.I. = [1.62, 2.3]) შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა საქართველოს მოქალაქეობის შეფასებაში.


ცხრილი 29. მოქალაქეობის მნიშვნელობის შეფასება აკულტურაციის სტრატეგიების მიხედვით (ორი მოდელი)

	N	M	SD	Std. Error	95% Confidence Interval for Mean		Min	Max
					Lower Bound	Upper		
კულტურის მიღების მოდელი								
ინტეგრაცია	325	4.60	.657	.036	4.53	4.67	1	5

სეპარაცია	54	4.31	.748	.102	4.11	4.52	2	5
ასიმილაცია	11	4.45	.934	.282	3.83	5.08	2	5
მარგინალიზაცია	36	2.86	1.588	.265	2.32	3.40	1	5
კონტაქტის მოდელი								
ინტეგრაცია	579	4.59	.652	.027	4.54	4.65	1	5
სეპარაცია	49	3.90	1.005	.144	3.61	4.19	1	5
ასიმილაცია	40	4.15	.921	.146	3.86	4.44	2	5
მარგინალიზაცია	35	2.63	1.457	.246	2.13	3.13	1	5

ორ მოდელს შორის საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობის შეფასება იდენტურია ოთხივე ორიენტაციის მიხედვით.

დიაგრამა 15. საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობა აკულტურაციის ორ მოდელში (M)




სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება არაა საქართველოს მოქალაქეობის შეფასებაში. კაცები ($M=4.36$, $SD=.958$) და ქალები ($M=4.47$, $SD=.819$) ერთნაირად აფასებენ მნიშვნელოვანი განსხვავება არაა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების შიგნითაც.

5.2.10 გავლენა

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის აღქმაში მსგავსი ტენდენციაა სამივე ეთნიკურ ჯგუფში. რესპონდენტების ნახევარზე მეტი აზერბაიჯანელების (61.7%)²⁴ და ქართველების (58.8%), ხოლო სომხების ჯგუფში შედარებით ნაკლები (46.7%) თვლის, რომ პირადად მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ მოვლენებზე.

დიაგრამა 16. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%)



აზერბაიჯანელების მიერ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენის აღქმა ($M=3.76$, $SD=1.01$) ქართველ ($M=3.69$, $SD=1.08$) და სომეხ სტუდენტებთან ($M=3.43$, $SD=1.02$) შედარებით ყველაზე მაღალია. სომხების ჯგუფის მიერ გავლენის დაბალი შეფასება

²⁴ რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც უპასუხა 4 და 5 ჯამურად

სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება აზერბაიჯანელების ($p = .004$, 95% C.I. = [-.56, -.09]) და ქართველებისგან ($p = .022$, 95% C.I. = [-.48, -.03]). ამ კუთხით არაა განსხვავება აზერბაიჯანელებს და ქართველებს შორის.

ცხრილი 30. ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე გავლენა ეთნიკურ ჭრილში (M, SD)

როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა თქვენსაირ ადამიანს ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე გავლენის მოხდენა? ეთნიკურ ჭრილში (M, SD)

ეროვნება	საშუალო	სტანდარტული გადახრა
აზერბაიჯანელი	3.76	1.01
ქართველი	3.69	1.08
სომეხი	3.43	1.02

აკულტურაციის ორიენტაციების ორივე მოდელის მიხედვით გავლენის ანალიზისას საინტერესო ტენდენციები ვლინდება. *კულტურის მიღების მოდელში*, ასიმილაციის ორიენტაციის მქონეების გავლენის აღქმა ყველაზე მაღალია ($M = 4$, $SD = 1.265$) სხვა კატეგორიებთან შედარებით. გავლენის აღქმა ყველაზე დაბალია მარგინალიზაციის ჯგუფში ($M = 3.31$, $SD = .993$). თუმცა კულტურის მიღების მოდელში არ დადასტურდა საშუალოებს შორის განსხვავებების სტატისტიკური მნიშვნელობა. შესაბამისად მხოლოდ ტენდენციებზე შეგვიძლია ვისაუბროთ.


კონტაქტის მოდელის მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია განსხვავება ინტეგრაციის და სეპარაციის ორიენტაციების მქონე ინდივიდებს შორის გავლენის აღქმაში ($p = .022$, 95% C.I. = [-.48, -.03]). კერძოდ, ინტეგრაციის სტრატეგიის მქონე ადამიანი უფრო მეტად თვლის, რომ გავლენის მოხდება შეუძლია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ვიდრე სეპარაციის სტრატეგიის. თუმცა საგულისხმოა, რომ *კონტაქტის მოდელში* მარგინალიზაციის ($M = 3.46$, $SD = 1.17$) და შემდეგ ასიმილაციის ($M = 3.42$, $SD = 1.017$) ჯგუფებში ერთნაირად მაღალია მოვლენებზე საკუთარი გავლენის შეფასება.

ცხრილი 31. ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე გავლენის შეფასება აკულტურაციის სტრატეგიების მიხედვით (ორი მოდელი)

	N	M	SD	Std. Error	95% Confidence Interval for Mean		Min	Max
					Lower Bound	Upper		
						er		
კულტურის მიღების მოდელი								
ინტეგრაცია	322	3.67	1.016	.057	3.56	3.78	1	5
სეპარაცია	55	3.42	1.066	.144	3.13	3.71	1	5
ასიმილაცია	11	4.00	1.265	.381	3.15	4.85	1	5
მარგინალიზაცია	35	3.31	.993	.168	2.97	3.66	1	5
კონტაქტის მოდელი								
ინტეგრაცია	343	3.68	1.019	.055	3.57	3.78	1	5
სეპარაცია	33	3.18	.983	.171	2.83	3.53	1	5
ასიმილაცია	19	3.42	1.017	.233	2.93	3.91	1	5
მარგინალიზაცია	28	3.46	1.170	.221	3.01	3.92	1	5

აკულტურაციის ორიენტაციების მიხედვით ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის აღქმა თითქმის ერთმანეთის იდენტურია ორივე მოდელში. საინტერესო განსხვავებაა ასიმილაციის ჯგუფში. კულტურის მოდელში ასიმილაციის ჯგუფს უფრო მაღალი გავლენის აღქმა აქვს ($M = 4$, $SD = 1.265$), ვიდრე იმავე ორიენტაციის მქონეთ კონტაქტის მოდელში ($M = 3.42$, $SD = 1.017$).

დიაგრამა 17. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის მოხდენის შეფასება აკულტურაციის ორ მოდელში (M)



სქესის მიხედვით არ არის განსხვავება კაცების ($M=3.68$, $SD=1.121$) და ქალების ($M=3.61$, $SD=1.004$) მიერ გავლენის ალქმაში. განსხვავება არც ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებში დადგინდა.

5.2.11. ინტეგრაციის ორიენტაციის დეტერმინანტები და შედეგები

5.2.11.1. ინტეგრაციის ორიენტაციის დეტერმინანტების დადგენა აკულტურაციის ორი მოდელის მიხედვით

რადგან ინტეგრაცია იყო პრიორიტეტული ორიენტაცია ორივე მოდელის მიხედვით, დეტერმინანტების რეგრესიული ანალიზი შესრულდა ინტეგრაციასთან მიმართებაში კულტურის მიღების და კონტაქტის მოდელების შემთხვევაში.

რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ კულტურის მიღების მოდელში (ა) ქართველთან სიახლოვის და (ბ) ოჯახის ხელშეწყობის აღქმა 77.2%-ის სიზუსტით განაპირობებს ინტეგრაციის ორიენტაციის არჩევას.

ცხრილი 32. ინტეგრაციის ორიენტაციის დეტერმინანტები კულტურის მიღების მოდელში

დეტერმინანტი ცვლადები	B	S.E.	Wald	df	Sig.	Exp(B)
საკუთარი აღმსარებლობის წარმომადგენელთან სიახლოვე	-.162	.089	3.310	1	.069	.851
საქართველოში საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან სიახლოვე	.164	.103	2.543	1	.111	1.178
ისტორიულ სამშობლოში საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან სიახლოვე	.020	.079	.064	1	.800	1.020
საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვე	-.021	.107	.037	1	.848	.980
ქართველთან სიახლოვე	.302	.096	9.824	1	.002	1.353
ოჯახის ხელშეწყობა განათლების მიღებაში	.324	.117	7.649	1	.006	1.382
ნდობა ადამიანების მიმართ	.162	.124	1.695	1	.193	1.176
საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება	.127	.164	.599	1	.439	1.136

კონტაქტის მოდელის მიხედვით მცირედ განსხვავებული დეტერმინანტები გამოვლინდა. 81.7%-ის ალბათობით (ა) საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვე და (ბ) განათლების მიღებაში ოჯახის ხელშეწყობა განაპირობებს ინტეგრაციის ორიენტაციის არჩევას.

ცხრილი 33. ინტეგრაციის ორიენტაციის დეტერმინანტები კონტაქტის მოდელში

დეტერმინანტი ცვლადები	B	S.E.	Wald	df	Sig.	Exp(B)
საკუთარი აღმსარებლობის წარმომადგენელთან სიახლოვე	.071	.090	.628	1	.428	1.074
საქართველოში საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან სიახლოვე	.069	.113	.373	1	.541	1.071
ისტორიულ სამშობლოში საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან სიახლოვე	-.181	.095	3.652	1	.056	.834
საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვე	.264	.119	4.930	1	.026	1.302
ქართველთან სიახლოვე	.159	.107	2.199	1	.138	1.172
ოჯახის ხელშეწყობა განათლების მიღებაში	.506	.124	16.601	1	.000	1.659
ნდობა ადამიანების მიმართ	.185	.146	1.600	1	.206	1.203
საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება	.279	.187	2.236	1	.135	1.322

5.2.11.2. ინტეგრაციის ორიენტაციის შედეგების დადგენა აკულტურაციის ორი მოდელის მიხედვით

აკულტურაციის კულტურის მიღების და კონტაქტის მოდელების მიხედვით, ინტეგრაციის ორიენტაცია განაპირობებს (ა) უნივერსიტეტში სწავლით და (ბ) ამჟამინდელი ცხოვრებით კმაყოფილებას, (გ) ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის და (დ) საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობის აღქმას.

ცხრილი 34. ინტეგრაციის ორიენტაციის შედეგები აკულტურაციის ორ მოდელში

ინტეგრაცია - კულტურის მიღების მოდელი	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება * კულტურის მიღების ინტეგრაცია	11.802	1	11.802	17.361	.000
ამჟამინდელი ცხოვრებით კმაყოფილება * კულტურის მიღების ინტეგრაცია	4.363	1	4.363	5.541	.019
გავლენა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე * კულტურის მიღების ინტეგრაცია	4.704	1	4.704	4.424	.036
სხვა ეროვნების მეგობრების ყოლა * კულტურის მიღების ინტეგრაცია	2.590	1	2.590	.824	.364
	48.266	1	48.266	64.500	.000

საქართველო მოქალაქეობის მნიშვნელობა * კულტურის მიღების ინტეგრაცია	319.529	427	.748		
ინტეგრაცია - კონტაქტის მოდელი					
უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება * კონტაქტის ინტეგრაცია	14.764	1	14.764	21.974	.000
	284.214	423	.672		
ამჟამინდელი ცხოვრებით კმაყოფილება * კონტაქტის ინტეგრაცია	10.246	1	10.246	13.201	.000
	326.780	421	.776		
გავლენა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე * კონტაქტის ინტეგრაცია	8.276	1	8.276	7.853	.005
	444.733	422	1.054		
სხვა ეროვნების მეგობრების ყოლა * კონტაქტის ინტეგრაცია	6.462	1	6.462	2.066	.151
	1332.405	426	3.128		
საქართველო მოქალაქეობის მნიშვნელობა * კონტაქტის ინტეგრაცია	63.644	1	63.644	87.675	.000
	309.235	426	.726		

მოცემული შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ კულტურის მოდელში ინტეგრაციის ორიენტაციის არჩევას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ მნიშვნელოვანად განაპირობებს ორი ფაქტორი ეთნიკურ ქართველთან სიახლოვის და ოჯახის ხელშეწყობის აღქმა. შედეგი ლოგიკურია კულტურის მიღების მოდელთან მიმართებაში. კულტურული დისტანციის კონცეფცია (Triandis, 1994; Berry, 2006) გარკვეულწილად ხსნის ამ შედეგს, რომლის მიხედვით აკულტურაციის პროცესზე გავლენას კულტურული დისტანცია ახდენს. რაც უფრო მაღალია ეთნიკურთან ქართველთან სიახლოვის აღქმა, მით უფრო მზად არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მიიღოს ქართული კულტურა ნაწილობრივ მაინც.

ორი მოდელში ოჯახის ხელშეწყობის აღქმა მნიშვნელოვან დეტერმინანტს წარმოადგენს ინტეგრაციის ორიენტაციის არჩევაში. ეს შედეგიც ეხმიანება იმ თეორიულ დაშვებას, რომ საკუთარი თემის და უშუალოდ ოჯახის დამოკიდებულებას უმრავლესობის საზოგადოებაში ადაპტაციის მიმართ გავლენა აქვს აკულტურაციის პროცესზე.

იდენტურია ორივე მოდელში დადგენილი ინტეგრაციის ორიენტაციის შედეგები. ორივე შემთხვევაში ინტეგრაციის ორიენტაცია ეხმარება აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებს იყვნენ კმაყოფილი უნივერსიტეტში სწავლით და ცხოვრებით, გაიაზრონ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა და საქართველოს

მოქალაქეობის მნიშვნელობა. შესაბამისად ინტეგრაციის ორიენტაცია მათ ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას უწყობს ხელს.

ცხრილი 35. ინტეგრაციის ორიენტაციის გამოვლენილი დეტერმინანტები და შედეგები

დეტერმინანტები	აკულტურაციის ორიენტაცია	შედეგები
a) სიახლოვის აღქმა ქართველთან საქართველოში b) ოჯახის ხელშეწყობა უმაღლეს სასწავლებელში სწავლაში	ინტეგრაცია კულტური მიღების მოდელში	a) უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება b) ცხოვრებით კმაყოფილება c) გავლენის აღქმა d) მოქალაქეობის მნიშვნელობა
a) სიახლოვის აღქმა საქართველოს მოქალაქესთან b) ოჯახის ხელშეწყობა უმაღლეს სასწავლებელში სწავლაში	ინტეგრაცია კონტაქტის მოდელში	a) უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება b) ცხოვრებით კმაყოფილება c) გავლენის აღქმა d) მოქალაქეობის მნიშვნელობა

თავი 6. შედეგების ანალიზი

6.1. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მიგნებების შეჯამება

ინტეგრაცია აკულტურაციის ორივე მოდელში არის დომინანტური ორიენტაცია ($X^2=438.99$; $p<.05$). კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებს შორის არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აკულტურაციის ორიენტაციების არჩევაში, არც ერთი მოდელის მიხედვით. *ინტეგრაციის* ორიენტაცია წარმოადგენს აკულტურაციის დომინანტურ ორიენტაციას როგორც აზერბაიჯანელ, ისე სომეხ სტუდენტებში.

არსებითი განსხვავებაა ორი თეორიული მოდელის მიხედვით აკულტურაციის ორიენტაციების არჩევაში. უმრავლესობასთან კონტაქტის შემთხვევაში უფრო მაღალია *ინტეგრაციის* მაჩვენებელი, ვიდრე კულტურის მიღება-გაზიარების ($t(424) = 2.473$, $p = .014$). *სეპარაციის* ორიენტაცია უფრო მეტ სტუდენტში დადგინდა კულტურის მიღების მოდელის მიხედვით გაზომვისას, ვიდრე *კონტაქტის მოდელის* მიხედვით ($t(435)=2.57$, $p=.01$). რაც იმას ნიშნავს, რომ როცა საქმე კულტურის მიღებას ეხება, უმცირესობები *ინტეგრაციის* შემდეგ უფრო სეპარაციის ორიენტაციისკენ იხრებიან, ვიდრე უმრავლესობასთან კონტაქტის შემთხვევაში. შეიძლება დავასკვნათ, რომ დომინანტური კულტურის მიღებას უმცირესობის ჯგუფები უფრო სიფრთხილით ეკიდებიან, ვიდრე უმრავლესობასთან ურთიერთობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას.

გენდერული ნიშნით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არის აკულტურაციის *კონტაქტის* მოდელში. როცა საქმე უმრავლესობის საზოგადოებასთან ურთიერთობას და მონაწილეობას ეხება, ქალები უფრო მეტად ირჩევენ *ინტეგრაციის* ორიენტაციას და უფრო მზად არიან კონტაქტისთვის, ვიდრე კაცები ($X^2 = 9.720$, $p = .021$).

ძირითადი მიგნებები ასევე შეჯამებული და წარმოდგენილია რამდენიმე კატეგორიის მიხედვით, როგორცაა აკულტურაციის ორიენტაციები, მოდელები, ეთნიკური ჯგუფები და სქესი/გენდერი. ისინი გაანალიზებულია კვლევაში დეტერმინანტებად და შედეგებად განსაზღვრულ ფაქტორებთან მიმართებაში.

6.1.1. აკულტურაციის ორიენტაციები და მათ შორის განსხვავება ორი მოდელის მიხედვით

აკულტურაციის ორი მოდელში ზოგიერთ ცვლადთან მიმართებაში გამოვლენილი განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.


კულტურის მიღების მოდელი:

- **ოჯახის ხელშეწყობის აღქმაში** მნიშვნელოვანი განსხვავება არის *ინტეგრაციისა* და *სეპარაციის* ორიენტაციებს შორის ($p=.007$, C.I. = [.10, .85]). ვისაც ინტეგრაციის ორიენტაცია აქვს არჩეული, ფიქრობს რომ ოჯახი უფრო მეტად უწყობს ხელს უმაღლესი განათლების მიღებაში, ვიდრე სეპარაციის ორიენტაციის მქონენი მიიჩნევენ ამას.
- *ინტეგრაციის* და *მარგინალიზაციის* ორიენტაციის მქონენი განსხვავებულად აღიქვამენ **საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას** მათი ეთნიკური ჯგუფის მიმართ ($p=.039$, C.I. = .01, .71). ინტეგრაციის ორიენტაციის შემთხვევაში სტუდენტები უფრო დადებითად აფასებენ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას, ვიდრე მარგინალიზაციის.
- **უნივერსიტეტში სწავლით** უფრო *ინტეგრაციის* ორიენტაციის ($M=4.38$, $SD=.768$) მქონენი არიან კმაყოფილი, ვიდრე *სეპარაციის*²⁵ ($M=4.00$, $SD=.943$) და *მარგინალიზაციის*²⁶ ($M=3.92$, $SD=1.025$) ორიენტაციის მქონე პირები, ამ ორ ჯგუფში საშუალოზე მაღალი კმაყოფილების მიუხედავად.
- **საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობის** შეფასება ყველაზე დაბალი მარგინალიზაციის ($M=2.86$) ჯგუფში და განსხვავდება *ინტეგრაციის* ($M=4.6$, $p < .001$, 95% C.I. = [-2.1, -1.38]), *სეპარაციის* ($M=4.31$, $p < .001$, 95% C.I. = [-1.89, -1.01]) და *ასიმილაციის* ($M=4.45$, $p < .001$, 95% C.I. = [-2.3, -.89]) ორიენტაციების ჯგუფებისგან

²⁵ ($p = .01$, 95% C.I. = [.07, .69])

²⁶ ($p = .008$, 95% C.I. = [.09, .83])

დიაგრამა 18. აკულტურაციის ორიენტაციების (კულტურის მიღების მოდელის) საშუალო მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება სხვადასხვა ცვლადის მიხედვით




კონტაქტის მოდელი

- ოჯახის ხელშეწყობას ყველაზე მეტად ინტეგრაციის ორიენტაციის მქონე სტუდენტები აღიქვამენ. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა

ინტეგრაციას და სეპარაციას ($p=.000$, C.I. = [.60, 1.49]), სეპარაციას და მარგინალიზაციას ($p=.017$, C.I. = [-1.34, -.09]) შორის.

- საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ყველაზე დადებითად ინტეგრაციის ორიენტაციის მქონენი აღიქვამენ. ამ მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებაა ინტეგრაციას და სეპარაციას შორის ($p=.017$, C.I. = .05, .78).
- უნივერსიტეტში სწავლით ყველაზე მეტად ინტეგრაციის ორიენტაციის მქონენი არიან კმაყოფილი. ამ მხრივ განსხვავებაა ინტეგრაციის ($M=4.38$, $SD=.761$) და სეპარაციის ($M=3.81$, $SD=1.061$) ($p = .008$, 95% C.I. = [.08, .75]), ასევე ინტეგრაციის და ასიმილაციის ($M=4.05$, $SD=1.777$) ორიენტაციებს შორის ($p = .039$, 95% C.I. = [-.01, .74]).
- ინტეგრაციის ($M=4.17$, $SD=.882$) და სეპარაციის ($M=3.53$, $SD=.915$) ორიენტაციების მქონე ინდივიდებს შორის განსხვავებაა ცხოვრებით კმაყოფილების შეფასებაშიც ($p < .001$, 95% C.I. = [-.21, .93]).
- საქართველოს მოქალაქეობა ყველაზე მნიშვნელოვანია ინტეგრაციის ორიენტაციის მქონე სტუდენტებისთვის და მნიშვნელოვნად განსხვავდება დანარჩენი ორიენტაციების პირების შეფასებისგან. ინტეგრაცია-სეპარაციას ($p < .000$, 95% C.I. = [.4, .98]), ინტეგრაცია-ასიმილაციას ($p = .002$, 95% C.I. = [.12, .76]) და ინტეგრაცია-მარგინალიზაციას ($p < .001$, 95% C.I. = [1.62, 2.3]) შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა
- ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენას ყველაზე მეტად ინტეგრაციის მქონე სტუდენტები აღიქვამენ. სტატისტიკურად მნიშვნელოვანია განსხვავდება ამ მხრივ ინტეგრაციის და სეპარაციის ორიენტაციების მქონე ინდივიდების მიერ მოვლენებზე გავლენის მოხდენის შეფასება ($p = .022$, 95% C.I. = [-.48, -.03]).

დიაგრამა 19. აკულტურაციის ორიენტაციების (კონტაქტის მოდელის) საშუალო მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება სხვადასხვა ცვლადის მიხედვით



აკულტურაციის ორიენტაციებს შორის განსხვავებები უფრო მეტ ცვლადთან მიმართებით გამოვლინდა კონტაქტის (ექვსი ცვლადი), ვიდრე კულტურის მიღების მოდელში (ოთხი ცვლადი). ამ განსხვავების ახსნა რთულია დამატებითი ემპირიული მონაცემების გარეშე. თუმცა საყურადღებო შედეგია, რომ კონტაქტის მოდელში ინტეგრაციის ორიენტაციის მქონე პირები კულტურის მოდელში გამოყოფილი ოთხი ცვლადის²⁷ პარალელურად, ასევე უფრო მეტად არიან კმაყოფილი ცხოვრებით და მეტად

²⁷ ოთხი ცვლადი: ოჯახის ხელშეწყობის აღქმა, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების აღქმა, უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება, საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობა

ალიქვამენ გავლენას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ვიდრე აკულტურაციის სხვა ორიენტაციების მქონენი.

ორივე შემთხვევაში შედეგები მოწმობს ინტეგრაციის ორიენტაციის მქონე პირების განსხვავებულ აღქმაზე, რომელიც ძირითადად უფრო დადებითია და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის და კმაყოფილების უკეთეს მაჩვენებელს უკავშირდება, ვიდრე ეს აკულტურაციის სხვა ორიენტაციების შემთხვევაში ვლინდება. ინტეგრაციის სხვა ორიენტაციებთან შედარებით განსხვავებული შედეგი თვალსაჩინოა კონტაქტის მოდელში (დიაგრამა 19), ვიდრე კულტურის მიღების მოდელში (დიაგრამა 18), რომელშიც ყველაზე მეტად მარგინალიზაციის მაჩვენებლები გამოირჩევა სხვა ორიენტაციებს შორის შედარებით „უარყოფითი“ შედეგებით.

6.1.2. განსხვავება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით

- საკუთარ და სხვა ეთნიკურ და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელთან სიახლოვის აღქმაში არის მსგავსი ტენდენციები სამივე ეთნიკურ ჯგუფში (თავი 5). თუმცა არის ბევრი განსხვავება და გარკვეული სპეციფიკა:
 - სომეხ, აზერბაიჯანელ და ქართველ ეთნიკურ ჯგუფებს შორის მართლმადიდებელთან სიახლოვის აღქმაში განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ყველაზე მაღალი აქვთ ქართველებს, მერე სომეხებს და ყველაზე მცირე აზერბაიჯანელებს ($F(2, 653)=45.55, p < .001$)
 - სომეხი სტუდენტების მართლმადიდებელთან სიახლოვე უფრო მაღალია ვიდრე აზერბაიჯანელების, განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($t(407)=2.653, p=.008$).
 - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ქართველების ($M= 5.45 SD = 1.73$) სიახლოვე საქართველოს მოქალაქესთან, აზერბაიჯანელებთან შედარებით ($M= 4.99 SD = 1.89$) ($t(470) = 5.15, p = .005$)


- სომხების ($M = 5.61, SD = 1.46$) სიახლოვე საქართველოს მოქალაქესთან აზერბაიჯანელებზე ($M= 4.99, SD= 1.89$) მაღალია. განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($t(421) = 3.75, p < .001$)
- სტატისტიკურად მნიშვნელოვანია განსხვავება ქართველებსა ($M = 5.64 SD = 1.67$) და აზერბაიჯანელებს ($M= 4.79 SD = 1.87$) შორის ქართველთან სიახლოვის აღქმაში ($t(467) = 5.188, p < .001$)
- ქართველთან სიახლოვეს ქართველები ($M = 5.64, SD = 1.67$) უფრო აღიქვამენ, ვიდრე სომხები ($M = 5.04, SD = 1.63$) და მათ შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა ($t(441) = 3.765, p < .001$).
- ქართველები ($M=4.86, SD=.405$) უფრო აღიქვამენ ოჯახის მხარდაჭერას ($p=.000, 95\% C.I. = [.36, .71]$) ვიდრე აზერბაიჯანელი ($M=4.32, SD=1.091$), და სომეხი ($M=4.43, SD=.889$) სტუდენტები ($p=.000, 95\% C.I. = [.25, .60]$).
- ადამიანების ნდობის დონე დაბალია ($p < .001, 95\% C.I. = [-.90, -.45]$) ქართველ სტუდენტებში ($M=2.73, SD=1.16$) და სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება აზერბაიჯანელი ($M=3.41, SD=1.05$) სტუდენტების ნდობის დონისგან. ქართველი ($M=2.73, SD=1.16$) სტუდენტების ნდობის დონე მნიშვნელოვნად დაბალია სომეხი ($M=3.23, SD=0.99$) სტუდენტების მაჩვენებელზეც ($p < .001, 95\% C.I. = [-.74, -.27]$)
- ქართველ ($M=22.98, SD=6.1$) და აზერბაიჯანელ ($M=22.9, SD=5.5$) სტუდენტებში სტრესის აღქმა გაცილებით მაღალია, ვიდრე სომეხ ($M=20.7, SD=5.78$) სტუდენტებში. სომეხი სტუდენტების მიერ სტრესის აღქმა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართველი ($p < .001, 95\% C.I. = [-3.5, -.99]$) და აზერბაიჯანელი ($p < .001, 95\% C.I. = [-3.5, -.86]$) სტუდენტების აღქმული სტრესის დონისგან.
- უნივერსიტეტში სწავლით ყველაზე ნაკლებად ქართველი სტუდენტები არიან კმაყოფილი. აზერბაიჯანელი ($M=4.32, SD=0.786$) სტუდენტები უფრო კმაყოფილი არიან ($p < .001, 95\% C.I. = [-.54, -.17]$) უნივერსიტეტში სწავლით, ვიდრე

ქართველები ($M=3.97$, $SD=0.897$). სომეხი ($M=4.23$, $SD=0.923$) სტუდენტებიც ქართველებზე უფრო კმაყოფილი არიან ($p = .003$, 95% C.I. = [-.45, -.07]).

- ქართველი სტუდენტების **კმაყოფილება ცხოვრებით** ასევე უფრო დაბალია ($M=3.68$, $SD=.963$) ვიდრე სომეხი ($M=4.14$, $SD=.851$) და აზერბაიჯანელი ($M=4.06$, $SD=.923$) რესპონდენტების. სტატისტიკურად სანდოა ქართველი-სომეხი ($p < .001$, 95% C.I. = [-.66, -.25]) და ქართველი-აზერბაიჯანელი ($p < .001$, 95% C.I. = [-.58, -.19]) რესპონდენტების ცხოვრებით კმაყოფილების შეფასებებს შორის სხვაობა.
- **ცხოვრებით კმაყოფილებაში** განსხვავება არის ქართველ ($F(1, 273) = [4.063]$, $p = .045$) კაცებს ($M=3.47$, $SD=.959$) და ქალებს ($M=3.74$, $SD=.957$) შორის, ასევე სომეხ ($F(1, 197) = [19.36]$, $p < .001$) კაცებს ($M=3.82$, $SD=.874$) და ქალებს ($M=4.34$, $SD=.772$) შორის. ქართველი და სომეხი ქალები უფრო კმაყოფილები არიან, ვიდრე კაცები
- აზერბაიჯანელების მიერ **ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის აღქმა** ($M=3.76$, $SD=1.01$) ქართველ ($M=3.69$, $SD=1.08$) და სომეხ სტუდენტებთან ($M=3.43$, $SD=1.02$) შედარებით უფრო მაღალია. სომეხების ჯგუფის მიერ გავლენის დაბალი შეფასება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება აზერბაიჯანელების ($p = .004$, 95% C.I. = [-.56, -.09]) და ქართველებისგან ($p = .022$, 95% C.I. = [-.48, -.03]).

აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების მაჩვენებლები მეტნაკლებად მსგავსია, მათგან განსხვავება უფრო გამოხატულია ქართველ სტუდენტებთან. ეს ნათელი ხდება შედეგების ვიზუალიზაციის შემთხვევაშიც (დიაგრამა 20). აღსანიშნავია საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობის მსგავსი შეფასება სამივე ეთნიკური ჯგუფის მხრიდან.

დიაგრამა 20. სხვადასხვა ცვლადის საშუალო მაჩვენებელი ეთნიკური ჯგუფების მიხედვით



6.1.3. განსხვავება სქესის მიხედვით


სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მიგნებები:

- საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვის კუთხით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არის მხოლოდ ქართველების ჯგუფში ($F(1, 246) = [4.359], p = .038$), რომელშიც ქალი ($M=5.58, SD=1.702$) უფრო განიცდის სიახლოვეს, ვიდრე კაცი ($M=5.04, SD=1.762$)

- სომეხი სტუდენტების ჯგუფში **ოჯახის ხელშეწყობის** აღქმის დონე უფრო მაღალია ქალებში ($M=4.55, SD=.785$), ვიდრე კაცებში ($M=4.25, SD=1.006$). ($F(1, 198) = [5.593], p = .019$)
- **ადამიანების მიმართ ნდობის** მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა კაცებს და ქალებს შორის. კაცები უფრო ავლენენ ნდობას ($M=3.22, SD=1.04$)¹⁵¹, ვიდრე ქალები ($M=3.02, SD=1.151$) ($F(1, 705) = [5.611], p = .018$). სომეხი სტუდენტების ჯგუფში, კაცების ($M=3.41, SD=0.793$) და ქალების მაჩვენებლები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ($M=3.12, SD=1.082$). ($F(1, 275) = [.488], p=.042$)
- სომეხი სტუდენტების ჯგუფში ქალები ($M=4.42, SD=.804$) გაცილებით კმაყოფილი არიან ($F(1, 198) = [14.059], p < 0.001$) უნივერსიტეტში სწავლით, ვიდრე კაცები ($M=3.94, SD=1.017$).
- ცხოვრებით უფრო ქალები ($M=4.01, SD=.918$) არიან კმაყოფილი ($F(1, 702) = [8.434], p = .004$), ვიდრე კაცები ($M=4.01, SD=.918$).

აღნიშნული სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებების გათვალისწინებით, შერჩეულ ცვლადების მიხედვით ქალების და კაცების აღქმებს შორის არის თანხვედრა.

დიაგრამა 21. კვლევის შედეგები სქესის მიხედვით (M)



6.2. სიახლოვის აღქმის ანალიზი


თითოეული ეთნიკურ ჯგუფში ყველაზე მაღალი სიახლოვე საკუთარი ეთნიკური და რელიგიური თემის წარმომადგენლების მიმართ გამოვლინდა. ეს შედეგი ლოგიკური და მოსალოდნელი იყო ლიტერატურაში განხილული ემპირიული მონაცემების გათვალისწინებით. რამდენიმე ქვეყანაში²⁸ პარალელურად ჩატარებული კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ეთნიკური იდენტობის მაჩვენებელი ყველგან ეროვნულზე

²⁸ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისრაელში, ფინეთში და ნიდერლანდებში ჩატარებული კვლევა, რომელიც იყო უფრო ფართო მასშტაბიანი *ეთნოკულტურული ახალგაზრდობის საერთაშორისო შედარებითი კვლევის* ნაწილი

უფრო მაღალი იყო (Phinney et al., 2001). ამავე დროს, მაღალია სიახლოვე უმრავლესობასთან (საქართველოს მოქალაქესთან და ეთნიკურ ქართველთან). აკულტურაციის პროცესში ეს ფენომენი აისახა ინტეგრაციის ორიენტაციის არჩევაში, რაც ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის უკეთეს მაჩვენებლებს უკავშირდება (უნივერსიტეტში სწავლით და ცხოვრებით კმაყოფილება, გავლენის აღქმა). ეს მიგნება ეხმიანება ფინის და კოლეგების მოსაზრებას, რომ *ინტეგრირებული* იდენტობა, რომელიც წარმოადგენს ძლიერი ეთნიკური და ეროვნული იდენტობების კომბინაციას, ხელს უწყობს უფრო ჯანსაღ ფსიქოლოგიურ ადაპტაციას, ხოლო რომელიმე იდენტობის დაბალი მაჩვენებელი ართულებს ადაპტაციის პროცესს (Phinney, Horenczyk, Liebkind and Vedder, 2001).

სიახლოვის საზომი ინსტრუმენტში გამოყენებული ცხრა კატეგორიის მიმართ განსხვავებულ შედეგებს ვიღებთ სამივე ეთნიკური ჯგუფში. სიახლოვის პრეფერენციების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავებიან აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი სტუდენტები. თუმცა მეტნაკლებად ემთხვევა მათი სიახლოვის აღქმა პირველ რიგში საქართველოს მოქალაქესთან და შემდეგ ეთნიკურ ქართველთან. საქართველოს მოქალაქესთან სიახლოვე სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბების ხელშემწყობ წინაპირობად შეგვიძლია განვიხილოთ, რაც საგულისხმო შედეგს წარმოადგენს სამოქალაქო ინტეგრაციის, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტის, უფრო ფართო კონტექსტში.

დიაგრამა 22. სიახლოვის აღქმა (M) ეთნიკური ჯგუფების მიხედვით



ფინი და კოლეგები (Phinney et al., 2001) მიიჩნევენ, რომ აკულტურაციის კვლევებში აქცენტი უმთავრესად გაკეთებული იყო ეთნიკური იდენტობის შესწავლაზე, რის გამოც ყურადღების მიღმა დარჩა „ეროვნული“ ანუ უფულვებელყოფილი იყო ფართო საზოგადოებასთან დაკავშირებული იდენტობის ფორმირების პროცესი. წარმატებული მულტიკულტურალიზმი გულისხმობს მისი ყველა ქვე-ჯგუფის წარმომადგენლის მიერ მეინსტრიმულ საზოგადოებასთან მიკუთვნებულობის გრძნობის გაჩენას, რომელიც ეროვნული იდენტობით იქნება გამოხატული (Jasinskaja-Lahti et al., 2009). შვარცი და კოლეგები (Schwartz et al., 2010) ეთნიკურ იდენტობასთან ერთად განიხილავენ უმრავლესობასთან დაკავშირებულ „ამერიკული იდენტობის“ ფენომენს, რომელიც რესპონდენტებისთვის შესაძლოა ასოცირდებოდეს როგორც გარეგნულ

მახასიათებლებთან, ისე თავისუფლებისა და სიმამაცის ღირებულებებთან. შვარცი ასკვნის, რომ მნიშვნელოვანია ამ ფენომენის უფრო ფართოდ შესწავლა, რადგან ის განსხვავებულად შეიძლება იყოს გაგებული (Schwartz et al., 2010). სადისერტაციო კვლევის მიგნებების გათვალისწინებით, საქართველოს კონტექსტშიც საინტერესო იქნება იმის დადგენა, თუ რა შინაარსის მატარებელია „ეროვნული იდენტობა“ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომელი კომპონენტებისგან შედგება ის, რას გულისხმობენ უმცირესობები საქართველოს მოქალაქეობაში, რასთან ასოცირდება ის და არის თუ არა თანხვედრა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის აქემებს შორის.

6.3. შედეგების ანალიზი კვლევის ჰიპოთეზების მიხედვით

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში მოხდა ეთნიკური უმცირესობების ორი ჯგუფის წარმომადგენელი სტუდენტების აკულტურაციის ორიენტაციების განსაზღვრა ორი თეორიული პერსპექტივის მიხედვით, და გაანალიზება აკულტურაციის დეტერმინანტებთან და შედეგებთან მიმართებაში. შესაბამისად მოხდა ჰიპოთეზებში მოცემული თეორიული და სხვა საკვლევ ჯგუფებში ემპირიულად დადასტურებული მოსაზრების შესწავლა საქართველოს სპეციფიურ კონტექსტში.

კვლევის შედეგების თანახმად, აკულტურაციის ორივე მოდელის შემთხვევაში *ინტეგრაციის* ორიენტაციის დომინანტობამ დაადასტურა კვლევის **პირველი ჰიპოთეზა**. ინტეგრაციის ორიენტაციის მქონეთა რაოდენობა კონტაქტის კონცეფციის მიხედვით უფრო მაღალია 81%-მა ($N=346$), ვიდრე კულტურის მიღების კონცეფციის 76.1%-მა ($N=325$) მიხედვით, რითიც გამყარდა **მეორე ჰიპოთეზა**. ინტეგრაცია უფრო მეტად არჩეული ორიენტაციაა როცა აკულტურაცია სტუდენტების უმრავლესობასთან კონტაქტს გულისხმობს და არა დომინანტური კულტურის მიღებას. ამასთან, როცა საქმე კულტურის მიღებას ეხება, სეპარაციის ორიენტაციას უფრო მეტი ირჩევს, ვიდრე ამას ადგილი აქვს კონტაქტის მოდელში. სნაუვერტი და კოლეგები ამ ფენომენს შემდეგნაირად

ხსნიან. ისინი მიიჩნევენ, რომ უმრავლესობის საზოგადოებასთან კონტაქტი ნაკლებ ფსიქოლოგიურ მზაობას მოითხოვს უმცირესობის მხრიდან, ვიდრე დომინანტური კულტურის მიღება. ამის ფონზე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აკულტურაციის სტრატეგიების სწორად გამოვლენას და პრაქტიკაში მათი მნიშვნელობის სწორად შეფასებას (Snauwaert et al., 2003).

ნაწილობრივ დადასტურდა **მესამე ჰიპოთეზაც**. დეტერმინანტებად მოაზრებული ფაქტორებიდან, ოჯახის მხარდაჭერა და უმრავლესობასთან (საქართველოს მოქალაქესა და ქართველთან) სიახლოვე აღმოჩნდა ინტეგრაციის ორიენტაციის პრედიქტორი.

ყველა ეთნიკურ ჯგუფში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა სიახლოვეს საკუთარი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელთან. ამავე დროს, მაღალია სიახლოვე საქართველოს მოქალაქესთან და ქართველთან. კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ უმცირესობების ამ ჯგუფში, ინტეგრაციის ორიენტაცია არის დომინანტური და სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ორიენტაციებისაგან. ეს შედეგი ასევე ეხმიანება თეორიულ დისკუსიას აკულტურაციის ერთ და ორგანზომილებიან ბუნებაზე. ის წარმოადგენს დამატებით არგუმენტს, რომ საკუთარ ეთნიკურ ჯგუფთან და უმრავლესობასთან/მიმღებ საზოგადოებასთან დაკავშირებული ორი ძირითადი განზომილება არ წარმოადგენს ერთი კონტინუუმის ორ უკიდურეს პოლუსს და ორივესთან იდენტიფიკაცია არის შესაძლებელი.

„ბერი იყო პირველი, ვინც აღნიშნა, რომ ემიგრანტების და მასპინძელი კულტურების იდენტობა შეიძლება გამოსახული იყოს როგორც დამოუკიდებელი განზომილებები და არა როგორც ერთი ბიპოლარული კონტინუუმის უკიდურესი წერტილები. ამ მიდგომის საფუძველი არის დაშვება, რომ იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთის ოპოზიციაში იყვნენ ერთი განზომილების გასწვრივ, იმიგრანტი და მასპინძელი საზოგადოების იდენტობა ყალიბდება განსხვავებულ პროცესად, რომელიც განცალკევებით

ვითარდება ორთოგონალური განზომილებების გასწვრივ“ (Bourhis et al., 1997; 376)

ფინი მიიჩნევს, რომ ახალ საზოგადოებასთან იდენტიფიკაციის კონცეპტუალიზაციის და შესწავლის საკითხს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ფართომასშტაბიანი კვლევების საფუძველზე ის ასკვნის, რომ ეს ორი იდენტობა არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მათ შორის მიმართება დამოკიდებულია კონტექსტზე. უმცირესობის ჯგუფის წევრებს შეიძლება ჰქონდეთ ძლიერი ან სუსტი იდენტიფიკაცია როგორც საკუთარ, ისე მენისტრიმულ კულტურასთან, და ძლიერი ეთნიკური იდენტობა სულაც არ ნიშნავს სუსტ ურთიერთობას დომინანტურ კულტურასთან (Phinney, 1990). ეთნიკურ უმცირესობებთან აშშ-ში და ევროპაში ჩატარებული კვლევები მიუთითებს, რომ უმცირესობების ეთნიკური იდენტიფიკაცია არ გულისხმობს ნეგატიურ დამოკიდებულებას უმრავლესობის მიმართ, საკუთარი ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ძლიერი გრძნობა შესაძლოა ასოცირებული იყოს უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებასთან გარე ჯგუფთან. ამდენად, ფინი მიიჩნევს, რომ ეროვნული ჯგუფის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვა ფაქტორებთან, და არა საკუთარ ჯგუფთან იდენტიფიკაციასთან. კორელაცია ეროვნულ და ეთნიკურ იდენტობას შორის შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი ან ნულოვანი, რაც დამოკიდებულია იმიგრანტი იდენტობის სტრუქტურაზე კონკრეტულ კონტექსტში (Phinney et al., 2001).

კვლევის მეოთხე ჰიპოთეზა ნაწილობრივ დადასტურდა. აკულტურაციის ორივე მოდელში დამტკიცდა ინტეგრაციის ორიენტაციის გავლენა უნივერსიტეტში სწავლით და ცხოვრებით კმაყოფილებაზე და გავლენის შეფასებაზე, რომელიც ამ ჯგუფში არის მაღალი. არ დადასტურდა კავშირი ინტეგრაციას და სტრესს შორის.

ცხრილი 36. კვლევის ჰიპოთეზები და მათი სტატუსი

ჰიპოთეზები	სტატუსი
<p>კვლევის პირველი ჰიპოთეზა</p> <p>აკულტურაციის ორივე მოდელის მიხედვით ინტეგრაცია წარმოადგენს დომინანტურ ორიენტაციას.</p>	დადასტურდა
<p>კვლევის მეორე ჰიპოთეზა</p> <p>ინტეგრაციის მზაობა მეტად არის უმრავლესობასთან კონტაქტის, ვიდრე კულტურის ელემენტების მიღების მოდელის მიხედვით</p>	დადასტურდა
<p>კვლევის მესამე ჰიპოთეზა.</p> <p>საკუთარ ეთნიკურ და/ან რელიგიურ ჯგუფებთან იდენტიფიკაცია, უმრავლესობის დამოკიდებულების და ოჯახის მხარდაჭერის აღქმა განაპირობებს ინტეგრაციის ორიენტაციას</p>	ნაწილობრივ დადასტურდა
<p>კვლევის მეოთხე ჰიპოთეზა.</p> <p>ინტეგრაციის კორელაცია ნაკლებ სტრესსა და კმაყოფილების და გავლენის მაღალ დონესთან</p>	ნაწილობრივ დადასტურდა

6.4. კვლევის ძირითადი მიგნებები

სადისერტაციო კვლევის ძირითადი მიგნებას წარმოადგენს აკულტურაციის ორიენტაციების, კერძოდ ინტეგრაციის მკაფიო კავშირი ოჯახის მხარდაჭერასა და უმრავლესობასთან სიახლოვესთან. ეს კავშირი კვლევაში გამოყენებული აკულტურაციის ორივე თეორიული პერსპექტივის ფარგლებში დადგინდა და იძლევა საფუძველს საქართველოში საგანმანათლებლო სივრცეში ეთნიკური უმცირესობების ორი ჯგუფის ახალგაზრდების აკულტურაციის თეორიული მოდელის გასავითარებლად.


ემპირიული კვლევები ცხადყოფს, რომ აკულტურაციის პროცესის კომპლექსურობიდან გამომდინარე განსხვავებული დინამიკაა როგორც ერთიადიმავე კონტექსტში სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებს შორის (Jasinskaja-Lahti, 2000), ისე სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში ჩატარებულ კვლევებში (Phinney J., Horenczyk G., Liebkind K., Vedder P., 2001). შესაბამისად აკულტურაციის პროცესს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კულტურის/ჯგუფის სპეციფიკური თავისებურებები. ზოგადად, კროს-კულტურული ინტერაქცია, ტრანზიციცია და მორგება დაკავშირებულია მთელი რიგი ცვლადების კომპლექსურ ურთიერთქმედებასთან (Searle & Ward 1990). ეს ართულებს აკულტურაციის კონცეპტუალიზაციის საკითხს. შემოთავაზებულ რეკომენდაციებში მკვლევარები მიუთითებენ დამატებითი ემპირიული კვლევების ჩატარების აუცილებლობაზე (Searle & Ward 1990; Jasinskaja-Lahti, 2000; Phinney et al., 2001; Liebkind, 2003; Berry, 2006; Sam, 2006; Schwartz et al., 2010; Khawaja, 2016; Choy et al., 2021), მათი კროს კულტურული შედარების და ძირითადი მიგნებების ემპირიულად გადამოწმების საჭიროებაზე, რადგან თითოეული კვლევა საკითხის შესწავლის ახალ კონცეპტუალურ პერსპექტივას ხსნის. გამოწვევებთან არის დაკავშირებული ფენომენის ოპერაციონალიზაცია. შედეგების კროს კულტურულ შედარებას და გენერალიზებას ართულებს კონტექსტის სპეციფიკის გათვალისწინებით შერჩეული მეთოდოლოგიების სიმრავლე და აკულტურაციასთან დაკავშირებული ცვლადების მრავალფეროვნება (Rudmin, 2006; Shekriladze, 2017).

სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან, ბერის მიერ შემოთავაზებული აკულტურაციის ჩარჩო სასარგებლო აღმოჩნდა აკულტურაციის პროცესის გასაგებად (Bourhis et al., 1997; Jasinskaja-Lahti, 2000; Phinney et al., 2001; Sam, 2006). თუმცა ეს წარმოადგენს საწყის ნაბიჯს. აკულტურაციის თეორიული ჩარჩოს შერჩევა, კონკრეტული ფაქტორებისა და პროცესების იდენტიფიცირება, რაც გავლენას ახდენს ეთნიკურ იდენტობაზე, აკულტურაციის ხარისხზე და ფსიქოლოგიურ ადაპტაციაზე, ასევე თეორიული მოსაზრებების და ემპირიული შედეგების სინთეზი ხელს უწყობს აკულტურაციის რთული და კომპლექსური პროცესის გაგებას და სხვადასხვა კომპონენტებს შორის (მაგ. აკულტურაცია და იდენტობა, აკულტურაცია და კულტურა) არსებული კონცეპტუალური სიცარიელის შევსებას (Jasinskaja-Lahti, 2000).

სადისერტაციო კვლევაში გაკეთებული იყო დაშვება, რომ პროცესის დეტერმინანტები იქნებოდა დაკავშირებული მის ორ განზომილებასთან - საკუთარ და უმრავლესობის კულტურასთან/საზოგადოებასთან. ორი კონცეპტუალური მოდელით მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა გამოიყოს აკულტურაციის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: (1) სიახლოვის აღქმა უმრავლესობის ჯგუფთან (საქართველოს მოქალაქესთან და ეთნიკურ ქართველთან) და (2) ოჯახის მხარდაჭერა. საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების აკულტურაცია ორ ძირითად ღერძზე გადის. სადისერტაციო კვლევის მიგნებებზე დაფუძნებული თეორიული მოდელის ძირითადი დაშვებაა, რომ სხვადასხვა კონტექსტურ ფაქტორთან ერთად (რომელიც შეიძლება განისაზღვროს საკვლევი ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე), ოჯახის ფაქტორს და უმრავლესობასთან იდენტიფიკაციას განსაკუთრებული როლი აქვს. აკულტურაციის შესწავლისას რეკომენდებულია ამ ორი ფაქტორის პერსპექტივიდან შეფასდეს როგორც უმცირესობების მიერ აკულტურაციის ორიენტაციების შერჩევა, ისე ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული ადაპტაციის შედეგი. წინამდებარე მოდელში გათვალისწინებულია აკულტურაციის ინტერაქტიული მოდელების (Bourhis et al., 1997; Phinney et al., 2001; Jasinskaja-Lahti et al., 2009) ძირითადი პრინციპი - ფენომენის ინტერაქტიულობა და რეციპროკულობა. ადაპტაციის შედეგებმა

და პირადად გამოცდილებამ თავის მხრივ შეიძლება გავლენა მოახდინოს აკულტურაციის ორიენტაციების შერჩევაზე, ეთნიკურ და ეროვნულ იდენტიფიკაციაზე და ოჯახთან ურთიერთობაზე. სწორედ ამიტომ განიხილება აკულტურაცია დინამიურ პროცესად და მასში კანონზომიერების დადგენა ძირითად გამოწვევად.

დიაგრამა 23. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდების აკულტურაციის მოდელი



მოდელში გაზიარებულია არენდს-ტოთისა და ვან დე ვივერის მიერ აკულტურაციის შეფასებისთვის შემოთავაზებული ჩარჩოს პრინციპები (Arends-Toth, van de Vijver 2006) და სტრუქტურირებულია პროცესის წინაპირობების, ორიენტაციების და შედეგების მიხედვით. საქართველოს კონტექსტის საფუძველზე წარმოდგენილ მოდელს ემატება ორი მკაფიოდ გამოხატული განმაპირობებელი ფაქტორი: სიახლოვის აღქმა უმრავლესობასთან (გამოხატული საქართველოს მოქალაქის და ქართველის მიმართ სიახლოვეში) და ოჯახის როლი. ორივე ფაქტორი აქცენტირებულია აკულტურაციაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

უმრავლესობა. მულტიკულტურალიზმი და თანამედროვე საზოგადოებების ჯანსაღი ფუნქციონირება მოითხოვს ყველა ეთნიკური ქვე-ჯგუფის მიერ მეინსტრიმულ საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობის არსებობას, რაც გამოიხატება *ეროვნული იდენტობის* განვითარებაში (Jasinskaja-Lahti, Liebkind and Solheim, 2009).

ახალ კულტურაში ადაპტაციის პროცესში დომინანტურ საზოგადოებას განსაკუთრებული როლი აქვს (Phinney et al., 2001). ფინიმ და კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ეთნიკური იდენტობის შესასწავლად ჩატარებული კვლევების ფონზე, უმრავლესობასთან დაკავშირებულ იდენტიფიკაციას ნაკლები ყურადღება დაეთმო. ფინიმ გააანალიზა ეთნიკური იდენტობის 62 კვლევა (Phinney, 1990), მიმოიხილა ეთნიკური და ეროვნული იდენტიფიკაციის, მათთან კავშირის და დამოკიდებულების დასადგენად გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომები (Phinney, 1990). ფინის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ მათ შორის იდენტიფიკაციის დასადგენად გამოყენებული იყო კითხვები რესპონდენტის უმრავლესობასთან კავშირის (bond) აღქმაზე, ხოლო ქცევაში გამოხატული ცვლილებების შესაფასებლად მეგობრების ეთნიკური წარმომავლობის დადგენა.

სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებულ თეორიულ მოდელში უმრავლესობასთან სიახლოვის ფაქტორი უკავშირდება აკულტურაციის პროცესში უმრავლესობასთან იდენტიფიკაციის და ასოცირების, შესაბამისად *ეროვნული იდენტობის* ფენომენს (Phinney et al., 2001; Jasinskaja-Lahti, Liebkind and Solheim, 2009).

იდენტიფიკაციის ფინის მიერ შემოთავზებული ორგანზომილებიანი კლასიფიკაციის მიხედვით, აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტების უმეტესობას აქვს ინტეგრირებული (ბიკულტურული) იდენტობა (Phinney et al., 2001), რადგან სიახლოვე და იდენტიფიკაცია მაღალი აღმოჩნდა როგორც საკუთარი, ისე უმრავლესობის ჯგუფების მიმართ.

ფინის *ინტერაქციულ პერსპექტივაში* იდენტობების ჩამოყალიბებაში და ადაპტაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უმრავლესობის დამოკიდებულებას (Phinney et al., 2001). მოდელის მიხედვით, ემიგრანტების დამოკიდებულებებს/მახასიათებლებს და მიმღები საზოგადოების პასუხებს შორის ურთიერთქმედებას შეუძლია ახსნას მიმდინარე ადაპტაციის პროცესი. კერძოდ, მიგრანტების დამოკიდებულება თავიანთი წარმოშობის კულტურის შენარჩუნების და ახალი საზოგადოებაში გაწევრიანების მიმართ ურთიერთქმედებს „ახალი“ საზოგადოების არსებულ და/ან აღქმულ მიმღებლობასთან. შედეგად, მიგრანტმა შეიძლება უარყოს საკუთარი ეთნიკური იდენტობა ან პირიქით, განამტკიცოს.

2009 წლის კვლევაში (Jasinsaja-Lahti et al., 2009) ყურადღება გამახვილებულია უმრავლესობის უმცირესობისადმი აღქმული დამოკიდებულების გავლენაზე. კერძოდ, შესწავლილია აღქმულ დისკრიმინაციას და ეროვნული იდენტიფიკაციის ჩამოყალიბებას შორის კავშირი. მკვლევარების თეორიული დაშვება დაეფუძნა რელიევანტურ მოდელებს (უარყოფა-იდენტიფიკაციის მოდელი) და არსებულ კვლევებს, რომელთა თანახმად აღქმული დისკრიმინაცია პირდაპირ კავშირშია ეთნიკური უმცირესობების ფსიქოლოგიური კარგად ყოფნასთან და დეპრესიის, შფოთვის პრედიქტორია. ავტორები მიიჩნევენ, რომ გაზრდილი სტრესი თავის მხრივ ამძაფრებს სიტუაციის უარყოფით ინტერპრეტაციას და დისკრიმინაციის აღქმას. რაც თავის მხრივ დომინანტური ჯგუფის მიმართ მტრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს (Jasinsaja-Lahti et al., 2009).

იასინსაია-ლაჰტის და კოლეგების მიერ (Jasinsaja-Lahti et al., 2009) შემოთავზებული **უარყოფა-დისიდენტიფიკაციის მოდელი (Rejection-Disidentification Model/RDM)** მიხედვით, აღქმული დისკრიმინაცია ხელს უშლის უმცირესობის წევრების

ეროვნულ ჯგუფთან მიკუთვნების გრძნობის განვითარებას. როცა დომინანტური საზოგადოების მხრიდან ეთნიკური დისკრიმინაციის აღქმა უსამართლოდ განიხილება, ეს გამოცდილება ხელს უშლის მიგრანტებს ეროვნულ ჯგუფთან იდენტიფიცირებაში და გამოიწვევს ამ იდენტობისგან დისტანცირების ტენდენციას ანუ ეროვნულ დეიდენტიფიკაციას/დისიდენტიფიკაციას, გაზრდის იდენტიფიკაციის დონეს საკუთარ ეთნიკურ ჯგუფთან და გააჩენს მტრულ დამოკიდებულებას უმრავლესობის მიმართ. ამ დაშვების ემპირიული მტკიცებულება იასინსკაია-ლაჰტის და კოლეგებს (Jasinskaja-Lahti et al., 2009) მოჰყავთ 2006 წელს მკვლევართა ჯგუფის²⁹ მიერ 13 ქვეყანაში ჩატარებული კვლევიდან. მიგრანტი მოზარდები, რომლებიც მათ მიმართ დისკრიმინაციას აღიქვამდნენ, მიდრეკილნი იყვნენ უარყოფით ეროვნულ იდენტობა დეიდენტიფიკაციის გზით. ამის საპირისპიროდ, ისინი, ვინც არ გრძნობდნენ დისკრიმინაციას, უფრო ავლენდნენ ეროვნულ იდენტობას. ამრიგად, აღქმული დისკრიმინაცია კავშირშია მიგრანტების ტენდენციასთან, დისტანცირება მოახდინონ ფართო საზოგადოებისგან (Jasinskaja-Lahti et al., 2009).

ეს მოდელი აქცენტს უარყოფით გამოცდილებაზე აკეთებს. თუმცა როგორც აღინიშნა მისი გაგება შესაძლებელია საპირისპიროდაც, რაც სადისერტაციო კვლევის შედეგებს უკავშირდება. ეთნიკური უმცირესობების მიერ უმრავლესობის მათი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ კვლევაში გამოვლენილი დადებითი შეფასების ფონზე ამ ჯგუფებში აღქმული დისკრიმინაციის საფუძველი არ გვაქვს. ეს არ გამორიცხავს დისკრიმინაციის ცალკეულ შემთხვევებს და უარყოფითი ინდივიდუალური გამოცდილების არსებობას. RDM-ის ლოგიკური ჩარჩოს გათვალისწინებით შეიძლება დავუშვათ, რომ თუ უმცირესობები დადებითად აღიქვამენ უმრავლესობის დამოკიდებულებას, ამან ხელი უნდა შეუწყოს მათ სიახლოვეს უმრავლესობის მიმართ და ადაპტაციის უკეთესი შედეგი უზრუნველყოს. სწორედ ასეთი შედეგია მიღებული აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების შემთხვევაში, რითიც **უარყოფა-დისიდენტიფიკაციის მოდელი/Rejection-Disidentification Model** (Jasinskaja-Lahti et al., 2009)

²⁹ Berry, Phinney, Sam, & Vedder, 2006

ირიზად დასტურდება საქართველოს კონტექსტში უფრო პოზიტიური - მიღება-იდენტიფიკაციის (Acceptance-Identification) - კონოტაციით.

თუმცა სადისერტაციო კვლევის მთავარ მიზნებს წარმოადგენს ის, რომ არა უმრავლესობის დამოკიდებულების აღქმა, არამედ სწორედ უმრავლესობასთან სიახლოვის აღქმა, მასთან იდენტიფიკაცია და მსგავსება (Triandis, 1994) განაპირობებს აკულტურაციის პროცესში ინტეგრაციის ორიენტაციას და შესაბამისად ადაპტაციას.

ოჯახი. მოზარდების აკულტურაციის პროცესში მშობლების/ოჯახის ფაქტორი ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია, თუმცა სათანადოდ მაინც არაა შესწავლილი (Jasinskaja-Lahti, 2000). ამ ფაქტორს ტრადიციული ღირებულებების მქონე ჯგუფებში და თემებში განსაკუთრებული როლი ენიჭება (Schwartz et al., 2010).

იასინსკაია-ლაჰტი (Jasinskaja-Lahti, 2000) ვრცლად მიმოიხილავს ოჯახის/მშობლების ფენომენს აკულტურაციის პროცესში. მისი აზრით, ახალგაზრდები ვერ ფლობენ აკულტურაციის პროცესში გაჩენილი სირთულეების დაძლევის ყველა მექანიზმს. ასეთ დროს ოჯახი ხშირად წარმოადგენს ერთადერთ ეფექტურ რესურსს ახალგაზრდა მიგრანტების ადაპტაციის ხელშესაწყობად. ემპირიული მონაცემები მიუთითებს ოჯახის ფაქტორის გავლენაზე იმ კულტურებში, სადაც მჭიდრო ოჯახური ურთიერთობები განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, ვარაუდობდნენ, რომ **მშობლების მხარდაჭერა** შეიძლება იყოს კრიტიკული რესურსი მოზარდი მიგრანტების აკულტურაციის უარყოფითი შედეგებისგან და ადაპტაციის სირთულეებისგან დასაცავად (Jasinskaja-Lahti, 2000). იასინსკაია-ლაჰტი იმოწმებს მოსაზრებას (Aronowitz, 1992), რომლის მიხედვით მოზარდებისთვის მიგრაციის ან ეთნიკურ უმცირესობაზე კუთვნილების ფაქტი შესაძლებელია ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს ვიდრე ის, თუ როგორ ხდება ამ გამოცდილებების მათთან მიტანა და მხარდაჭერა მშობლების მიერ. ეს ხაზს უსვამს აკულტურაციის პროცესში მშობლების გამაშუალებელ როლს.

იასინსკაია-ლაჰტი ასევე აღნიშნავს, რომ არსებული მოსაზრებით ახალგაზრდები უფრო ადვილად ადაპტირდებიან და სწრაფად გადიან აკულტურაციის პროცესს, ვიდრე მათი მშობლები, რომლებიც კულტურული ღირებულებების შეუთავსებლობის გამო შესაძლებელია რეზისტენტული იყვნენ ცვლილებებისადმი. ხშირად ეს ხდება ახალგაზრდებს და მათ მშობლებს შორის გაუგებრობის და უკმაყოფილების მიზეზი. შესაძლებელია მშობლების ემოციური და სოციალური მხარდაჭერა თვისებრივად შეიცვალოს და ამის გამო მშობლების ფაქტორმა უარყოფითი, შემაფერხებელი დატვირთვა მიიღოს აკულტურაციის მიმდინარეობისას (Jasinskaja-Lahti, 2000).

იასინსკაია-ლაჰტი აღნიშნავს, რომ ოჯახის ფაქტორი და ტრადიციული, განსაკუთრებით ოჯახთან დაკავშირებული, კულტურული ფასეულობების შენარჩუნება, სულ მცირე, აკულტურაციის დასაწყისში შეიძლება იყოს ერთ-ერთი სტრატეგია, რომელიც დაეხმარება ემიგრანტ მოზარდებს დაძლიონ აკულტურაციის პრობლემები და ირიბად, თაობათაშორისი კონფლიქტების თავიდან არიდებას შეუწყონ ხელი (Jasinskaja-Lahti, 2000). მნიშვნელოვანია ამ ასპექტების გათვალისწინება ოჯახის ფაქტორის შესწავლისას.

სუმბაძის კვლევაში (2015; გვ. 74) ცხოვრების მხარეებს შორის, ოჯახი რესპონდენტთა ყველა ჯგუფში (მათ შორის სამი ეთნიკური ჯგუფი) ყველაზე მნიშვნელოვნად დასახელდა. ოჯახთან დაკავშირებულ ტრადიციული ღირებულებებს კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა იზიარებს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები. ამავე კვლევაში ნათლად ჩანს ოჯახის როლი განათლების მიღების გადაწყვეტილებაშიც. მოსწავლეების უმრავლესობამ, განსაკუთრებით მარნეულები და ახალქალაქელი რესპონდენტების შემთხვევაში, გადაწყვეტილება მშობლების და ნათესავების რჩევით მიიღო. შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები უფრო კოლექტივისტურია, ვიდრე ინდივიდუალისტური და მათთვის დამახასიათებელია ოჯახური ღირებულებები. ამის გათვალისწინებით, არაა მოულოდნელი კვლევის

შედეგებში ოჯახის გამოკვეთილი როლი. თუმცა აკულტურაციის პროცესში გასათვალისწინებელია მოზარდის ოჯახთან ურთიერთობის დინამიკა და თვისობრიობა.

ამგვარად, სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიგნებები აკულტურაციის სხვადასხვა მიდგომას, მახასიათებელს, მოდელს და პერსპექტივას ეხმიანება. აკულტურაციული პროცესები ორი ძირითადი განზომილების (საკუთარი და უცხო) გარშემო მიმდინარეობს, მათთვის კონკრეტული მნიშვნელობის მინიჭება განსხვავებულად ხდება სხვადასხვა სოციოკულტურულ გარემოში, ეთნოკულტურულ ჯგუფში, პიროვნებაში. აკულტურაციის კონცეპტუალური კომპლექსურობის ფონზე, მნიშვნელოვანი შედეგია მასში გარკვეული კანონზომიერების დადგენა, რასაც ამავე დროს განსაკუთრებული პრაქტიკული დატვირთვაც აქვს.

კვლევის ამ მიგნებების გამოყენება შესაძლებელია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით. უმრავლესობასთან და ფართო საზოგადოებასთან იდენტიფიკაციის უზრუნველყოფა სხვადასხვა სამოქალაქო და საგანმანათლებლო ინიციატივების ფარგლებში უნდა მოხდეს. უცხო კულტურაზე ინფორმაციის ფლობა და მისი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს განსხვავებულ ეთნიკურ/რელიგიურ ჯგუფებს შორის მსგავსების აღქმას (Triandis, 1994), ერთმანეთთან სიახლოვის და იდენტიფიკაციის განვითარებას. კულტურის გაცნობისთვის აღსანიშნავია მეორე ენის, სადისერტაციო კვლევის შემთხვევაში სახელმწიფო ენის, სწავლა (Schwartz et al., 2010; Castro, Rudmin, 2020). პრაქტიკაში, აკულტურაციის ხელშესაწყობად ნებისმიერი ღონისძიების დაგეგმვისას ორივე მხარე - უმცირესობა და უმრავლესობა - უნდა იყოს გათვალისწინებული და ჩართული.

ასევე მნიშვნელოვანია ოჯახის გავლენის ფაქტორის გათვალისწინება და მშობლების ჩართულობის უზრუნველყოფა სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური მიდგომებით. უნივერსიტეტებმა სასურველია სტუდენტებთან ერთად მათი ოჯახების ჩართულობა გაითვალისწინონ ინტერკულტურული კომპეტენციების მიზნობრივი პროგრამების და ღონისძიებების დაგეგმვისას. რადგან ემპირიული კვლევები აჩვენებს,

რომ ოჯახს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი როლის შესრულება შეუძლია აკულტურაციის პროცესში და საწყის ეტაპზე არსებული მხარდაჭერა შესაძლებელია დამოკიდებულებებისა და ღირებულებების გარშემო თაობათა შორის კონფლიქტით შეიცვალოს.

თავი 7. ძირითადი დასკვნები

7.1. ნაშრომის სამეცნიერო და გამოყენებითი ღირებულება

სამეცნიერო სიახლე და ღირებულება

სადისერტაციო კვლევაში მოხდა აკულტურაციის დეტერმინანტებთან და შედეგებთან დაკავშირებული ძირითადი კონცეპტუალური დაშვებების საქართველოს კონტექსტში, კონკრეტულად სასწავლო გარემოში, ეთნიკური უმცირესობების ორ ჯგუფში შესწავლა. ფენომენის კომპლექსური ხასიათიდან და კონტექსტურ ფაქტორებზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რთულია აკულტურაციის ზოგადი კანონზომიერების დადგენა. კვლევის მთავარ სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდების აკულტურაციის განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირება და ახალი ცოდნის შექმნა საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა კონკრეტულ ჯგუფში (სტუდენტებში) მიმდინარე აკულტურაციის პროცესის თვისობრიობაზე/მახასიათებლებზე; ასევე ახალგაზრდებში (განსაკუთრებით კოლექტივისტურ საზოგადოებებში) მიმდინარე აკულტურაციის ზოგადი მოდელის შემოთავაზება. მკვლევარის ამოცანას აკულტურაციის პროცესში მიმდინარე ურთიერთმიმართებების და პროცესების ზოგადი კანონზომიერების დადგენასთან ერთად, სწორედ კონკრეტული ჯგუფების და კონტექსტის მახასიათებლების გამოვლენაა, რაც გავლენას ახდენენ ამ ურთიერთმიმართებებსა და პროცესებზე მოცემულ გარემოში (Phinney et al., 2001).

სადისერტაციო ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს აკულტურაციის ორი კონცეპტუალური მოდელით საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების კვლევა (Snauwaert, Soennens, Vanbeselaere, 2003) და შესაბამისი

ინსტრუმენტის კროს კულტურული ადაპტაცია (ქიტიაშვილი, ტყემელაშვილი, 2022). ეს მიდგომა უფრო ღრმად გვაჩვენებს თუ როგორ აკულტურაციის ორიენტაციებს ირჩევენ აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები, რას მოიაზრებს მათ მიერ არჩეული კონკრეტული ორიენტაცია. ეს მათზე მორგებული სტრატეგიების დაგეგმვის საშუალებას შექმნის და ხელს შეუწყობს ადაპტაციის წარმატებულ მიმდინარეობას.

აკულტურაციის შედეგებით ჩამოყალიბებულ თეორიულ და კვლევით ჩარჩოს ბერი გვთავაზობს (Bourhis, 2003). თუმცა, აკულტურაციის თანამედროვე კონცეპტუალიზაციას და ოპერაციონალიზაციას ჯერ კიდევ ახლავს გარკვეული შეზღუდვა და ბუნდოვანება. პირველ რიგში საკვლევი არეალის გეოგრაფიულ შეზღუდვაზე, ასევე განსხვავებული კულტურული/ეთნიკური ჯგუფების (Liebkind, 2003; Sam, Berry, 2006) და ტრადიციული ეთნიკური უმცირესობების (Gamsakhurdia, 2018) შედეგებით ნაკლებ მოცვაზე საუბრობენ მკვლევარები. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ორი ძირითადი ჯგუფი საინტერესო პოპულაციას წარმოადგენს ისტორიული, კულტურული და სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად ეთნიკური უმცირესობების ორი ჯგუფის აკულტურაციის ორიენტაციების და მათთან დაკავშირებული ფაქტორების პარალელურ შესწავლას კროსკულტურული კვლევის მნიშვნელობა აქვს. ეს შესაძლებლობას გვაძლევს შევამოწმოთ ამ დრომდე მკვლევარების მიერ შემოთავაზებული ძირითადი მიგნებები, რასაც როგორც თეორიის, ისე კვლევის მეთოდების დახვეწის პროცესში შეუძლია წვლილის შეტანა. შესაძლებელია მისი გამოყენება უფრო ფართომასშტაბიანი კვლევების ჩასატარებლად ეროვნულ დონეზე.

საკუთარ კულტურის შენარჩუნებასთან და უცხო მიღებასთან დაკავშირებული აკულტურაციის ორიენტაციები შუამავალი რგოლია წინაპირობებს და მის შედეგებს შორის (Arends-Tóth, J., & Van de Vijver, F., 2006). აკულტურაციის ორიენტაცია ცვალებადი ფენომენია და შეიძლება სხვადასხვა ფაქტორის გავლენის ქვეშ შეიცვალოს. სამომავლოდ საინტერესო იქნება აკულტურაციის ორიენტაციების განწყობის ფსიქოლოგიის

პერსპექტივიდან გაანალიზება, რადგან მათი მოქმედების მექანიზმი გარკვეულ ანალოგიებზე მიუთითებს.

გამოყენებითი მნიშვნელობა

ფენომენის სამეცნიერო მნიშვნელობასთან ერთად აღსანიშნავია მისი გამოყენებითი დატვირთვა თანამედროვე საზოგადოებებში და საქართველოში საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ საკითხს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოსთვის. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა მონოკულტურულ დასახლებებში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეების ინტეგრაცია, რომლებსაც სახელმწიფო ენის არცოდნის გამო არ მიუწვდებათ ხელი ბევრ სახელმწიფო სერვისზე.

როგორც მეორე თავში აღინიშნა, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით შემოღებულმა *კვოტირების სისტემამ* ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობა გააჩინა. შესაბამისად პროგრამის ეფექტურად განხორციელება გავლენას ახდენს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე, რადგან უნივერსიტეტი გარკვეულწილად *კარიბჭის* როლს ასრულებს ეთნიკური უმცირესობებისთვის საზოგადოებაში სრულფასოვნად ინტეგრაციის გზაზე. საზოგადოებაში მონაწილეობის და ჩართულობის ხარისხი უნდა იყოს ინდივიდის პირადი გადაწყვეტილება და არა ენობრივი, განათლების ან სხვა შეზღუდვებით განპირობებული პროცესი.

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილი და გამოვლენილია კონკრეტული ფაქტორები, რომელიც მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს როგორც პოლიტიკის, ისე საუნივერსიტეტო და სამოქალაქო დონეზე. მათ შორისაა, ეროვნული იდენტობის განვითარება, საკუთარი ეთნიკური/კულტურული იდენტობის ხელშეწყობა, სხვადასხვა ეთნოკულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთობების და ურთიერთგაცნობის

წახალისება, ახალგაზრდების შემთხვევაში ოჯახის ჩართულობა, სამოქალაქო ღირებულებების გაზიარება.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების საკითხით შესაბამისი საჯარო უწყებების და საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა, დაინტერესებული არიან კვლევითი, სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციები. შესაბამისად, დიდია სპექტრი იმ დაინტერესებული მხარეებისა, რომელთა პრაქტიკების გაუმჯობესებას ან გადააზრებას შეიძლება შეუწყოს ხელი ზოგადად აკულტურაციის კვლევებმა და კონკრეტულად წარმოდგენილმა სადისერტაციო ნაშრომმა.

7.2. ძირითადი რეკომენდაციები

რეკომენდებულია საქართველოში აკულტურაციის კვლევების გაგრძელება უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფში, ფენომენის დინამიური ხასიათის გათვალისწინებით. კროს კულტურული კვლევებისთვის მნიშვნელოვანია მეტი ემპირიული მასალის თავმოყრა განსხვავებულ ქვეყანასა და კონტინენტზე და სხვადასხვა თეორიული დაშვების გადამოწმება, მათ შორის საქართველოს კონტექსტში, რაც ბერის მიხედვით „გლობალური ფსიქოლოგიის“ მიღწევას შეუწყობს ხელს (Berry, 2012).

აკულტურაციის ადაპტირებული ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს მკვლევარებს ორი მოდელის მიხედვით იკვლიონ აკულტურაციის ორიენტაციები. საზომი მოსახერხებელია მიგრანტების და უმცირესობის წარმომადგენლების ნებისმიერი კატეგორიის, ასაკობრივი და სოციალური ჯგუფის შემთხვევაში გამოყენების თვალსაზრისით, ენის ცოდნის გათვალისწინებით.

ვინაიდან სნაუვერტის და კოლეგების მსგავსად (Snauwaert et al., 2003) სადისერტაციო კვლევაშიც დადასტურდა განსხვავება აკულტურაციის ორი მოდელის მიხედვით მიღებულ შედეგებში, რეკომენდებულია აკულტურაციის ორიენტაციების პარალელურად სხვადასხვა მიდგომით განსაზღვრა. ეს აკულტურაციის უფრო ღრმა შესწავლისა და ანალიზის საშუალებას მისცემს მკვლევარებს, რის გამოყენებას

პრაქტიკოსები და პოლიტიკის შემქმნელები შეძლებენ ეფექტური და მორგებული პროგრამების და მიდგომების შემუშავებისთვის.

რეკომენდებულია კვლევის არეალის გაფართოება, და მასში რეგიონებში მცხოვრები უმცირესობების წარმომადგენლების ჩართვა. ამით შესაძლებელი გახდება სტუდენტების ჯგუფის, გარე ჯგუფებთან შედარება და აზერბაიჯანელების და სომხების დიდ თემში მიმდინარე პროცესების გაანალიზება.

შემდეგ ეტაპზე, სასურველია ასევე დამატებითი ცვლადების მოცვა და რიგ შემთხვევაში თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებაც, საინტერესო მიგნებების უფრო ღრმა ანალიზისთვის. ამ კუთხით აღსანიშნავია განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების შესწავლა აკულტურაციის პროცესში რელიგიის, როგორც კულტურასთან მჭიდროდ დაკავშირებული ფენომენის გათვალისწინებით (Geertz 1993, 2004). როგორც აღინიშნა, რელიგია შესაძლოა იყოს კულტურის ნაწილი ან მისი მთავარი შემადგენელი, მოიცვას და გარდაქმნას კულტურა, მოექცეს კულტურის გავლენის ქვეშ, შექმნას კულტურა და იყოს მასთან ურთიერთქმედებაში კოგნიციაზე, ემოციებზე და ქმედებებზე გავლენის გზით (Saroglou V. and Cohen A. B., 2011). კვლევაში მონაწილე ორი ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის აღმსარებლობის და ამ კუთხით სომხური სამოციქულო ეკლესიის მართმადიდებლურთან სიახლოვის გათვალისწინებით, საინტერესო არის რელიგიური ფაქტორის შესაძლო გავლენის შესწავლა აკულტურაციის ორიენტაციაზე.

აკულტურაციის პროცესით გამოწვეული ცვლილებების დადგენის მიზნით სასურველია ჩატარდეს ლონგიტუდური კვლევა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება დროის გარკვეულ ინტერვალში აკულტურაციული ცვლილებების დადგენა ერთიდაიმავე საკვლევ ჯგუფში. ლონგიტუდური კვლევების დაგეგმვა და განხორციელება საკმაოდ რთულია და მისი ორგანიზება მოითხოვს ადმინისტრაციულ რესურსს. ეს არის კვლევის იდეალური ფორმატი, თუმცა იშვიათად რეალიზებადი (Liebkind, 2003). მნიშვნელოვანი იქნება მომავალში აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების აკულტურაციის გამოცდილების კვლევა უმაღლესი განათლების საწყის და დამამათავრებელ საფეხურზე უნივერსიტეტების ორგანიზებით მოხდეს. მასშტაბური

კვლევა შესაძლებელს გახდის სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის (რაოდენობრივი, თვისებრივი, ეთნოგრაფიული) გამოყენებას.

აკულტურაციის ორმომართულებიანი ბუნებიდან (Sam, 2006) და რეციპროკულობიდან გამომდინარე (Phinney et al., 2001), მიმღები/მასპინძელი საზოგადოების აკულტურაციის ორიენტაციების და უმცირესობების მიმართ არსებული მოლოდინების კვლევა აკულტურაციის პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სადისერტაციო კვლევა ამ ეტაპზე ფოკუსირებული იყო ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის ორიენტაციების, მათი პირობების და შედეგების დადგენაზე. მასშტაბური კვლევების დაგეგმვისას, მნიშვნელოვანი იქნება უმცირესობასთან ერთად უმრავლესობის შესწავლის უზრუნველყოფა.

ბიბლიოგრაფია

1. Aron, A., Aron, E. N., & Smollan, D. (1992). Inclusion of other in the self scale and the structure of interpersonal closeness. *Journal of Personality and Social Psychology*, 63 (4), 596-612.
2. Arends-Tóth, J., & Van de Vijver, F. (2006). Assessment of psychological acculturation. In D. Sam & J. Berry (Eds.), *The Cambridge Handbook of Acculturation Psychology* (Cambridge Handbooks in Psychology, pp. 142-160). Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/CBO9780511489891.013
3. Bhatia, S. (2007). Rethinking culture and identity in psychology: Towards a transnational cultural Psychology. *Journal of Theoretical and Philosophical Psychology*, 27, 301-321.
4. Bhatia, S. (2012). Acculturation and the dialogical formation of immigrant identity: Race and culture in diaspora spaces. In H. J. M. Hermans., & T. Gieser (Eds.). *Handbook of dialogical self theory* (pp. 115-131). New York: Cambridge University Press.
5. Barnett H. G., Broom L., Siegel J., Vogt E., Watson J. B. (1953). Acculturation: An Exploratory Formulation. *The Social Science Research Council Summer Seminar on Acculturation*, 973-1000
6. Beaton D. E., Bombardier C., Francis Guillemin., & Ferraz, M. *Guidelines for the Process of Cross-Cultural Adaptation of Self-Report Measures*. 3186–3191. 2000
7. Berry, J. W. (1969). On cross cultural comparability. *International Journal of Psychology*, 4, 119-128.
8. Berry, J. W. (1970). Marginality, stress, and ethnic identification in an acculturated Aboriginal community. *Journal of Cross-Cultural Psychology*, 1, 239-252.

9. Berry, J. W. (1974). Psychological aspects of cultural pluralism: Unity and identity reconsidered. *Topics in Cultural Learning*, 2, 17-22.
10. Berry, J. W. (1976). Human ecology and cognitive style. *New York: Sage*.
11. Berry, J. W. (1984). Cultural relations in plural societies: Alternatives to segregation and their sociopsychological implications. In N. Miller., & M. B. Brewer (Eds.), *Groups in contact: The psychology of desegregation* (pp. 11-27). Toronto: Academic Press.
12. Berry, J. W. (1988). Acculturation and psychological adaptation: A conceptual overview. In J. W. Berry., & R. C. Annis (Eds.), *Ethnic psychology* (pp. 41-52). Lisse: Swets & Zeitlinger.
13. Berry, J. W. (1990). Acculturation and adaptation: A general framework. In W. H. Holtzman, & T. H. Bornemann (Eds.), *Mental health of immigrants and refugees* (pp. 90-102). Austin, TX: Hogg Foundation for Mental Health.
14. Berry, J. W. (1992). Acculturation and adaptation in a new society. *International Migration*, 30, 69-85. Abstract
15. Berry, J. W. (1994). Acculturation and psychological adaptation: An overview. In A.-M. Bouvy., F. J. R. van de Vijver., P. Boski., & P. Schmitz (Eds.), *Journeys into cross-cultural psychology* (pp. 129-141). Lisse: Swets & Zeitlinger.
16. Berry J, W. Immigration, Acculturation and Adaptation, Queen's University, Ontario, Canada. *Applied Psychology: An international Review* 1997, 46 (1), 5-68. 1997
17. Berry, J. W. (1997). Rejoinder: Constructing and expanding a framework: Opportunities for developing acculturation research. *Applied Psychology: An International Review*, 46, 63-68.
18. Berry, J. W. (2001). A psychology of immigration. *Journal of Social Issues*, 57, 615-631.

19. Berry, J. W. (2003). Conceptual approaches to acculturation. In K. M. Chun., P. Balls Organista., & G. Marín (Eds.), *Acculturation: Advances in theory, measurement and applied research* (pp. 17-37). Washington, D.C.: American Psychological Association Press
20. Berry J, W. (2006). *Context of acculturation. Handbook on Acculturation Psychology, Handbook on Acculturation Psychology. 26-42. 2006*
21. Berry, J. (2006). Design of acculturation studies. In D. Sam & J. Berry (Eds.), *The Cambridge Handbook of Acculturation Psychology* (Cambridge Handbooks in Psychology, pp. 129-141). Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/CBO9780511489891.012
22. Berry, J. W. (2012). Achieving a Global Psychology. *Queen's University, Kingston, Canada, K7L 3N6*
23. Bogardus, E. S. (1949). *Cultural pluralism and acculturation*. *Sociology and Social Research*, 34, 125-129.
24. Bourhis R. Y., Moise L. C., Perreault S., & Senecal S. (1997). *Towards an Interactive Acculturation Model: A Social Psychological Approach*. *International Journal of Psychology*. Volume 32, 1997 - Issue 6
25. Celenk, O., & Van de Vijver, F. (2011). Assessment of Acculturation: Issues and Overview of Measures. *Online Readings in Psychology and Culture, Unit 8*. Retrieved from <http://scholarworks.gvsu.edu/orpc/vol8/iss1/10>
26. Cohen, S., Kamarck, T., and Mermelstein, R. (1983). *A global measure of perceived stress*. *Journal of Health and Social Behavior*, 24, 386-396. The PSS Scale is reprinted with permission of the American Sociological Association

27. Castro, J., & Rudmin, F. W. (2020). Multinational Bibliography on Acculturation (1808-2020). *Online readings in psychology and culture, unit 8, subunit 1, Acculturation and adapting to other cultures.*
28. Cohen, S. and Williamson, G. *Perceived Stress in a Probability Sample of the United States.* Spacapan, S. and Oskamp, S. (Eds.) *The Social Psychology of Health.* Newbury Park, CA: Sage, 1988.
29. Chirkov, V. (2009). Summary of the criticism and of the potential ways to improve acculturation psychology. *International Journal of Intercultural Relations, 33,* 177-180.
30. Choy B., Arunachalam K., Gupta S., Taylor M., Lee A. (2001). Systematic review: Acculturation strategies and their impact on the mental health of migrant populations. A University of Sheffield Medical School, United Kingdom; School of Health and Related Research, University of Sheffield, United Kingdom; *Public Health in Practice*; <https://doi.org/10.1016/j.puhip.2020.100069>
31. Geertz, C. *Religion as a cultural system.* In C. Geertz (Ed.), *The interpretation of cultures,* New York: Basic Books., Harper Torchbooks. 1973
32. Gordon, M. M. (1964). *Assimilation in American life. The role of race, religion, and national origins.* New York: Oxford University Press
33. Güngör, D., Fleischmann, F., & Phalet, K.. Religious identification, beliefs, and practices among Turkish Belgian and Moroccan Belgian Muslims: Intergenerational continuity and acculturative change. *Journal of Cross-Cultural Psychology, 42,* 1356-1374. 2011
34. Hutnik, N. (1991). *Ethnic minority identity: A social psychological perspective.* Oxford: Clarendon Press.

35. Hutnik, N. (1986). Patterns of ethnic minority identification and modes of social adaptation. *Dehli University*. 150-167, 2010
36. Jasinskaja-Lahti, I. (2000). *Psychological acculturation and adaptation among Russian-speaking immigrant adolescents in Finland*. Unpublished doctoral dissertation, University of Helsinki, Finland
37. Jasinsaja-Lahti I., Liebkind K., Horenczyk G., & Schmitz, P. (2003). Interactive nature of acculturation: perceived discrimination, acculturation attitudes and stress among young ethnic repatriates in Finland, Israel and Germany, 105-123, 2003
38. Khawaja N. G. (2016). *Acculturation of the Muslims Settled in the West*. *Journal of Muslim Mental Health*, ISSN1556-4908, Volume 10, Issue 1, 2016.
<http://dx.doi.org/10.3998/jmmh.10381607.0010.102>
39. Kim M.J, Gorman B. K. (2021). Acculturation and Self-rated Health Among Asian Immigrants: The Role of Gender and Age. *Population Research and Policy Review* (2022) 41:89-114, <https://doi.org/10.1007/s11113-021-09642-x>
40. Liebkind K., Jasinskaja-Lahti I. (2000). Acculturation and Psychological Well-Being Among Immigrant Adolescents in Finland: A Comparative Study of Adolescents From Different Cultural Backgrounds. *Journal of Adolescent Research*, Vol. 15 No. 4, July 2000 446-469 © 2000 Sage Publications, Inc.
41. Liebkind, K. (2006). Ethnic identity and acculturation. In D. Sam & J. Berry (Eds.), *The Cambridge Handbook of Acculturation Psychology* (Cambridge Handbooks in Psychology, pp. 78-96). Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/CBO9780511489891.009
42. Leong, F., & Chou, E. (1994). The role of ethnic identity and acculturation in the vocational behavior; An integrative review. *Journal of Vocational Behavior*, 44, 155-172.

43. of Asian Americans: An integrative review. *Journal of Vocational Behavior*, 44, 155-172.
44. Masgoret, A., & Ward, C. (n.d.). Culturelearning approach to acculturation. In (pp. 58-77).
doi:10.1017/CBO9780511489891.008
45. McGee, W. J. (1898). Piratical acculturation. *American Anthropologist*, 11, 243-249
46. Portes, A., & Rumbaut, R. G. (2001). *Legacies: The story of the immigrant second generation*. Berkeley: University of California Press. DOI: [10.1086/379574](https://doi.org/10.1086/379574)
47. Phinney, J. S. (1990). Ethnic identity in adolescents and adults: Review of research. *Psychological Bulletin*, 108, 499-514.
48. Phinney J., Horenczyk G., Liebkind K., Vedder P. (2001). Ethnic Identity, Immigration and Well-Being: An Interactional Perspective. *Journal of Social Issues*, Vol. 57, No. 3, 2001, pp. 493-510
49. Powell, J. W. (1880). *Introduction to the study of Indian languages* (2nd ed.). Washington, D.C.: U. S. Government Printing Office
50. Powell, J. W. (1883). Human evolution: Annual address of the President, J. W. Powell, delivered November 6, 1883. *Transactions of the Anthropological Society of Washington*, 2, 176-208.
51. Rabas, A., Delic-Ovcina, L., Hardy, L., Castro, V.D., Pecanha, Adu, P., Masson, T., & Grimm, M. (2015). Ethnic Identity, Other-Group Orientation, and Comfort with Sharing One's Ethnicity in an Online Graduate Learning Environment.
52. Rudmin F. W. (2003). Critical History of the Acculturation Psychology of Assimilation, Separation, Integration and Marginalization. *Review of General Psychology*. Vol. 7, No. 1, 3-37

53. Rudmin F., Wang B., de Castro J. (2015). Acculturation Research Critiques and Alternative Research Designs. Chapter prepared for *Handbook of Acculturation and Health* (Oxford University Press)
54. Safdar, S., Lay, C., & Struthers, W. (2003). The process of acculturation and basic goals: Testing a multidimensional individual difference acculturation model with Iranian immigrants in Canada. *Applied Psychology: An International Review*, 52(4), 555–579. <https://doi.org/10.1111/1464-0597.00151>
55. Safdar S., Ray-Yol E., Reif J. A. M., Berger R. (2021). *Multidimensional Individual Difference Acculturation (MIDA) model: Syrian refugees' adaptation into Germany*. [International Journal of Intercultural Relations](#) 85(3):156-169, October 2021. DOI: [10.1016/j.ijintrel.2021.09.012](https://doi.org/10.1016/j.ijintrel.2021.09.012) Project: [Social and Labor Adaptation of Syrian Refugees in Europe and Canada: A Multidisciplinary and Cross-Cultural Project](#)
56. Sam, D. (2006). Acculturation: Conceptual background and core components. In D. Sam & J. Berry (Eds.), *The Cambridge Handbook of Acculturation Psychology* (Cambridge Handbooks in Psychology, pp. 11-26). Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/CBO9780511489891.005
57. Saroglou, V. & Cohen, B. (2011). *Psychology of Culture and Religion: Introduction to the JCCP Special Issue*. *Journal of Cross-Cultural Psychology* 42(8):1309-1319
58. Saroglou V., Mathijssen F. P. (2007). *Religion, multiple identities, and acculturation: A study of Muslim immigrants in Belgium*. [Archive for the Psychology of Religion / Archiv für Religionspsychologie](#) 29(1):177-198; DOI: [10.1163/008467207X188757](https://doi.org/10.1163/008467207X188757)
59. Schwartz S. J., Unger J. B., Byron L. Zamboanga, and Szapocznik J. (2010/2013). Rethinking the Concept of Acculturation: Implications for Theory and Research. *National Institutes of Health*. Author Manuscript/Am Psychol. Author manuscript; available in PMC 2013

July 03. Published in final edited form as: *Am Psychol.* 2010 ; 65(4): 237–251.
doi:10.1037/a0019330.

60. Searle, W., & Ward, C. (1990). The prediction of psychological and sociocultural adjustment during cross-cultural transitions. *International Journal of Intercultural Relations*, 14, 449-464.
61. Shekriladze I (2017). Immigration to West, Acculturation, and Disordered Eating Patterns. Dissertation Thesis, Ilia State University Faculty of Arts and Sciences for the degree of Doctor of Philosophy in Psychology
62. Snauwaert, B., Soenens, B., Vanbeselaere, N., & Boen, F. (2003). When integration does not necessarily imply integration: Different conceptualizations of acculturation orientations lead to different classifications. *Journal of Cross-Cultural Psychology*, 34(2), 231–239. <https://doi.org/10.1177/0022022102250250>
63. Stupar, S., Van de Vijver, F. J. R., Te Lindert, A., & Fontaine, J. R. J. (2014). Multicultural attitudes mediate the relation between personality and perceived ethnic outgroup distance in the Netherlands. *International Journal of Intercultural Relations*, 38, 24-35. doi:10.1016/j.ijintrel.2013.05.002
64. Teske, R. H. C. Jr., & Nelson, B. H. (1974). Acculturation and assimilation: A clarification. *American Ethnologist*, 1, 351-367
65. Thurnwald R. (1932). The Psychology of Acculturation. *American Anthropologist*. 557-569.
66. Triandis, H. C. (1994). Culture and Social Behavior. McGraw-Hill Series in Social Psychology

67. Triandis, H. C. (1997). Where is culture in the acculturation model? *Applied Psychology: An International Review*, 46, 55-58.
68. Triandis, C., & Triandis, M. (1962). A cross-cultural study of social distance. *Psychological Monographs: General and Applied*, 76 (21), 1-21. <https://doi.org/10.1037/h0093836>
69. Tropp LR, Wright SC. Ingroup Identification as the Inclusion of Ingroup in the Self. *Personality and Social Psychology Bulletin*. 2001;27(5):585-600. doi:[10.1177/0146167201275007](https://doi.org/10.1177/0146167201275007)
70. Turner J. C., Brown R.J., Tajfel H. (1979). Social comparison and group interest in ingroup favouritism. *European Journal of Social Psychology*, Vol. 9, 187-204 (1979)
71. Ward, C., Bochner, S., & Furnham, A. (2001). Social Identification Theories. *The psychology of cultural shock*. Routledge. 99-122
72. მაღლაკელიძე, მენადარიშვილი, ტყეშელაშვილი, ჭუმბურიძე (2018). ეროვნული, რელიგიური და სამოქალაქო იდენტობა. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
73. [საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია](#). საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
74. სუმბაძე ნ. (2015). უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა: ბარიერები და მათი დაძლევის გზები. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი
75. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2009). საქართველოს მთავრობის განკარგულება 348 შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

76. ქიტიაშვილი ა., ტყემელაშვილი თ. (2022) აკულტურაციის ორიენტაციების საზომი ინსტრუმენტის კროს-კულტურული ადაპტაცია . განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია 2022 | No.1(62) [2022.03.31] 68-77
77. ტაბატაძე შ., გორგაძე ნ. (2013). კვოტირების სისტემის კვლევა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი
78. ტაბატაძე შ., გორგაძე ნ., გაბუნია კ. (2020). საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში 2010-2019. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

დანართები

დანართი 1. კვლევაში მონაწილე სტუდენტების განაწილება უნივერსიტეტების მიხედვით (N, %)

უნივერსიტეტები	სტუდენტების რაოდენობა	
	N	%
თსუ	418	59.97
ილიაუნი	229	32.86
სხვა	50	7.17
სულ	697	100.00
გამოტოვებული პასუხები	17	
საერთო ჯამი	714	

დანართი 2. კვლევაში მონაწილე სტუდენტების განაწილება ეთნიკური ჯგუფების და უნივერსიტეტების მიხედვით (N, %)

უნივერსიტეტები	სტუდენტების რაოდენობა					
	აზერბაიჯანელი*		ქართველი		სომეხი**	
	N	%	N	%	N	%
თსუ	97	43.1	178	64.0	143	73.7
ილიაუნი	128	56.9	63	22.7	38	19.6
სხვა			37	13.3	13	6.7
სულ	225	100	278	100	194	100

მონაცემებში არაა შესული გამოტოვებული პასუხების რაოდენობა

* აზერბაიჯანელი სტუდენტების შემთხვევაში N=9 (3.8%)

** სომეხი სტუდენტები შემთხვევაში N=8 (3.9%)

დანართი 3. მშობლების ეროვნება და განათლების საფეხური ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%)

		მშობლების ეროვნება			
		დედა		მამა	
ეთნიკური ჯგუფი	მშობლის ეროვნება	N	%	N	%
აზერბაიჯანელი	აზერბაიჯანელი	234	100.0	234	100.0
ქართველი	ქართველი	265	95.7	272	98.6
	სომეხი	2	0.7		
	სხვა	10	3.6	4	1.4
	სულ	277	100.0	276	100.0
	გამოტოვებული	1		2	
		278		278	
სომეხი	ქართველი	2	1.0		
	სომეხი	198	98.5	202	100.0
	სხვა	1	0.5		
	სულ	201	100.0		
	გამოტოვებული	1			
	სულ	202			

მშობლების განათლება

	დედა						მამა					
	აზერბაიჯანელი		ქართველი		სომეხი		აზერბაიჯანელი		ქართველი		სომეხი	
	N	%	N	%	N	%	N	%	N	%	N	%
დანყებიანი/საბაზო	26	11.3	1	0.4	4	2.0	12	5.2	4	1.4	5	2.5
საშუალო	137	59.3	28	10.2	96	47.5	95	41.1	35	12.7	70	34.7
პროფესიულ- ტექნიკური	18	7.8	53	19.3	23	11.4	37	16.0	64	23.2	44	21.8
უმადლესი	43	18.6	191	69.5	78	38.6	82	35.5	167	60.5	83	41.1
არ ვიცი	7	3.0	2	0.7	1	0.5	5	2.2	6	2.2	202	100.0
სულ	231	100.0	275	100.0	202	100.0	231	100.0	276	100.0		
გამოტოვებული პასუხი	3		3				3		2			
	234		278				234		278			

დანართი 4. სკოლის დასრულების ადგილი ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%)

